

ლიტერატურული გაზეთი

№2 (210) 26 იანვარი - 8 თებერვალი 2018

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



ემზარ კვიციანიშვილი

ჩაიი მითქვას

დიდად მაოცებს, ადამიანო,
როგორ ენდობი ნებოვან, მღვრიე
სითხეს, იმავე ნაცრისფერ ფაფას,
ტვინი რომ ჰქვია. არ კმარა, რბილი
გარსი რომ აკრავს, ლურჯი ძარღვებით
გადაქსელილი, ჭასავით ღრმას და
ნაოჭებიანს. ისიც ცხადია —
ბუნებამ ზრუნვა რომ არ დააკლო
და ძვლის კოლოფში სვიანად ჩასვა.
ასევე მჭიდროდ ჩაჭუჭკულია
მყიფე ნაჭუჭში ნიგვზის ლებნები,
შეტყუებულნი, ყუნწით ნაზარდი
(ხომ ყველას გვახსოვს — ნათელმხილველი,
უნუგემოდ ბრმა დიდი მილტონი,
ცად აღავლენდა რა შემოფოთებას;
თვალების დაუცველობის გამო,
შემოქმედს საყვედურიც აკადრა)...
მეხსიერების ბუდეა ტვინი,
რალას არ იტევს, აგროვებს რამდენ
სიტყვას და სახეს, სიხარულს, წყენას.
უცნაურს, უცხოის ისრუტავს სიზმრებს,
რათა ეს განძი, აურაცხელი,
წამში აორთქლდეს, განიბნეს ბოლოს.
თვით დედამიწას, უსასრულობის
უბეში მქროლავს, მან შეუცვალა
იერი, ფორმა. ვინ იცის, კიდევ
რას არ პირდება — სარგოს თუ საშიშს.
ამდენის შემძღეს, თავად ძირშივე
აქვს ჩამარხული — აუცდენელი,
მცოცავი საფრთხე. თანდათან შრება
და მოქნილობას, ოდინდელს, კარგავს;
დაუნდობელად ხრავს, ირეკლება
მის ხვეულებზე მატება წლების.

არც ისე იშვიათად მომხდარა —
შუბლი გრანიტსაც რომ შეახეთქო,
სრულიად მარტივ, უბრალო რამეს,
ენაზე მომდგარს, ველარ იხსენებ,
თავს ძალას ატან და იტანჯები.
დასვრეტილია სიმაგრე შენი,
გენგრევა — სილა და წყალი გასდის,
ვიდრე ფსკერამდე არ დაიცლება.
ილოცე, მისით თუ ამოქანდა,
ამოტივტივდა, ეძებდი რასაც.
ყოველთვის აქაც ვერ გაგიმართლებს,
რაგინდ ანჯღრიო და ამოქექო
წყვდიადი ჯილე, დაგლეჯილი და
მიტოვებული. რალას მიაგნებ
თუ ყველაფერი გადაიკეტა.
გაგიკვირდება, რისთვის მოსცდიო,
იტყვი მღიმარი და არც შეცდები.
ვერ მოვისვენე და მოგაგონე
ზოგი რამ, უჩემოდაც რომ იცი,
არ ექნებოდა დამალვას აზრი.
ყრუ ფორიაქში თუ გიფიქრია,
ისეც განწირულს, თავს რას აფარებ
(მიხვდები, ტვინზე რომ გეკითხები,
შემცვლელი მისი რა გაბადია)?
დასტურს, თანხმობას ვუცდი აწინდელს,
ფერზე მოსული, დაგლოცავ მერე —
აფერუმ, გამბედაობას შენსას!



„სიმღერა“ და ხმით ნატირალი

ამირან არაბული

სულუქცეპრად საკითხავნი



ბესარიონ და ნათელა გაბურები

არხოტმა უთვალსაჩინოესი მოღვაწეები აღუზარდა საქართველოს. აქ, უწინარეს ყოვლისა, აუცილებლად უნდა ვახსენოთ ხევსურული ხალხური სიტყვიერების ამგვარი შემკრები და თვითონაც შესანიშნავი მელექსე, აკაკი შანიძის მეგობარი და თანამედროვე **ბესარიონ გაბური**. მის მიერ მოპოვებული დიალექტური ტექსტები 1925 წელს გამოქვეყნდა საენათმეცნიერო საზოგადოების „წელიწდეულში“.

არხოტის თემიდან იყვნენ ცნობილი ცოლ-ქმარი **ნათელა ბალიური** და **ალექსი ოჩიაური**, მშობლები **დედიკა, თინა, ირაკლი** და **გოგი ოჩიაურებისა**. განუზომელია მათი წვლილი ფშავ-ხევსურული ხალხური პოეზიის, რელიგიური რიტუალების, საუკუნოვანი ადათ-წესებისა და არქაული რწმენა-წარმოდგენების შეკრებისა და შესწავლის საშეღებო საქმეში. მკითხველი იცნობს ნათელა ბალიურის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ ნიგნებს: „ხევსურული ქრონიკები“ და „სწორფრობა ხევსურეთში“. იცნობს, ასევე, ალექსი ოჩიაურის უშესანიშნავეს ეთნოლოგიურ ნაშრომებს: „სტუმარ-მასპინძლობა ხევსურეთში“, „ქართული ხალხური დღეობების კალენდარი“ და „ქართული ხალხური დღესასწაულები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“.

წარმოუდგენელია, წარმოსახვით იმოგზაურო სულიერებით მდიდარ არხოტის ხიბლიან ხეობაში და არაფერი თქვა **ლადო და თომა ბალიურებზე**. მათ, თავის დროზე, ღრმა კვალი დატოვეს საქართველოს ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების სფეროში. ლადო ბალიურმა, როგორც საგულისხმო ნოველების, მოთხრობებისა და რომანების ავტორმა, ხოლო თომა ბალიურმა, როგორც ქაქუცა ჩოლოყაშვილის ძმად-ნაფიცმა და თანამოაზრემ, მენშევიკური მთავრობის ოფიცერმა, სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებულმა მებრძოლმა.

ახელიდან გახლდათ **გიორგი ჯაბუშანიური** — ავტორი ბალადა „ვეფხვისა და მოყმის“ გაგრძელებისა, შედევრის ეგრეთ ნოდებული ახალი ნაწილისა — „იარებოდა დედაი...“

არხოტიონთა იძულებითი გადასახლების წინა ღამეს აღესრულა **გარსია ოჩიაური** — ცეკვა „ხანჯლურის“ უბადლო შემსრულებელი. კაცი, რომელიც მკითხველს უსათუოდ ემახსოვრება თამაზ ნატროშვი-

ლის შთაბეჭდავი ესეიდან და გოდერძი ჩოხელის მოთხრობიდან „გარსია ხევსურული სახელია“... არ ეთმობოდა ყველაფერზე ძვირფასი და აღმატებული მშობლიური მთა და აკი იწიალა კიდეც მისმა მინამ.

დიდი ხნის წინათ არხოტის თემში შედიოდა ციხე-სოფელი **ორბულთა**, ორბულთა სამოსახლო, სადაც დღემდეა შემორჩენილი საერო თუ რელიგიური დანიშნულების ხაგსიან ნაგებობათა ხელშესახები ნაშთები; შემორჩენილია ფრაგმენტული ხალხური ლექსიც, რომელიც ორბულიანთა მიგრაციის მიმართულებაზე მიგვანიშნებს: „**ადგეს, წავიდეს ორბულნი, იმერეთს წყალსა გაჯდესო, იმას კი ვერავინ იტყვის, ვერ იყვნეს, იმით წაჯდესო**“.

არხოტის ხეობაში, ჭიმლის კლდის ძირას არის დაკრძალული საქართველოსა და ქართველებზე ფანატიკურად შეყვარებული გერმანელი მოგზაური ელპიდე კურელა. ის ტრაგიკულად დაიღუპა 1956 წლის ივლისში, ათენგენობის წინა დღეს და მეუღლემ იქვე, შემთხვევის ალაგას, დაასაფლავა... ეს სამწუხარო ამბავი დიდი მხატვრული ექსპრესიით აისახა გურამ რჩეულიშვილის ბრწყინვალე მოთხრობაში „სიკვდილი მთებში“.

მათ შორის, ვისთვისაც არხოტი სულიერი საუნჯისა თუ საკრალური ისტორიების სახიზარს წარმოადგენდა და ურთულესი ბლიკებისა და უღელტეხილების გადალახვით სტუმრობდნენ მას, შეიძლება დავასახელოთ: აკაკი შანიძე, ქსენია სიხარულიძე, სერგი მაკალათია, სერგო ზაქარიაძე, გურამ რჩეულიშვილი, ლევან გოთუა, ნოდარ ანდლულაძე, გაიოზ შარაშიძე, ელგუჯა ბერძენიშვილი, მზია ბაქრაძე, ლეოლა გორდელაძე, თენგიზ მაღალაშვილი, ვაჟა გიგაშვილი, იურა ჯაფარიძე, გრიგერ ფარულავა, ანა კალანდაძე... ქალბატონ ანას რამდენიმე შესანიშნავი ლექსი აქვს შექმნილი არხოტისა და არხოტიელების შთავგონებით. მათგან ერთ-ერთი ასეა დასათაურებული: **„შეხვედრად ლეღით შემთვრალ თორღვასთან ახიელაში“**.

ორიოდე სიტყვა გაბრიელ ჯაბუშანიურის, ამ უნიჭიერესი, უაღრესად თავისთავადი შემოქმედის შესახებ: უნცრუათ გაბრიელი (ახლობლები, ნიშნად შინაურობისა, ამგვარად მოიხსენიებდნენ მას) ჭაბუკებად დარჩენილ „ჩვენთაობელთა“ ერთ-ერთი საინტერესო ნაშრომად გვჩვენდება. დაიბადა არხოტში, 1914 წლის 11 სექტემბერს. პოეტური ბუნებისანი იყვნენ მისი მშობლები: თამარ არაბული და უნცრუა (ლუკა) ჯაბუშანიური. გაბრიელი ადრეული სიყმაწვილიდანვე უძლიერესი მელექსეების გარემოცვაში იზრდებოდა. ბედმა მშფოთვარე, დაულაგებელი ცხოვრება არგუნა. ხშირად უწევდა საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა... დღემდე გამოქვეყნებულია ჯაბუშანიურის 17 პოეტური კრებული, მათ შორის — ერთტომეული. საგანგებოდ შეიძლება აღინიშნოს ლილური ციკლის ლექსებისა და ბალადების ნიგნი „ჰოი, ლილდოს დაღრუბლულ ცაო“. ამ ნიგნით პოეტი ჩვენს წინაშე წარმოსდგა, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მიერ არაადამიანური სისასტიკით შუა აზიაში დეპორტირებული ქისტი ხალხის უპირველესი მოზარე, ჭირისუფალი და მათი მიტოვებული აუღლები მხატვრული მემკვიდრე. ოდესღაც მტრულად განწყობილი ჩრდილოკავკასიელი მეზობლების მიმართ გამოჩენილი წრფელი თანაღმობა გაბრიელ ჯაბუშანიურს ახასიათებს, როგორც ტოლერანტული ბუნების პიროვნებასა და ვინაობისკურ ინტერესებზე ამაღლებულ ჭეშმარიტ შემოქმედს...

ნატირალი, სამგლოვიარო პოეზიის ეს უნიკალური ნაირსახეობა, სპეციფიკური ტერმინებით „მანიპულირების“ საკმაო სიმრავლით ხასიათდება: „მოთქმა“, „ხმით ტირილი“, „ძახილით ტირილი“, „სულით ტირილი“, „დათვლა“ („თვალვა“), „ზარი“, „ზრუნი“, „დალაობა“, „ნანილობრივ — გვრინი“.

ჩამოთვლილ ცნება-ტერმინებს, ფაქტობრივი მონაცემებით, ემატება კიდევ ერთი — „სიმღერე“.

„ქართული ხალხური პოეზიის“ (ტფ. 1931 წ.) წინასიტყვაობაში აკაკი შანიძემ გაკვრით აღნიშნა ადგილობრივი შემეცნებაში ლექსისა და „სიმღერის“ ფუნქციური თუ შინაარსობრივი სხვადასხვაობა. მეცნიერის მართებული თქმით, „**ლექსი ხევსურთ ძველებური გაგებით „სიმღერის“ საპირისპირო უნარია: სიმღერა საგმირო საქმეების წყობილ სიტყვად ასხმულ ქმნილებას შექიან და თავისი მუსიკალური ჰანგი აქვს ფანდურზე. ლექსი კი ყოველგვარ სხვა შინაარსის შირს ეწოდება**“.

მრავალმხრივ საგულისხმო წინასიტყვაობის ციტირებულ ნაწევებში ცნება „სიმღერა“ ძალზე ვიწრო, დასაზღვრული, ასე ვთქვათ, ავტონომიური მნიშვნელობით არის განმარტებული. „ბრალული“ ამ შემთხვევაში არა მასალის შემკრები და შენიშვნა-კომენტარების ავტორია, არამედ ინფორმატორი, ვისმიერი ახსნა-მითითებანი მაქსიმალურადაა გათვალისწინებული ხევსურული ხალხური პოეზიის ამ სწორუპოვარ, განუმეორებელ კრებულში.

სიტყვა „სიმღერის“ — სულხან-საბას განმარტებით, **„მსოფლიო ხმოანების“** — აღნაგობაში აშკარად იკითხება მუსიკალურ საკრავთა კომპონენტების სახელწოდებები: „სიმი“ და „ღერი“. სიმი, ვთქვათ, ფანდურის, ხოლო ღერი (ღერო) — ლერწმის... ესე იგი, „სიმღერა“, თუკი მისი სემანტიკიდან ამოვივალთ, თავისთავად გულისხმობს საკრავის თანხლებას, საკრავზე შესრულებას. ის, მეტწილად, საგმირო ანდა სატრფიალო ხასიათისაა, რომელშიაც ნაკლებად ადგილი რჩება დამთრგუნველი სევდა-მწუხარებისთვის.

ასეთია „სიმღერის“ ტრადიციული გაგება, მის სისწორესა თუ ლოგიკურობაში თუნდ მცირედი დაეჭვებაც კი შეუძლებელია.

ასევე ლოგიკურია და მხედველობაში მისაღები ტერმინის მეორეული შრე და მნიშვნელობა, სამგლოვიარო ხმასა და განწყობილებას რომ მოიაზრებს მასში და ნატირლის ლირიკული გმირის, იგივე „გატირის მგოსნის“, სულიერი განცდების ადეკვატურ უკუფენას ათვალსაჩინოებს...

როშკელი ქალი დასტორის ხადუელ დიაცს:

დედიკავ, ტირილ რაად გინდო, სიყმე-სიბერე ჩამდგალეო, შვილ-ზალი დაგტრიალებს თავსაო. წამით ჩუმდება და მერე თავისთავზე მოთქვამს:

ოთხ კედელთ შუა დამრჩალორო, ხან ამაუშობ სიმღერესაო. მიღმა სოფელში დაბინავებული მახლის შვილის პირით ესიტყვება სამზეოზე მყოფ ჭირისუფალს მძიმია ნიკლაური: **ახლა თუ მინამ დამიჭიროაო, ბევრი სხვაი მყავ ამხანავიო, არ გასტყდა, ბაბუაის ქალოო, არ ამაუშვა სიმღერეიო.**

ამ ნატირლის მთქმელი განმარტავს: **„სიმღერე ტირილ იყვ“**.

სიმღერა (ხევს. „სიმღერე“), დღევანდელი გაგებით, ნაკლებად ესატყვისება სამგლოვიარო გუნება-განწყობილებას. იგი მუსიკალური მელოდიის თანხლებს ანდა უმისოდ შესასრულებელ იმგვარ ტექსტს გულისხმობს, რომელშიაც ზეანუელი, მაჟორული ნოტი ჭარბობს სამგლოვიარო ხმირებას...

წერილში „რას მღეროდა ვაჟა-ფშაველა“ („ლიტერატურული საქართველო“ 12.VI. 1987) ლალი გულისაშვილმა სავეებით სამართლიანად მიანიშნა ღმერთთან მოლაპარაკე პოეტის „სიმღერად“ ნოდებული (დაქვესათაურებული) ლირიკული შედევრების უსაზღვრო სევდაზე. ავტორის დაკვირვებით, ვაჟა „სიმღერას“ მხოლოდ იმ ლექსებს უწოდებს, რომლებშიც საკუ-

რამდენი მიტოვებული, მიყურისძირებული სოფელია საქართველოში, უკაცურობის სამრისხველო სევდა რომ მორევი-ათ და ჩვენს თვალწინ ქრებიან პირისაგან მინისა; სულს ლაფავენ სამოთხისებრი სამოსახლოები, რომელთაც პურ-ღვინის მესაიდუმლე მინისმუშაკები, უხორცოსავით უშიში მეომრები და უღირსეულესი მამულიშვილები აღუზრდიათ. ამ სოფლების წიმარო წიალიდან სიზმარცხადივით ორგემაგე, დიდად უცნაური ამბებია ამომხვევებული; ამბები, ზნესრული ადამიანობისა და ამაღლებული სულიერების სახიერ მაგალითებად რომ შემორჩენიან ჩვენი უფროსების, მამა-პაპებისა და მათი წინაპრების ზეპირ, მესხიერებით ისტორიას...

ხევსურეთი. არხოტის თემის ძაბუნის სოფლები და შამბშესეული ნასოფლარები: ამაღ, ჭიმლა, ახიელა, კვირინმინდა, კალოთანა, თათხელი და ორბულთა (ბოლო ორი — უხსოვარი დროის წინანდელი). ვაინახური მოდგმის ჩრდილოკავკასიელ ტომებთან დაუძინებელი მტრობისა და საანდრეზო მეგობრობის საკვირველი ამბები; ჯვარხატების მეჭეშმარიტე მეენემსახურთა მინიერი ცხოვრების უჩვეულო ეპიზოდები; წინა საუკუნეებისა თუ ახლო წარსულის კაცთკითხულ პირთა დაუფინყარი ღვანლი და ამბავი...

არათუ ვრცლად ნაფიქრი და მონათხრობი, თითო-ოროლა არსებითი შტრინის ხაზგასმაც გვეშვლის იმის გაცხადებასა და გათვალსაჩინებაში, რა წვლილი მიუძღვის არხოტს, ამ მართლაცდა უწურთნი **„ჯიხვ-არწივების ბინას“**, ჩვენი ქვეყნის საერო თუ საღვთისმსახურო ცხოვრებაში.

არხოტის თემის სოფელ ამაღში, მონმენდილ ცაზე სამი მზის დგომის ჟამს, დაიბადა **ხოგაის მინდი**; მისანი, მკურნალი და ხევსურთა ნასიბიანი ლაშქრის წინამძღოლი. მინდის ნასახლარში, რომელსაც **„საბეკურს“** ეძახიან, დღეს იახსრის ხატის სადღეობო ჭურჭელი და ინვენტარი ინახება... ეს ის მინდია, რომელმაც ქაჯთათა თორმეტწლიან ტყვეობაში ზებუნებრივი სიბრძნე შეიძინა და უენპირო საგანთა საუბრის მოსმენა ისწავლა; ის გახლავთ ქარიზმატული, მითოსური ნისლით შებურვილი გამორჩეული გმირი, რომლის უჩვეულო თავგადასავალი საფუძვლად დაედო ვაჟა-ფშაველას პოემა „გველისმჭამელს“ და კონსტანტინე გამსახურდიას ნოველას „ხოგაის მინდია“.

არაერთი სახელხმიანი და უშურველად საქები გმირი იშვა და გაიზარდა მენაპირე არხოტის მაღლიან უბე-კალთაში. მათ შორის — **გაგა ბერდიშვილი**, ბერდიათ გაგა, „დავლათიანი“ კაი ყმა, ვისაც საორბედო ბრძოლებში ღვთის ნებით საფარველი ედებოდა და მტრის ტყვია არ ეკარებოდა. გაგას საქმენი სასახლონი ხალხურმა პოეზიამ უკვდავყო: **„ამღას ბერდიათ გაგაი სამის თემობის კარია“**. ანდა: **„ტერლის კარ უდგან ლოგინი გაგასა ბერდიშვილსაო, ჯიხვნი ხყვან სიმავრეშია, არ აძინებენ ძელსაო...“**

ნიკლაურთა გვარის ბერდიშვილები დღემდე ადიდებენ გაგას დავლათს, ესე იგი, სწამთ თვითნათი არარიგითი წინაპრის ღვთისნასახობა და უძლეველობა.

არც ალიათ მგელაა — **მგელა ჯაბუშანიური** — ღირსი დავიწყებისა. მგელას სახელთანაა დაკავშირებული წინასწარმეცანობისა თუ ნათელმხილველობის უცნაური უნარი. მგელა იყო **„ღვთის კაცი“**, კულტის მსახური, არხოტის მთავარი სამლოცველოს პირველი ხუცესი. მისი საფლავი სოფლის სულფონი სამაროვნისაგან მოშორებით მდებარეობს და შთამომავლობისაგან წმინდა, საკრძალველ ადგილად არის მიჩნეული.

დაცლისა და გაუჟაყარიელების რეალური საშიშროების პირისპირ მდგარმა



დანოელები კარატის ნიშთან

თარ დარდს, ტანჯვას, გაცამტვერებას, არარაობას გამოხატავს.

ვაჟა-ფშაველას პოეზიაში „სიმღერის“ საპირისპირო შინაარსის ცნებაა „გალო-ბა“:

ალარ მნადიან ვიმღერო, მინდა დღედაღამ ვგალობდე.

ასე რომ, ტერმინ „სიმღერაში“ დარდ-იან, ვარშიან ლექსსაც გულისხმობდნენ; „სიმღერა“, ფოლკლორული ტრადიციით და ვაჟას გააზრებით, ლექსად გლოვის („სამწუხაროსა საქმესა ზედა ვაებით, ტირილით და შეწუხებით ყოფის“ — საბა), მოთქმით დატირების სინონიმაც იყო.

კიდევ ერთი თვალსაჩინო ნიმუში დე-ბულების ნათელსაყოფად:

ვიმღერებ უკენობისადაო, აგებ სამუდომოდ დაგაძინაო, აგებ დედ-მამათ დაგაცოლაო, აგებ მიგიღას კოჭკათ გორმაო.

„ვიმღერებ“-ში, ცხადია, „გიტყვი“-ს იგულისხმება და, შეიძლება ითქვას, არც მოტირალი და არც მსმენელი არანაირ უხერხულობას არ განიცდიან მოცემული კონტექსტისთვის ერთი შეხედვით სრულიად შეუფერებელი, სულ სხვა შინაარსის მქონე სიტყვის ხმარების გამო.

უტყუარი გუმანისა და თანდაყოლილი მხატვრული გემოვნების მქონე „უბირი“ მოტირალი, ინტუიციით თუ ქვეცნობიერად, მიმართავს ისეთ გამოთქმებს, რომელთა ადგილი ერთადერთი და შეუცვლელია ხმით დატირების ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში...

ჩვენებური „ზარი“, — ნერს ილია ჭავჭავაძე, — **ეგ გლოვის მუსიკა, პოეზიასთან და-ძმასავით შეთვისხორცებული, იგივე სიმღერაა, სევდა-მწუხარებისა, როგორც მაგალითებ „მყარული“ — სინარულია და ბედნიერებისა, როგორც „ორ-პირი“ — ვაჟაკობისა, მედგრობისა და მხნეობისა“.**

როგორც ჩანს, არც ილიასთვის ყოფილა უცნობი სამგლოვიარო ზარის და სიმღერის სპონტანური სიახლოვე, ნათესაობა, მათი გენეტიკური კავშირი.

„საგლოელი ხმის“ სანაცვლოდ თუ სინონიმად „სიმღერის“ გამოყენება ქართველი ერის საარსებო იმპულსის ხატოვანი გამოვლინებაა: ენითუთქმელი სიმძიმის ნაში თუ წუთი ხმითმოტირებს ამქვეყნიურ ამაოებაზე ამარჯვებინებს, პირადი ტკივილის უმძაფრეს განცდას ტრაგიკულობამდე ამალღებს და სულიერი საღმობისა თუ შინაგანი განწმენდის წყალობით უპიროვნო ზებუნებრივ ძალებთან ამყარებინებს უხილავ კავშირს.

ჯვარიონი

ხევსურთ სალოცაში ჯინჭარ მომრავლებულ, საზღვრებ წელთდენაში შესცვლი, აღარვის სანთლის ნთებას, აღარვის წელმიცემას ჯანვ ხატის ხინჭრიკვებს ტკივილად შესცრი. მეტა დიდ ლოდნას, მაგრ მაინც არვის მოსვლას ხატ ქვეითა გადამდგარა-დ შეშლილ.
ეთერ თათარაიძე

უფროსი თაობის თუშებს, რომელთაც ზაფხულობით მთაში უწევდათ ყოფნა, დღემდე ტკბილმოსაგონრად აქვთ დარჩე-

ნილი ხევსურეთიდან გადასული ჯვარიონის — რიტუალური მსვლელობის მონაწილეების — მათთან სტუმრობა.

„ათნიგენობის“ წინა დღეებში ზანზა-ლაკებშებში ბურაყის ჟრიალით ჩამოივილიდა სამი-ოთხი ცხენოსანი თუშეთის თითქმის ყველა თემსა და ხეობას.

სამოკეთოდ შორ და „სახირხლიან“ გზაზე დამდგარი გულმედგარი ხევსურები იარაღს საჯინჭვლის მთაზე ტოვებდნენ (ეს იმ დროს, როცა სახანავ-სათიბშიაც კი მუდამ თან ატარებდნენ ხმალ-ხანჯალს!) და „უბაჯრონი“ შედიოდნენ თუშეთის მიწა-წყალზე.

პირიქითის ხეობის სათავეში მდებარე სოფლებიდან (ჭონთიო, გირევი, ფარსმა) იწყებოდა ხევსურ მორწმუნეთა ერთკვირიანი „ოღისეა“ თუშეთში. ხატის მსახურთ, როგორც წესი, სოფელში შესვლისა და სახლში ღამისთვის ნება არ ჰქონდათ. ნაბ-დების აპარა მყოფებს ხშირად თავსხმა წვი-მაში უხდებოდათ ღია ცის ქვეშ ღამის გა-ტარება...

ეს რიტუალი, დროთა განმავლობაში, ორი მეზობელი კუთხის ჭეშმარიტი ძმობისა და განუყოფელი ერთობის ნათელ გამოხატულებად იქცა. ერთმანეთს ხედ-ბოდნენ ბახტრიონის ბრძოლის მონაწილე-თა შთამომავალნი და ამ შეხვედრით, თავგ-ზიანი სიტყვა-პასუხით, წარსულის თქმი-თა და გახსენებით სათანადო პატივს მიაგებდნენ სამშობლოს დამოუკიდებლო-ბისა და თავისუფლებისათვის მამრალ ნინაპართა სსოვნას...

თუშ-ფშავ-ხევსურთა გენეტიკურ ერთობას შორეულ წარსულში უდგას ფესვე-ბი. „ქართლის ცხოვრება“ გვეუბნება, რომ მირიან მეფემ წარმართი მთიელების გა-საქრისტიანებლად, ახალ სჯულზე მო-საქცევად, მთაში გაგზავნა წმინდა ნინო, ეპისკოპოსისა და ერისთავის თანხლებით. ერწო-თიანეთის ერმა ნათელილო, ხოლო **„ფხოელთა დაუტევეს ქვეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს“.**

ხევსურები, სხვადასხვა მიზეზთა გამო, შედარებით ახლო წარსულშიაც გადა-დიოდნენ და მკვიდრდებოდნენ თუშეთში. ომაიძეების, ხაჩიძეებისა და ჯიჯურიძეების შესახებ თუშური ხალხური გადმოცემა მოგვითხრობს: **„ხევსურეთიდან წამოსუ-ლან ძმები — ომა, ხაჩი და ჯიჯური. ჩამოუვლიათ პირიქითის ხეობა. ჩამოსუ-ლან ქვემოში. ომაიძეს სახლის კედელზე თოფი მიუყუდებია. თოფსა და კედელს შორის მერცხალს ბუდე გაუკეთებია. რახან ჩემს თოფზე მერცხალმა ბუდე გაიკეთა, ჩემი ბუდეც აქ უნდა იყოსო, — უთქვამს ომას და დარჩენილა ქვემოში. ხაჩი და ჯიჯური შენაქოში წასულან და იქ დასახლებულან. ეს სამი ჯვარი ახლაც ერთმანეთის ახლობლებად მიიჩნევენ თავს...“**

ძნელი სათქმელია, რამდენად შეეფერ-ება ყოველივე ეს ისტორიულ სინამდვილეს, ერთი კი ცხადია და უეჭველი: ის ფაქტი, რომ **„ხევსურები და თუშები ერთმანეთს ბიძაშვილებად თვლიან“** (ს. მაკალათია), შემთხვევითი არაა და თაობათა მეხსიერე-ბაში შემონახულ, რეალურად მომხდარ მიგრაციის მოვლენებს უკავშირდება...

დროშა ერის ცნობიერებაში იმთავითვე მემორათა შეუვალი სიმტკიცისა და განუ-ნიღველი მონოლითურობის განმა-პირობებელ ჰერალდიკურ სიმბოლოს წარ-მოადგენდა. ის იყო საერთო, საზიარო სუ-

ლისკვეთებით გამსჭვალული მხედრობის შემაკავშირებელი და შთაბამონებელი ძალა. მის ქვეშ ნათქვამი ფიცის გატება მამულის ღალატს ეთანაბრებოდა.

სახელოვანი ხევისბრების ხელში ნაჭ-ერ დროშას მიიმდგარებდნენ ლიქოკელე-ბი, ქეთელაურები, სისაურები თუ ალუ-დაურები მთის გადაღმელ მოყვრებთან და დამხვედურთა ადამიანობის მაღლით გულ-ნაჯერებნი ბრუნდებოდნენ უკან.

თუშები საკადრისად ასრულებდნენ ჯვარიონის დახვედრისა და მიღების ყვე-ლა სავალდებულო წესსა და ადათს. ბევრი თუში სწორედ ამ ტრადიციულ რიტულზე დასასწრებად მიემგზავრებოდა ბარიდან თუშეთში (და არა „მთათუშეთში“!).

ტრადიციული ღვთისმსახურება, ქცე-ვის მკაცრ ნორმებსა და შეურყვნელ ზნეო-ბრივ პრინციპებს დაქვემდებარებული ლხინი და დროსტარება იმედით, მომავლის რწმენით და ეროვნული თავისთავადობის გონივრული გაგებით აღავსებდა დინჯსა და დარბაისელ სტუმარ-მასპინძელს...

დანოში, სოფლის განაპირას მდებარე მომცრო მალღობზე, ახლაც ფეხზე დგას ჯიხე-ირმის რქებით შემკული, შუკუმებდა-ტანებული, მკვრივად ნაგები კარატის ნიში, რომელსაც, უკვე შვიდი ათეული წელი იქნება, ალარ უხილავ ხევსურ-ეთიდან თუშეთში წინაპართა ტრადიციის გამგრძელებლად მისული ჯვარიონი. არა-და, სარგებლობის გარდა არაფერს მოუტანდა არც თუშეთს და არც ხევსუ-რეთს თავის დროზე წარსულის უსარგებ-ლო გადმონაშთად მიჩნეული გზის (ან უკვე ნაგზაურის!) კვლავ გაკვალვა და განახ-ლება.

ხიზანი

საირმე კლდის ასწვრივ, შეღმა ტყის ზემოთ, ერთ ქაჩალ, საქარე სერზე არყის მარტოხე იდგა. თავისი უბედობით და უთ-ვისტომობით წელში მოხრილიყო და წვრილ კენწეროებს მავედრებელი მლოც-ველივით იშვერდა დაგუდულ ხმაზე მო-ბურბურე ღამლაშა ტყისკენ...

მაისის თვეში, ამაღლება დღეს, ვნახე პირველად.

უმზოვ ჩრდილებში ისევ ლუსუმი თოვ-ლი იდო.

სალათიეს თეთრ ფონზე მზერის მიმზ-იდველ შტრიხად მიხატულ მარტოხეს შორიდან სიცოცხლის ნიშანკვალი არ ეტყ-ობოდა.

მივუახლოვდი. დასკვრამის მოლოდინში გაბრუნებული არყის მკვირივი კვირტები მზეს შესციცი-ოდნენ...

როდის და როგორ გაჩნდა ბურვილი ტყისგან მოშორებით ეს უცნაური ხიზანი, რა ძალამ და სურვილმა გარიყა და გაანა-პირა თანამომძეთაგან, ძნელი სათქმელია.

იდგა ასე, თავისთვის, სანუთროული ტვირთისგან წელში წამტვრეული და დაძა-ბუნებული; იდგა და, ალბათ, ღამლამობით მაინც იქარვებდა მარტოსულობის სევდას სავსე მთვარესთან საიდუმლო საუბრე-ბით...

მას მერე ნახირის მოსაგროვებლად ტყისთავ მავალი რამდენჯერმე კიდევ

ვენევი არყის მარტოხეს.

ყოველ მისვლაზე ამინდისდა ვწალობდ სხვადასხვანაირი ჩანდა: ხან ძალზე და-ღვრემილი და დამწუხრებული, შვილდა-კარგულ დედასავით ფერგამკრთალი და თმბჩამონენილი, ხანაც ფოთოლაში-ალეებული და წელში გამართვის მოცადი. ოღონდ: ზაფხულის სიმწვანეც ვერ ფარავ-და მინიდან ამოჩენილი მის დაძარღვულ ფესვებს, წინ ნაწევის დაუოკებელი ჟინით რომ წაგრძელებულიყვენ მოცვიან ფერ-დობზე...

ბოლოს, შემოდგომის ერთ მზიან დღეს, მე და ტარიელ ხარხელაურმა ვინახულეთ საქარე სერის შეუპოვარი ხიზანი.

წელში კიდევ უფრო მეტად მოხრილი და ღონემოღებული მეჩვენა.

ფოთლის სამოსისგან განძარცვული საბრალობლად გამოიყურებოდა...

მომდევნო წლის მაისში, ორი-სამი დღით სოფელში ასულს, საირმე კლდის ასწვრივ არყის კენტი ხე აღარ დამხვედრიდა. მოურჩენელ ჭრილობად აჩნდა მოხრუკულ სერს მოხუდრანავე ხარის ღონიერი რქე-ბით ნათხარი მიწა და ფესვების ნაგაბარი.

ციცქა ჯაბუშანური

სათენგენო ლუდი დუღდა ახიელაში. ციცქა ჯაბუშანურს ამლიდან დილაუთენია გამოეტანა სვია და ფორი...

ივლისის სადაგი, ცამონმენდილი დილა იდგა ასას ხეობაში. ორლობებს მოდებუ-ლი ნახირის ზმუილი აფხიზლებდა ნამძ-ინარე გარემოს. იღვიძებდა სოფელი. ბა-ნიან სახლებს ჟანგისანი სიძველის იერი დაჰკრავდა. მერცხლების ყივილი აყრუებ-და ახიელის ტანწერილი, ისარივით სწორ, მრავალი განსაცდელის გადამტან სიპერ-დიან ციხეს. მზის ოქროვან შუქში ბოჟირობდნენ **„ბისნა-ჩორების ნისლე-ბი“.** უხდებოდა ერთხანობას ღვთის ამარა მიტოვებულ არხოტის სანახებს სიცოცხ-ლის ძალუმი ჩქროლვა და ჩურჩული. ხარ-ობდა არხოტიონთა უკან დაბრუნებით და კვლავ წინაპართა საფიცარ მიწაზე დამ-კვიდრებით ადგილის დედა...

გულსაკლავად მოჩანდნენ შამბსა და შალანში ჩაკარგული ნასახლარები, მიწის პირამდე ჩაშლილი მგლოვიარე ყორეები... და მაინც, თვალს ალაღებდა ჟამთა სიავეს გადარჩენილი მიწურებიდან კამკამა სივრცეში აჭრილი ცისფერი კვამლი. სმე-ნას ამხნევებდა და ახალისებდა ცელქი ბალღების ანცი ჟრიაშული...

ოხშივარი ასდიოდა ცეცხლშენთებულ სალუდე ქვებს. იქვე ფუსფუსებდა ციცქა ჯაბუშანური. იგონებდა „კაის დროების“ ამბებს. გამჭრიახი სიტყვით ფერავდა არხ-ოტის მღელვარე ისტორიას...

ფოტოსურათის გადაღება ვთხოვე. უარი არ უთქვამს...

„არხოტის ქედის ქარებით ნაგვემი“, თემ-სოფლის წინაშე ნამუსიანად ვალ-მობდილი, შვილებისა და შვილიშვილების სიმრავლით მხნე და ამაყი, ძველებურადვე შეუვალი და გაუტყეხელი თავისი არსებო-ბით შნოსა და დავლათს მატებდა ზაფხუ-ლის ერთ ჩვეულებრივ, წყნარ, ფერსავსე დილას.





იქეთა ნაპირი ურვის სონეტი

მიხვედრილი ვარ, უხილავო, მიპირებ რასაც, ძველ ნახელავზეც გეტყობოდა — არ გავდი კეთილს, ლანდად მაქციე ჩემი თავის, რა გექნა მეტი, გამოკალული, ნერწყვს როგორღა შეინოვს სასა.

დაძრული, უკან არ დაიხევს გაყრილი რაზა, რა თალი მიჭერს ან რომელი მაკავებს სვეტი, გამთლიანებს ვისი ძალა დასანან წყვეტილს, რისიც გრძელდება მოლოდინი, არა ღირს ბრაზად.

საზარელია, რასაც ახლა გულმშვიდად ვყვები, წლები ჩავლილი, მოზიმზიმედ, ბზინავს ავზებად, ვითომ არ ვიყო ტყვე, მორჩილი, განუხრელ ნების.

მყარია ჩვევა ყველა ჭურჭლის — დაცლა, ავსება, მელევა ეს გზა, უთვალავჯერ ნათელი, სხვების, მიწის ნაშობმა, ვიცი, მსგავსი მსგავსს ეთავსება.

სუნთქვა მიჩირება

გატოკებაც კი მიჭირს, ჯავრმა ამისამ გამოთოკა — იმხელა გზაზე სული, როგორ გავუშვა მარტოკა?

საკითხავია ისიც, ტბაე ლისისა და კუმისო, პირმოკუმული, ლურჯი, საითღა გავწეე უმისოდ?

დატრიალებულს, ცაში, რამდენს გაუსხლტეს ქარიშხალს, დაფეთებული, ვაჰთუ, ფერფლმა დამარხოს მთვარისამ.

ალარც ხმა, ალარც ფერი... როგორღა ვიყო თანახმა, ვერასდროს შევძლო ყოვლის — მოსმენა და ვერც დანახვა?

მაცნევე ავდრის და დარის, ხან — ყინვავ, ხანაც — ლადარო, გადარეულო სულო, ვისა და რას შეგადარო?

ბულსაკლავად გააკლია

კაცი მისთვის იბადება, რომ სიკეთე სთესოს... რა აჯობებს, ქუთაისში მივეყვებოდე რეზოს.

მრავალთაგან შეუცნობი, სხვა ტკივილი მფატრავს, რა ვიღონო, არ მაქვს ახლა უფრო დიდი ნატვრა.

მოვილხენდით მის საძმოში, დავთვრებოდით მაგრად, შევახებდი ხელისგულებს — მის ნაფერებ ბაგრატს.

ჯიქურ ჭრიდა, თქმა იცოდა მოკვეთილად, ხისტად... ზღაპარია, სადღა ვნახავ გაცივებას მისდარს.

სათაფლიას მღვიმესავით გრილად არსად ბნელა... თვალებს მოეფერებოდა მისი წყალნითელა.

ვერ ვერევი ნალველს, ვერვის შევაცოდე თავი, არვინ მყავდა მისნაირი გულში ჩასაკრავი.

იგი შეერკინოს აებედს, ვინც რომ მამაცია; დავრაცრაცებ, ცრუ სოფელმა რა დღე დამანია!

სტუდენტობის მემოზარი გამახსენდა

მომნატრებია ნახვა მისი სახის და ტანის, ხმა გავიგონე ნუხელ — ცინცაძის, რუსუდანის.

დანთქეს ქვესკნელის წყლებმა იმისი ნავის კიჩო... გაღიმებულმა მკითხა: „კარგად ხომ კი ხარ, ბიჭო?!“

არად აგდებენ, ვუთხარ — ყვარელს, სხვიტორს და ჩარგალს... მთელ საქართველს უჭირს, მე რა მამყოფებს კარგად.

ალბათ მოგბეზრდა, დაო, იმ გრძელ სოფელში ძილი, მახსოვს ოჯახი შენი, ავჭალის გზატკეცილი.

ჯგუფელებს, ცოცხლებს, ერთად, შენ მოგვიყარე თავი, შენს ორ გოგოსთან იყავ ღმერთივით სანახავი.

ჩუმი, ფრთხილა, ფრთხილი — გაფრინდი, ჩიტი ვითა... სად ხარ, ნეტარო, ნეტა, გული არ დაგეწყვიტა!..

დიღმის ტრასაზე

კაცი და ბალახი

ბუნებას რა ეტყობა სიმდორის, არაფრად აგდებს ნაგებ-მოგებას; მიაქვს მანქანას ერთი მინდორი, დაპრესილია თივა ბლოკებად.

ელავდა მოლი საამებელად, ნაცრის მსგავსია, ახლა რაც არი; იმ ღეროს ნელში ხრიდა პეკელა, კალიის გადუფრენდა ტკაცანი.

ემზარ კვიტაიშვილი



დღემოკლეები გახვეტა ქარმა, ტაროსის ვერ გადურჩენ ხიფათებს; ქროლვა, ფარფატი გადექცათ არმად, ისინიც გადიყოლია თიბათემ.

თვალს ვერ შეასწრებ, დრო ისე გადის, სილოსი ალაგია კუბებად; ვერავენ შესძლოს გათიშვა მათი, სიკვდილ-სიცოცხლის ვცან შეტყუება.

ჟამთასვლა არც მე არ ამერიდა, დაჭმუჭნული ვარ სახით, ფერითაც; ძნელზე ძნელია, სიყმანვილემდე რომ მიგიყვანოთ ჩემ სიბერიდან.

დრო

მორჩილებს ყველა წუთი და წამი, გაფოფრილია წვიმად, ქარებად... არ გახლავთ ძნელი შემჩნევა ამის — დრო გარბის, თანაც, არ ეჩქარება.

ცას წვდება უხილავის მაგია, არვინ მეგულვის უფრო მდიდარი, ირგვლივ რაც დგას და რაც ალაგია — კენჭიც, სასახლეც, სულ მისით არი.

წინ რაც დახვდება, აბრტყელებს, თქერავს, ვერ-რა შებორკავს რკინისმკერდიანს; ყოველთა გულის განაგებს ძვერას, სამადაც დაყოფილი, ერთია.

ვერ ეკარება შური და ზაკვა, არ დაეღევა გადასაჯეკი; ძეხორციელი ვერ იგებს გზა-კვალს, სად მიმოფანტავს თავის დაჩეკილს.

პირაფერი ვიბრძენი საოპერაციო ბლოკი

ბურანი. ვარ და მგონია, არც ვარ... თითქოს დაფხვნილმა დამფარა ცარცმა. ტყვიად ქცეული, იდო ფეხები ბლანტ სითეთრეში. ეს იყო ჯვარცმა.

ეკრანზე მიმოიკლავნა ელვა, მიმოხაზული ჭერი დაბნელდა... ვერც ვხედავ, დაქრის, დასტაქრის ხელმა, დაჭრა ჯირკვალი ნაფლეთ-ნაფლეთად.

წვივები უქმი, ტლანქი ქვებია, კინალამ გავცდი საჩემო სამანს; წამითაც არ მიუტოვებია — ეს, მერამდენედ, ძე იხსნა მამამ.

ვარსკვლავო ცისკრის, იქ ბრწყინავ, მეგულეობდი სადაც; ოქროს შხეფების მაშხალა, მშვენიერიც ხარ, სადაც.

ყოველთა მჯობნი, მოგიძღვენ, სიმღერა წმინდა — კანტო... გულში რაც ამომიჭრია, მხოლოდ შენ უნდა განდო.

შენგან შევიწან, შევიცან — რწმენა და მცნებაც ათი... გებარებოდეს ეს მიწა, ამ წუთას რომ დანათი.

სულ მახსოვს, როგორ აღზევდი, უფლის წყალობა, მუქთი, აღზევანს წასულ მეურმის გზაზე რომ ამოშუქდი.

თეთრი ყვავილი მწვანე ბურჯა

ამან უნდა თქვას, უფალს ვყვევარო, არ ვიზამ, თითის წვერიც შევარო... ვინ შეგედრება თუნდ მცირედითაც, ბუნების, უხვის, ნამუშევარო!

გულში ორიოდ ყვითელი ძაფი, ტოკავს ნამცეცა ხუთი ფურცელი, მიმოუქროლებს ნიაფი სწრაფი, შენატრის სული, გასაძურნელი.

არ განელდება სურვილი ნახვის, მაცქერალს, მისას, სხვა შუქი დამდის, უცნაურად გავს პანია საყვირს, აწვდენა ხმისა რომ უნდა ცამდის.

მაცოცხლებელი

მუქ, მენამულ სინითლეს მზე გარს აკრავს ატამს; ბრონეულსაც, თავდახრილს, იგივე მზე ხატავს.

დასრიალებს ლაჟვარდში, თვალს წამით არ ხუჭავს; აყრის ხოხობს, ფარშევანგს — ოქროს, ბლუჯა-ბლუჯად.

ფხა როგორ დააცვებდა, ამხელა ცას შეფხვნილს... ყვითლად ფერავს ზურგს, ფერდებს — ლომისა და ვეფხვის.

ბრჯღალებს ლესავს ბორჯღალი, მზის გულს მზესვე ვადრი; სთველს ადნება ყველაზე მეტად, მისი მადლი.

ვარ მოწამე და მხილველი უთვალავ სიმწარეთა; ვერვინ იტყვის, რამით ვგავდე, მაყურებელს გარედან.

მოდმის ურვას ვინც არად თელის, უსულგულო ბრიყვია; მწუხარება — ჩემი, სხვისი, აროდეს გამიყვია.

წამით არ მაშორებს მზერას უფალი შეცოდების; ნელში მოხრილს, ლანდი გამდის — ცარიელი ოდების.

სატკივარი, არაერთი, ღვარცოფივით მოვარდა... მანადგურებს, მკლავს დანახვა — ქალთა, გაუთხოვართა.

ბატონიშვილს, ირმის ველარ უწოვია ცურები... ჩემი ხვედრიც ეს ყოფილა — ცრემლებად ვინურები.

მიუზნაბელი

არას მქონემ, უქნარამ, თავი როგორ ვიქო, ფრთაკრიალას, გასაფრენს, თუ ვერ შევკრავ სტრიქონს?!

გაჩანავდეს, ბარემლა, ძალა ჩანგის, ებნის; რა ფესვზეა მიბმული, რასაც დღემდე ვძებნი...

რამ დამაგდო იმედზე — თვალთა, ყურთა, ხელთა, რომელ ცას ეფარება, დამფერფლავი ელდა... ყველას გამზბილებელი, მე რას გამიმხელდა?!

ასატანია სიბერე ჩემი, გადაცდენილი ზღვარს; ვერ გავიმეტებ, რაც მიწვალა და ვერ გავატან ქარს.

ჯერ კიდევ, სიტყვა მიჰყვება სიტყვას, ფერიც ედება ფერს; რაც მთავარია, ნაცოდვილარი, არც ისე ცუდად ჟღერს.



დასამდურალი რაა, თანდათან რომ დავექანო ძირს? ხელმოკლეობაც ნაკლებ მანუხებს, მე სხვა ნალველი მჭირს.

მინის ნაყოფთა ზარება სოფელი მოვინატრე

კეფერა, მუჟე ფხალის ბევრი გავტყვირე ხვიტი, ბიჭი ათასი რამის სიყვარულს ვინახვიდი.

ლოყანითელა ბალის, დამჭკნარს ვხურხინიდი მარცვლებს, მიჭირს ჩამოთვლა ყოვლის, რისგანაც განვიძარცვე.

ჩაშავებული მაყვლის, ცერზე ცურავდა წვენი, წენგოს დაყრიდა მალე, ნიგვზები დასაცვენი.

გრძელყუნა, ხიდან ხეზე გადაპარული კვახი... მნიფდა, ტოვებდა ნალველს, უნახველ-დასანახი.

ვიმცვრევი, სთველისაკენ მიმაქანებდა რაც რო; გასცდი ეკალ-ბარდს, რამდენს, ტან-ფეხო დანაკანრო.

სიყვანვილავი, გამიღაჩემთან ზემო იმერეთი

ფერეთას მყოფი, იმ დღეებს ვლოცავ, მაჭარს, ამღვრეულს, ვხვრეპდი ჩამჩიდან, კაკლით მოჩრდილულ ეზოში როცა მზემ, თავბრუხვევამ, ხელი ჩამჭიდა.

ეზოს სიმწვანე ეხვია უხვი, მათამაშებდა წელი, ცამეტი. სამანქანო გზა. შრიალი მუხის. პირველად ვნახე ტყე აჯამეთის.

აიკანაზა გადმომდგარი ძალი ძველის გახსენება

შენი ხალათის ჩახსნილ ნაკეცში, სავსე თეძოსთან, დიდფოთლებიან ქლიავის ყვავილს, მტკავლისოდენას, გაშლილს, თეთრყირმიზს და მიზეზიანს, გაკლაკნილ რტოზე გამობმულს რომ გავს, იმდენად ცოცხლად, უმსუბუქესად მიხატულია, იფიქრებ, ერთი შერხევა უნდა, თან შიში აკრთობს. ვაჰთუ, უეცრად დაცურდეს ცვარი... რაოდენ საცთურს გაუძლოს გულმა?!

მართლაც ასეა შოპენჰაუერის კითხვისას

ეს სამყარო, ვეება, ჭრელი, მრავალსახა, გინდ — ყოფილა, გინდ — არა, თუ ვერ დაინახავ.

ბადურაში გაცრილი, უხვი საოცრება, დაბრმავებისთანავე; ბნელს მოიხვევს, ქრება.

დამწნეხელო ყოველთა, სანუხარო დიდო, ველირსები რა საშველს, თავი რომ ჩავეკიდო?!

მბანჯველი მოლანდავა

შემადანძალა და ტანში გამცრა — ვეება ჯაჭვით, შავ კლდეზე ვები; ბნელ ბუდეებში, თვალეების ნაცვლად, მენყო სრიალა, ყვითელი ქვები.

სახეზე, ლუმელივით რომ ხურდა, ამფარებოდა ტყვიის ქალაღდი; თივის და ნამჯის ბრუნავდა ბურდა, მეცქირა — რაღას დავინახავდი?!

მეხსიარების უძღუება

ზოზინში ბევრჯერ გავვიზომია — დროის სიმოკლე, სიგრძე; რამდენი წელი აქვს მონატრებას, რომ დავინყებად იქცეს.

წერტილი მოგსხლეთს, მეტ-ნაკლებია, უამი სხვათა და სხვათა; რარიგ მწარეა, თვითონ ხსოვნასაც რომ ენურება ვადა.

სიცოცხლის ტოტთა გატიალება, ტანჯვა, არაფრის ტოლა, ტკივილი, ცრემლი, რამდენმა რამდენს, საფლავში ჩააყოლა.

მონყლულის, მიუსაფრის ხვედრია, ქარის უსმენდე სისინს... რაც დანყვეტილა, რამ გადაწყვიტოს გამთლიანება მისი?

კუპოში მწოლის დანახვაზე ძველი შთაბეჭდილების აღდგენა

გათავდა კაცი და შეწყდა ვარდნა იმ სტაფილოსფერ, ყვითელ პუნქტირის... დაისადგურა დარბაზში დარდმა. გლოვა. ცოლ-შვილი თავითი უტირის.

დღე გასვენების მოვანდა, დადგა, ნეტარხსენებულს უცდის ჰადესი... შეძლებულია ოჯახი, რადგან — დიდი ქელების აქვთ სამზადისი.

ძაბრი

საით გინდა გამაქანო, ნუთისოფლის ძაბრო, ნავი, აფრებდალენილი, ყოვლად უარაფრო.

ჯერ ბრიალებს თვალთა ბროლი, არ აკვრია ლიბრი, მგლის მუხლიც არ მომკეცვია, ქარცეცხლს განაჯიბრი.

ვინ გასწავლა, მაგ დაგრეხილ, ვინრო ყელში მწურო... მზე დამხედავს, ვიდრე კლანჭებს ჩამჭიდებდეს სურო — ნედლ ფოთოლთა შარიშურში ცისკენ გავეშურო.

ვილაცანი სულ ამაოდ მიყურებენ ცერად, არვის ვადრი თავს, ადრეა ჩემი ჩამონერა.

იშვიათად ხდება

მომწონს ცუქცუქი მელის, მიყვარს ბაჯბაჯი დათვის... ცოტა რამ შეედრება — სინარულს გამოხატვის.

რა გაახარებს ნაყოფს, თუ არ მოება ყუნნი, ნეტარება რო მოაქვს — გამოზოგილი, ძუნნი.

დამფლეთის, დამფერფლავის, ამ წამებისთვის მზად ვარ, მზედ ანთებული, მხოლოდ მაშინ თუ ვგავარ მხატვარს.

სიმართლებარაული სიზმარი

ჩამორიგდა ლობიო, ორთქლს იხვევდა თეფში... ნუხელ ვიყავ მთელ ლამეს — დასაფლავებებში.

შეგვრთი, ერთი მეორეს გადაბმოდა ისე, რიგში, თქმა სამძიმართა, ხელად ავითვისე.

რბილი ახლდა შრიალი, ქალთა სამოსს, შავებს, ჭირის სუფრა, ყველასი, ერთად მოვითავე.

წვეთ სისხლს არ დავიდენდი, რომც დაერტყათ დანა... აქვე ვიტყვი, რა აზრის შევეძელ გამოტანა —

ალვიდგინე რამდენი სახე უნახავთა; მთელი ჩვენი ცხოვრება დიდ დამარხვას გავდა.

მზის ძალა ეცლება

გამიგია, ამინდები ცას ფერს უცვლიანო, კრაზანავ, რას დაბზრიალობ, ყვითელმუცლიანო?

ტანი გიგრძნობს, რომ ყველაფერს აქვს მიჯნა და ვადა; თვალი არვის არ მოუკრავს, ასე ვინც მოგხატა.

შეგიძლია, მთებს გადასცდე, გელის ტრამალები... აგვიცივდა, ეს გამწარებს — დაქრი გამალებით.

არაა ძნელი მისახვედრი

გადამკარგველო, არ მომწონს შენი ჩანაფიქრი თუ ქარგა; ყველა ნალალე და მე დამტოვე — კაი საქციელს არ გავს.

გამომინასკვე სამივე სკნელი, მასვი სამსალა, შხამი; დანთქე, სიცოცხლე მენადა ვისიც, რისი თქმა გსურდა ამით?

გულს მტკენ ყოველ წამს, ჩვილი ბატკნისაც არ მომიხერხდა შველა; ნუთუ მარტოდენ ღვიძლთა, მოყვასთა დამბადე საგლოველად?

სისხლად ნანვეთმა და გაცვეთილმა ვერვის შევეძელი დაცვა, რას მარგებს, ნატირალები, ჩემი, ცეცხლმა დაბუგოს, დანვას, ფეხქვეშ გავგე. არ ამბობ, თუმცა, გასაგებია, რაც ვარ.

თუ მენდობი, დამიჯერებ, შენთვისა ვარ თავმკვდარი... შემოდგომა ნახევრდება, მოზოზინობს ზამთარი.

ბუხართან ვერ ჩამოვჯდები, ვერც გავმართავ ყალიონს, ერთს გპირდები, რაც დრო დამრჩა, შენ უნდა შეგალიო.

ხელმოცარულ, ცულ მებადურს არაფერი მეებადა; ვფხოკიალობ, გაკიდული, თოკზე მოგონებათა.

გაღწობისგან დამიცვა აგვისტოს თონე

ძლივს გამოცოცდა, ვლოცავ ნიავს — ბეჭები, შუბლი გამიგრილა; ეგების ცოტა მოვცოცხლდე და შვების მომტანი დადგეს დილა.

მეცლება ღონე უცებ, სწრაფად, რა სათქმელია ჯანი, ჯაფა; არავინაა მონმე იმის, ყელში მობჯენილ სულს რომ ვლაფავ.

უჭკნობელი ფერები, დიდ-პატარა ხმები; ვინ თქვას შენი გახმობა, მუდამ გულზე მეტი.

გზადაკვალაბურდული, რაგინდ დავიბურდო; შენ თავს რა დამამორებს, დედამინის ბურთო?!



დასასრული
დასაწყისი №209

სოფლისთვის შეუფერებლად გამონყობილები მიუყვებოდნენ ქალაქისკენ მიმავალ შარას ბელა, ოლიკო, ანდრო და ალექსი.

„ქალაქი“ ხმამაღლად არის ნათქვამი. დაბა, პატარა დასახლება იყო, რაიონული ცენტრი. კლუბიც ჰქონდა, ფოსტაც და ვაგზალიც, სადაც სულ რამდენიმე წუთით ჩერდებოდნენ იშვიათად ჩამომდგარი მატარებლები. უმრავლესობა შეუჩერებლად, აკრეფილი სიჩქარის შენელების გარეშე ჩაუქრებლად ხოლმე მის ბაქანს და იტოვებდა უკან სვედიან ქალაქს თავისი სვედიანი სადგურით.

კლუბის დარბაზი გადაჭედო იყო. ძირითადად, ახალგაზრდები ჭარბობდნენ მაყურებლებში. ახლომახლო სოფლებიდან „სათეატროდ“ გამოპრანჭულები ჩამოსულიყვნენ სცენაზე გამოსული თავიანთი ნათესავის, ახლობლის საგულშემატკივროდ.

ალექსი ოლიკოს აკვირდებოდა. ხედავდა, რომ დედავდა, ნერვიულად ელიმბოდა. გვერდიგვერდ ისხდნენ. „ქაქუცა“, მისი ბიჭის, ყოველ გამოჩენაზე იძაბებოდა, თვალს არ ახამხამებდა სცენას მიმტერებულს.

ცოტა სასაცილოდ მოეჩვენა ალექსის „ქაქუცა“ — ემოციებისგან და ხაზგასმული მეომრული სულის გამოსაკვეთად ნესტობდაბერილი ლაპი. ოლიკოს ასაკისა იქნებოდა. კარგი გარეგნობის ბიჭი იყო: მაღალი, მხრებში გაშლილი, ოღონდ, ძალიან წვრილი ნაკვებით — ამგვარად შეაფასა ალექსიმ და იდაყვი მიადო ოლიკოს მკლავს. ოლიკო შეკრთა თავიდან და მუხლებზე გადაიდო ხელი სწრაფად. მცირე პაუზის შემდეგ კვლავ შემოდო სკამების გამყოფ ვიწრო სახელურზე. ალექსი, გვერდზე გამონევიტ, ბეჭით მიეზვიანა მას. ოლიკომ აღარ გადაიდო ხელი კალთაში, მორჩილ პოზაში. ცოტა ხანში ალექსის თავის დიდ მუშტში ჰქონდა მოქცეული მისი მტევანი და თხელ ძვლებს უთვალთვლებდა თითების შეხებით. სცენაზე ოლიკოს ბიჭი იდგა მაუხერებით ხელში და ცრემლმომდგარი კითხულობდა გრძელ მონოლოგს. ოლიკო მას ვეღარ ხედავდა. გაქვავებული იჯდა და ოდნავ თრთოდა, იგრძნო ალექსიმ.

ხმამაღალი ოვაციებით და ტაშით შეხვდა მაყურებელი „პაკლონზე“ გამოსულ მსახიობებს, ხაზგასმით თავმდაბლად სცენის კუთხეში გამორჩენილ რეჟისორს და პიესის ავტორს.

ოლიკოს „დატყვევება“ ალექსის მიერ ხანგრძლივი არ ყოფილა. ხანმოკლე ფერების შემდეგ მალევე გაუშვა ხელი და მეტი მცდელობა აღარც ჰქონია.

სპექტაკლის დამთავრების მერე ოლიკო კულისებში გაიქცა მისალოცად. ბელა, ანდრო და ალექსი გარეთ ელოდნენ. კლუბის უკანა კარიდან გამოსული ოლიკო და მისი ბიჭი დაინახეს. კამათობდნენ, უფრო ჩხუბობდნენ ხმადაბლა. ანერვიულეულმა ოლიკომ რაღაც უთხრა გაბრაზებით, თავი გაითავისუფლა სატრფოს მკლავებიდან და მომლოდინე სამეულს დაუბრუნდა.

— წავედით, — თქვა მან უკანმოუხედავად.

— ხომ მშვიდობაა, ოლიკო? — ჰკითხა ანდრომ. მან პასუხი არ გასცა. ბელა დაუნია და ხელი გაუყარა მკლავში. ჩუმად ალაპარაკდნენ.

— ტაქსი, — იქვე მდგარ მძღოლს დაუძახა ალექსიმ.

ანდრო წინ მოთავსდა. ოლიკომ არ მოისურვა ალექსის გვერდით დაჯდომა, ბელა მოახვედრეს შუაში. ოლიკოს მთელი გზა ხმა არ ამოუღია. ჩაჯდომისას გამოხედა ალექსის წარბმეკვრით, ნაწყენ-ბრაზიანი მზერით.

— ეგ არაფერი, ყველაფერს მშვენივრად მიხვდებოდა და გაგიგებს, — ამშვიდებდა ბელა ოლიკოს.

როგორც მერე გაირკვა, თაზო, ოლიკოს ბიჭი, ბანკეტზე ეპატიჟებოდა მას და ბებინს და მშობლების ნერვიულობა ვერ მიიღო უარისთვის საპატიო მიზეზად. პირველი სპექტაკლია, დებიუტი, ახლა უნდა ჰყავდეს გვერდში, დიდი ზეიმის დროს, გინდაც დაისაჯოს მშობლებისგან ამისთვის ოლიკო, მაინც უნდა გაჰყვეს. არ გაჰყვა ოლიკო.

ტაქსი ჩუმად ისხდნენ. მიჯანჯლარებდა ძველი ფიატი ბნელ, ასფალტდაუგებელ სერპანტინზე წვალბით, სიჩქარეების თრახთრახით ცვლით. სიმწრით ხრეშიან გზაზე ქვევზე ნაწილების ჩამორტყმით და დაჭეჭყვით ააღნიეს სოფლამდე. ტაქსის მძღოლი იგინებოდა ჩურჩულით.

სასაფლაოსთან ჩამოვიდნენ. ანდრომ და ბელამ ითავეს ოლიკოს სახლამდე მიცილება. ალექსი გაღმა იყო გადასასვლელი.

— ე მანდ, ფრთხილად იყავი ხიდზე. ნაღდად გელიან ჭინკები დიდი მოლოდინით, — გამოსძახა ანდრომ სიცილით და ბელას და ოლიკოს გადახვია ხელი.

ალექსის დაძაბულად გაელიმა. აღარ ახსოვდა ხიდი თავისი მურდალი ხასიათით, კანონებით და მოსახვევით. ფრთხილი ნაბიჯით ჩაუყვდა დაღმართს. კვლავ ბნელოდა უკუნეთად. ტელეფონის განათებას ხეირი ვერ მოჰქონდა, მეტრის დიაპა-

მაკაროვი თედოს უთბობდა საიმედოდ. ხელით ეხებოდა ჟამი-ჟამ. მატარებლის ხმა გაიგონა, მერე დაინახა, როგორ გაკვეთა მან ქალაქი ჭრელი, ციმციმა ნათებით და მიიშალა ხეობაში. ხმა კი კვლავ ისმოდა, დგაფან-დგუფუნ.

ყველა გაგონილი მატარებელი შენია, თუნდაც მიჰქონდეს შენი და იკარგებოდეს ზღვის ფონზე გაბრდღვიალებულ ქალაქში, ცათამბრჯენებიანში და ნითლად ეშმაკისბორბლიანში, და კიდევ იმის იქით, ცხრა ზღვის და ცხრა მთის იქით, მიჰქონდეს შენი დგაფან-დგუფუნით!.. მათარა ჰქონდა მოყუდებული, ცაზე მომწყდარი ვარსკვლავი რომ დაინახა. კარგ ნიშნად ეჩვენა.

ახალ ღერს მოუკიდა, როდესაც ფერდის დაკლავილი ბილიკიდან ფანრის შუქმა მიანათა სახეზე და ისევ ჩაქრა. ვიღაც მოიკვლევდა სიბნელებში გზას მისკენ. ოლიკო იყო.

— მოვედი, — უთხრა მან ქოშინით,

რეზო თაბუკაშვილი

უცხო სოფელში



ზონზე ანათებდა მბჟუტავად, უსარგებლოდ, კიდევ უფრო უბრმავებდა ხედვას ალექსის და საერთოდ გამორთო, ინტუიციას და მეხსიერებას მიენდო. გასამება ნაღდად ბევრი იქნებოდა, ვეღარ გადარჩებოდა, დაეცობოდა ნეკნების და გულმკერდის გაგლეჯვით პირდაფრენილად ამოშვერილ არმატურებზე. გააჟრჟოლა. საზარელი სურათი დაეხატა. თან, დამნაშავეს შეგრძნება სდევდა. შეიძლება, ოლიკოს გამო... გადი აქედან!.. ფრთხილად, ხელების მიწაზე ფათურით, გაათმაგებულად დაზაფრული მზერით მიიკვლევდა გზას ხიდამდე. აი, მოსახვევი... ეგ არის, ხომ?... არ ჩანს არაფერი, მაგის... და ვიღაც ღვთისნიერს მოფრმა მოუწდა, ეტყობა. მძინარე სოფელში ანათო შუქი ჩეჩმაში გასასვლელად. და უშველა ალექსის. ისევ არასწორად შედიოდა მოსახვევში, ისევ შარას! ნაბიჯი წყვილიდმი ელოდა. სადღაც ჩიტმა დაიკვილა თუ დაუფშტვინა. სწრაფად გადაიარა ხიდი. თითქმის სირბილით გაეცალა იქაურობას.

სახლში მისულმა დაღლა იგრძნო და ბრაზი. ხიდთან მიბრუნების ჟინი მოანვა ბოღმიანად და იქაურობის დედის მოტყენის... სანოლზე ჩამოჯდა სიბნელებში. შუქი არ აუწიოთა. ზამბარებს დაჰკრა რამდენჯერმე ხელი. მერე ოთახში შევიდა. მაისურში გახვეული შავტარიანი მაკაროვი ამოიღო ჩანთიდან. თედოში გაიჩქო. მათარა არყით გაავსო პირამდე და გარეთ გავიდა. სერისკენ წავიდა, ფერდობისკენ, სოფელში პარტახად ნოდებულისკენ.

თავისად მონათლული ლოდო ეგულეობდა იქ, სადაც უყვარდა ეულად ჩამოჯდომა. ფერდობს იქით ქალაქი მოჩანდა, დაბლა, შორს. ისიც გვარიანად ჩამქრალი და მთვლემარე. მოკალათდა ლოდზე. წახსნა თავი მათარას და მოიყუდა გრძელი ყლუპებით.

ოდნავ ნერვიულად, — გაღმიდან დაგინახეთ... ენოდით... ბევრს ენევით, — არეული ჩანდა.

— ჰო, ომში მოკიდებული სიგარეტი გაგყიდის და სნაიპერი დაგადებს ჩასაფრებულს, — რატომღაც თქვა ალექსიმ. ისიც აჭრალი იყო.

ოლიკო გვერდით მოუჯდა ხოტორა ბალახზე. მუხლებზე შემოიჭლო ხელები და თავით დაეყრდნო. ჩუმად იჯდა ჩაფიქრებული. ალექსიმ თავზე გადაუსვა ხელი.

— თამამი გოგო ხარ. როგორ არ შეგეშინდა ამ სიბნელებში გადმოსვლა?... თანაც, თქვენი ხიდის დედა რომ რა ვთქვი, — გაეცინა ალექსიმ.

— ხო, თქვენ ცუდად დაგაცდევინათ თავი, — ამოხედა ოლიკომ.

— კი, არ მიმიღო აქაური ნაქები სტუმარმასპინძლობით. არ მოვეწონე ნამეტანი.

— რას ამბობთ?! რო არ მოწონებოდით, ქე დაგიტოვებდათ იქვე... ყვარებისხარ ღმერთს, — თავი ისევ მუხლებში ჰქონდა ჩარგული ოლიკოს და ეცინებოდა.

— ჰო, ვუყვარვარ, მგონი... ყველა უყვარს სხვადასხვანაირად.

— ცოდვა არ გადაეცემა ეტყობა დიდი, — ჩაილაპარაკა ოლიკომ.

თავის სწრაფი მობრუნებით გახედა ალექსიმ. უცნაური გოგოა. თითქოს, რაღაც იცის მის შესახებ და დამალულად აქვს შემონახული, გაუშხელები... ბოდავს. რა, ან საიდან უნდა გაეგო ალექსის წარსული ცხოვრებისა?... ის ამბავიც ვინორწეში, სამძაქაცოში დაიმარხა და არ გაბაზრებულა. სულ სამმა იცოდა. ერთ-ერთმა უარი თქვა, ვერ მოანერა ხელი მკვლელობას, სისხლის ალებას... ეჩვენება. საკუთარი ტვირთი და სიმძიმე უბლანდავს ტვირის ეჭვიანად...

ჩუმად უყურებდა ოლიკოს. დამშვიდებული ეჩვენა: გადაუარა დაძაბვამ და უხერხულმა თავდაუჯერებლობამ. დაინახა ალექსიმ, რომ ვერ ხვდებოდა, ვერ გაეგო თავისთვის მიზეზი პატარა გოგოს, თუ რისთვის და რატომ მოსულიყო სიგარეტის კვალს გამოდევნებული.

— ცოდვების ვალს აქ არ იხდი. ყველა საკუთარზეა პასუხისმგებელი, — თქვა ალექსიმ.

— ნეტა, თაობებზე თუ გადადის მათი ვალი და ცუდად ჩადენილი ამბავი, შვილებს და შვილიშვილებს ხო არ მოეთხოვებათ? — ჩაფიქრებით იკითხა ოლიკომ.

— არ მინდა, მაგის მჯეროდეს. ყველას თავისი წილი უნდა მოეთხოვოს... რა შუაშია შთამომავალი? — ძველმა, ნაფიქრმა შიშმა დაუარა ალექსის, — რატომ მეკითხები?

ოლიკოს პასუხი არ გაუცია.

— მამაცი გოგო ხარ, გითხარი... — სი-

გარეტი გააბოლა ალექსიმ, — არ შეგეშინდეს... — სიტყვა განყვიტა და ნაფანი დანარტყა. სოფელს გაჰყურებდა ჩაბნელებულს და გრძელ ქედს, მის თავზე გადაჭიმულს, ცის ფონზე რომ იხაზებოდა გრეხილად.

— ვიცი, რომ მშობარა არ ვარ, — თქვა ოლიკომ და გულის ჯიბიდან რაღაც ამოიღო, პატარა და ოთკუთხედი, — აი, ნახე, — გაუნოდა ალექსის.

ღვთისმშობლის ხატი იყო. ძველი ნაკეთობა. მოვარაყებული ვერცხლი ატკეწოდა გვერდებზე და კუთხეებში. ღრუბლებში გამომძვრალი მთვარის შუქის დახმარებით დაინახა ალექსიმ.

— აკოცე, თუ გინდა, — შენობით მიმართა ოლიკომ.

ალექსიმ აკოცა და დაუბრუნა.

— ეს ხატი დანგრეული ეკლესიიდან არის... დიდი ხნის წინ, კომუნისტების რევოლუცია რომ იყო, იმდროინდელი, მაშინ დანგრეული. სოფელს გაჰყურებდა ისევ, — ბეზიაჩემის დედამ, ჩემმა დიდმა ბებიამ მოიპარა აი ხატი დანგრევისას... სულ პატარა იყო მაშინ, მთლა ბალანა, შვიდ-რვა წლისა იქნებოდა. მას შემდეგ ვუფრთხილდებით და ვპატრონობთ. ბებომ გადმომცა ამას წინათ. შენი მფარველია აგო, და შენ უნდა მოუარო და შეინახო, და მერე, შენს შვილებს გადასცე, — ამბად მოუყვა ოლიკო.

— მაგაზე კარგი რა არის?... მაღლია, — ოლიკოს აკვირდებოდა ალექსი.

— ჩემმა წინაპრებმა დაანგრიეს მაგი ეკლესია... გამოქცეულები ვართ კახეთიდან. სხვა გვარისანი ვყოფილვართ ადრე, — ჰყვებოდა ოლიკო, — ჩემს დიდ ბაბუას, გვიას, ხუთი ძმა ყოლია კიდო... მათ ჩაიდინეს ეს ცოდვა ერთად... ხალხიც ყოლიათ გამწარებული იმ მხარეში და



სისხლიც ედოთ, თურმე, — მძიმედ გამოუვიდა ნათქვამი ოლიკოს.

— რა გვარისანი იყავით? — ლაპარაკისას თვალი არ მოუშორებია ალექსის ოლიკოსთვის.

— გ...ძეები, — თქვა მან და კახეთის კუთხეც ახსენა, საიდანაც გამოქცევა მოუწიათ და გვარის შეცვლა. ალექსის საგვარეულო ადგილი დაასახელა.

გაშრა ალექსი. „ნახე, რისთვის მოვსულვარ ამ სოფელში“ — გაიფიქრა თავის ჩაქინდვრით.

— მამაშენმა მახოიამ იცის ამ ხატის შესახებ? — ჰკითხა მან.

— არა, კაცებს არ ვეუბნებოდით გვარში. სხვაფრივ ცხოვრობდნენ და ფიქრობდნენ ეგენი... ქალებზე გადადის ხატი, — კვლავ მუხლებზე ედო თავი ოლიკოს.

— და, ის ამბავი... ეკლესია და ხალხის დანაშაულები თუ იცის მახოიამ?

— კი, რაღა არ იცის, — დაიძაბა ოლიკო ალექსის ინტონაციაზე და შიშნარევი კითხვით გამოხედა.

— შენ არაფერი გემუქრება. შენ სუფთა ხარ და მართალი. აღარ იფიქრო ამ თემზე, — თავზე ხელი გადაუსვა ალექსიმ, — ნამო, გვიანია უკვე, გადავაცილებ.

— არა, რას ამბობ, — ისევ თქვენობით მიმართა ოლიკომ და ფეხზე წამოხტა, — არ დაგვიანხონ. სოფელია. ძინავთ ვითომ, მარა სულ ერთმანეთის მიყურადებაში და თვალთვალში არიან. მოწყენილობის არის, ალბათ. აქნავე ყველა ბილიკი და კენჭი ვიცი ხუთი თითითი. თქვენ არ მოინოთ რამე, ფრთხილად დოუყევით დაღმართს, ჯობია, — გაცინებით დაემშვიდობა ოლიკო და გაქრა სიბნელეში კუნტრუშით.

ალექსი დინჯი ნაბიჯით ჩადიოდა სერპანტინად დაკლავნილ ბილიკზე. სიფრთხილის და დავარდნის შიშის გამო არ შეუნელებია სვლა. თავისას ფიქრობდა გზად, მძიმე ფიქრებს.

სახლში მისულმა შუქი აანთო. პირსაბანში წყალი ჩაასხა და კბილის ჯაგრისზე წააცხო პასტა. „Aggressia“, თვალში მოხვდა იქვე დადგმული ასაკაფებლის ბოთლი. „აგრესია აგრესიის წილ“ — თქვა და ბოთლს გასცხო ხელუკუღმა, შორს მოიტყორცნა ყანისკენ. აივანზე დაბრუნებული გაუხდელად დაეგდო საწოლზე. ძილი დიდხანს არ მოდიოდა.

მოქუფრული, ნისლიანი ამინდი დახვდა დილით. დათქმულ საათზე გააღვიძა ტყუპების მიერ დაყენებულმა ჩიტების ჭიკჭიკმა. რეჟიმი გჭირდება, მამი, ადგომის და დაწოლის დროს ეს ჩიტები შეგასხენებენ და შენს უძილობასაც მოელება ბოლო — აუწყვეს მალვობა და დღის განრიგი შეიღებმა. საგრძობლად დაეხმარა, უძილობას აღარ უჩიოდა, გუშინდელი ღამის გამოკლებით.

ჩაიცვია. პირი დაიბანა. ბალახებში გადაგდებული „Aggressia“ იპოვა, უკან დააბრუნა, პირსაბანთან შემოდო ძველ ადგილას და უკვე ჩვეული მარშრუტით წყაროსკენ წავიდა.

ქაოსურად მოვარდნილ ფიქრებს იგერიებდა, შალვიკა პაპას სახეს იგერიებდა, ფოტოდ რომ ჰქონდა შემოდებული სახლში წიგნების თაროზე და ტყუპებმაც რომ დაუდგეს FB-ს გვერდზე. სამხედრო ფორმაში გამოწყობილი შალვიკა პაპა სევდიანი და მხნე გამოხედვით უყურებდა მას. არ იყო იგი თანხმობის მიმცემი, ამ საქმეზე არ მოაწერდა ხელს და არ დაუდგებოდა მხარში უხილავი ძალით, იცოდა და გრძობდა ამას ალექსი... „ერთი, ორი, სამი...“ — სიმღერით თვლა წამოიწყო ალექსიმ ფიქრებისგან თავდასაცავად. „ჰამლეტის მამის დედაც, მეც არ მევასებოდა არასდროს, მაგრამ...“ — სიმღერების პოპურში და ციფრების არეულად თვლაში მანაც იპარებოდნენ დაუკითხავად შემომძვრალი აზრები, შალვიკა პაპას თვლები... „ერთი, ორი, სამი...“

წყაროსთან მივიდა. ტანს ზემოთ გაიხადა. შეეყუდა მსხვილი მილიდან გადმოხეთქილ წყალს. რამდენჯერმე შეიყმევლა სიცივისგან, მერე გაუხურდა მთელი სხეული, ორივე ხელით დაიბილა მონდომებით. ნისლი დინჯად იდგა სოფლის თავზე. პერანგი და შავი ყელიანი ჯემპრი სიარულისას გადაიცვა და ლელისკენ აიღო გეზი.

ჩაცუცქული აკვირდებოდა წყლის დინებას. ქვებსაც გახედა, შეათვალა, სცადა ისევ „ძვირფასის“ პოვნა, მაგრამ უშედეგოდ. ნაცრისფრად ეყარნენ „უცხო“

ქვები, ვერდასამახსოვრებლები, ერთ თარგზე გამოთლილად დაცვენისებრი.

ხმაური მოესმა უკნიდან. მახოია სამკამერს მოერეკებოდა წიკვლით ხელში. გვერდზე ოლიკო მოჰყვებოდა.

მისაღმწენ ერთმანეთს. ოლიკომ შეთქმულივით გაუღიმა.

— საით გავინვეით? — კითხა ალექსიმ, ფეხზე წამოდგა და დაუინებით დააკვირდა მახოიას სახეს, მის ყოველ ნაკვთს.

— აგერ, ხვალე კამეჩები მიმყავს მთაში საძოვარზე. ახალი ბალახი უნდათ უკვე, — დინჯად მდგარ კამეჩებს მიაჩტყა ნკეპლა დუნედ.

— შორი გზაა? — ჰკითხა ალექსიმ და სიგარეტის კოლოფი გაუნოდა მახოიას.

— მადლობა, — ხელის შარვალზე განმენდით ამოიღო ორი ღერი, — ერთი დღის სავალია. ჩავაბარებ იქ, მყავს ბიჭები, ღამეს გაათევა და — უკან, — ერთი ღერი შელახული პერანგის გულისჯიბეში შეინახა, მეორეს მოუკიდა.

— როდის ვადიხარ?

— დილაუთენია. ექვსისთვის, — უპასუხა მახოიამ. ოლიკო ოდნავ უკან იდგა და ძირს იყურებოდა.

— მეც წამოგყვები, — უთხრა ალექსიმ.

— რაფერც გენებოს. არ არის იოლი სავალი.

— ფორმაში ვარ, არ შეგაფერებ, ვივლით კარგად.

ოლიკო წყლის პირას მივიდა. წელში მოხრილმა იყურა დაბლა და, თითქოს ყვავილი მოწყვიტაო, სწრაფი მოძრაობით აიღო შერჩეული ქვა.

— ა, რა ლამაზია, ნახეთ, — დატრიალდა ერთ ადგილას ოლიკო, შორიდან აჩვენებდა ქვას. მერე ალექსისთან მივიდა და მისცა. არაფერი განსაკუთრებული, ჩვეულებრივი ქვა იყო: საშუალო ზომის თეთრი ქვა, შავი დაგრეხილი ხაზებით დასერილი. მაგრამ, ეგ იყო. მთავარია, პირველი ქვა მოძებნო, მერე გეხსნება, სხვა ქვების შემჩნევას და გრძობასაც იწყებ, ისინიც გენახებებიან მთელი მშენიერებით. ოლიკომ უპოვა პირველი ქვა. ოლიკოს და მახოიას ნასვლის შემდეგ ათამდე ქვას გადაანყდა ალექსი შესანახს და თბილისში სახლამდე ჩატანის ღირსს. სამხედრო შარვლის ჯიბეებში ჩაიყარა გადანაწილებით. სახლში მიბრუნება არ უნდოდა. ანდროს მიადგა სამხერხაოში.

— სალამი, ძმაო! — ელექტროხერხით ჭრიდა მოზრდილ მორს ანდრო. სახეზე პლასტიკატის დამცავი სათვალე ეკეთა.

— ხელს ხომ არ შეგიშლი? — ჰკითხა ალექსიმ.

— არა, რას ამბობ? მოდი, მხიარულიც იქნება მუშაობა. დაგანახებ რაები გამომდის და როგორ, — თავიდან აამუშავა მისაღმებისას გამორთული მანქანა ანდრომ.

ალექსი სავარძელში ჩაჯდა. ანდროს გაკეთებულ ნივთებს გადაავლო თვალი. უზარმაზარი ფესვებიც იდო დამუშავებულნი, გაშალაშინებულნი, ლაკნასამული და ხელის გულზე დასატევი, ნაჩორკნი ფიგურებიც ელაგა მიმოფანტულად მაგნიდაზე. ახალგაკეთებული ორი სკამი ამოყირავებით მიეყუდებინა კედელზე საღებავის შესაშრობად.

ააბლულია ანდრომ ელექტროხერხი. გვერდები ჩამოათალა მორს, წაწვეტებები გაუგლუვა, მერე გამორთო, სათვალე მოიხსნა და წვრილი ხერხით შეუსწორა ქიმიანი ადგილები.

სასიამოვნოა შრომისთვის თვალის დევნება, თან, როცა ხედავ, რომ გამოსდის საქმე ადამიანს, გულონად ირჯება.

— ბელა! — დაიძაბა ანდრომ. მუშაობა არ შეუწყვეტია.

ბელა შემოვიდა, ალექსი გადაკოცნა.

— ყავა, ჩაი? რომელს დალევ? — ჰკითხა მან.

— ყავას, — უპასუხა ალექსიმ.

— და ხაჭაპური და არაყიც გამოაყოლე, — უთხრა ანდრომ.

— აუცილებელია? — გახედა ალექსის ბელამ.

ალექსიმ, თანხმობის ნიშნად, თავი დაუქრა ღიმილით.

— დილას გაუმარჯოს, სიცოცხლეს გაუმარჯოს, — ნაუცბათევედ გაშლილ სუფრასთან დასხდნენ. ანდრომ ასწია ჭიქა და გადაჰკრა, — კულაუ კეთროვანივით უფრო და უფრო მეძვირფასება, — თქვა მან.

— სად გაგახსენდა, — რაღაც გაუხ-

არდა ალექსის.

— მე არა, ბელამ გამახსენა დღეს დილით. შემადარა, — ცრემლი მოადგა ანდროს. სიცოცხლეს არ მისტიროდა, ბელასთვის გადმოგორებული ცრემლი იყო, მიხვდა ალექსი, — გაცინო, — გამოერკვა სწრაფად ანდრო და ჩამოასხა, — ბევრი ვიფიქრე, რადამრჩა გაუცნობელი, რას ვერ გადავეყარე ჩემს ხეტიალში-მეთქი, და გამახსენდა, აღმოვაჩინე, რომ ექო არ მქონდა გაგონილი არასდროს. ზღაპრებიდან მახსოვდა, მთაზე ფეხშედგმული გმირების შემოძახება და გაბეგრებულად, შორიდან იმედად დაბრუნებული პასუხი. ამას წინებზე ბელას დავავლე ხელი. ჩვენს მთაზე ავედით ნვალებით. ბევრი დრო და ჯანი მოვანდომეთ. გზადაგზა ბელა მაგინებდა, სად მიმართე ან რადაო? როგორც იქნა, ავედით. დავედექი ამაყად წელში გამართული და დავიძახე ომანხინად: „ეჰეჰეჰე!“ ჩემი ფეხები. არავითარი გამოძახილი. ბევრი ვიყვირე ყელის ჩახლეჩვით და ვიგინე კიდეც ხარხარ-ხარხარით. ბელას რომ აუხსენი ჩემი განბილების მიზეზი, დამცინა გულიანად. ამ გაშლილ სივრცეში ექოს ვინ დაგებრუნებსო?.. სხვა კლდეებს ან მთებს უნდა შეასკდეს შენი ძახილი და ისინი როცა გაგიგონებენ, მერე გაგცემენ ხმასო.

გაასამეს და ალექსიმ აღარ მოინდომა მეტის დალევა. ანდროსთვის არაფერი უთქვამს, ანდა, რა უნდა ეთქვა, რომ ხვალ, სოფლიდან საათის სავალში შერჩეულ ადგილას, სადაც ერთხელ უკვე იყო ნამყოფი ალექსი, ბილიკიდან ტყისკენ გადაიყვანს მახოიას და მოტიტვლებულ ადგილას და ჩოქილს გლიჯავს?.. გააკეთებს საქმეს და გატოპავს ტყეში. არც მალეაში ნასვლას და არც დახებებს არ აპირებდა. ორი მჭიდი აქვს და წინ ტყეა უღრანი, მთებზე გადავინილი შორანდი. ივლის, სანამ რომელიმე ხის ძირას არ წამოწვება და ბოლო წამლევრებით არ ჩაიძინებს.

— არ ნასულიყავი, რა ვქნა, — დედა სანვიმარს აწვდიდა მახოიას, — ჩამეიქცა ცა.

— არ უჩანს გრძელი პირი, მალევე გადაიღებს, — უპასუხა მახოიამ და ბრუნეტიც მოსასხამი მოიცვა, კაპიუშონი გადაიფარა თავზე.

ოლიკომ საგზალი მოუშადა. მწვანე, გაცრეცილ ზურგჩანთაში ჩაულაგა საქმელი და ფეხთან გამშრალი ტანსაცმელი.

— ნეტა, თუ წამოვა ამ ამინდში ალექსი? — უფრო თავისთვის იკითხა ოლიკომ.

— წყაროსთან უნდა შევხვდეთ. პანა ხანს დავგლოდები და გოვუყვები გზას, თუ არ გამოჩნდა, — თქვა მახოიამ, პატარა ზურგჩანთა ბეჭზე მოიდგო და გარეთ გავიდა.

— ძველ ხალხს რაფერი სხვანაირი გამოხედვა აქვს, — კომპიუტერთან მიმჯდარ ოლიკოს დაადგა ბეზა და ეკრანზე გამოჩენილ სამხედრო ფორმაში ჩაცმული კაცის ფოტოს შეხედა, — ვინაა აი კაცი? — იკითხა მან.

ნახევარი საათის გასული იყო მახოია კამეჩებთან ერთად თქემ წვიმაში. ოლიკო ხშირად შედიოდა ალექსის გვერდზე. ზეპირად იცოდა ძუნდად დადებული მისი სანათესაოს ფოტოები. ოლიკომ ალექსის პაპის სახელი და გვარი უთხრა ბებიას. გაფითრდა ბებო. სკამზე დაჯდა მონყვევით.

— მაგ კაცის სისხლი გვადევს, ბებო გვიყავს რო არ მიეტევოს მარცხად, დაინყველა და ღონეშიხილმა გახედა ოლიკოს.

წამოხტა ფეხზე ოლიკო. სწრაფად დაუკავშირა ერთიმეორეს, უცბად გაიხსენა ღამით პარტახზე წამოროშილი სიტყვები და ოჯახის გაცემული საიდუმლოება. დაბნეულად გაიარ-გამოიარა ოთახში, ნერვიულად. მერე ბებიას დაადგა თავზე და, ეჭვების გასაფანტად თუ გასამყარებლად, სწრაფ-სწრაფად გამოჰკითხა ძველად მომხდარი ამბავი.

— დედა, მოკლავს... მოსაკლავად ყავს ნაყვანილი, — შემოირტყა თავში ხელი ბებამ, როცა ალექსისთან ნატლიკინები გაუშხილა ოლიკომ.

სწრაფად მოიცვა „ბუშლატა“ ოლიკომ. გარეთ გავარდნილი უკან მობრუნდა. მამამისის კარბინი გამოიღო კარადაში შემალული. ვაზნებს მუჭით დაავლო ხელი და გაიქცა კვალზე დამდგარი. ვერ უნდა ნასულიყვენ შორს. სირბილით ადვილად დაენევა, თუ გვიანი არ არის უკვე... მთის თხასავით მიბრბოდა ოლიკო ტალახიან ბილიკებზე, მოკლებით, გზის მოჭრით, სუნთქვარეული. წვიმა ძლიერ...

თოფი ზურგზე ჰქონდა მოგებული საკილით. ბორცვზე მიფოფავდა დაქანებულზე. თითებს მინაში არჭობდა დაცურებისას, ძამიშვლებზე ფეხებს ეჭიდებოდა ხელით ძლიერად, არდასავარდნად... ცოტაც... ამ ბორცვზე ააღწევს და იქიდან კი უნდა გამოჩნდნენ უკვე... ლოცვას არ წყვეტდა მთელი გზა გულში. უბედურების აცილებას ღმერთსაც სთხოვდა და ალექსისაც.

შედა ბორცვის თავზე. სიმალიდან გახედა ტყეში გაკლავნილად მიმალულ ბილიკს. არავინ ჩანდა. ძლიერი წვიმა ხელს უშლიდა ხედვაში, ღვარად ჩამოსდიოდა წყალი სახეზე, თვალბეჭე. კიდეც ერთხელ გააყოლა მზერა ბილიკს. არ ჩანდნენ. მერე რაღაც მოძრაობას მოჰკრა თვალი მარცხენი ბილიკიდან მოშორებით, ტყის შუაგულში, მოტიტვლებულ მდელიოზე.

იცნო მუხლებზე დაგდებული მამამისი და თავზე დამდგარი იარაღმართული ალექსი. სწრაფად მოიძრო თოფი ბეჭიდან, განვა ტალახში და მათკენ მიუშვირა ლულა. არ იყენენ შორს, სამოცდაათი მეტრი იქნებოდა. ოლიკო კარგად ფლობდა თოფს. ბევრი უსვრია მიზანში მახოიას მონდომებით და სწავლებით. „როგორი მარდი და სწრაფი ხელი აქვს ოლიკოს, ბიჭისთვის შესაშური“ — შეუქიათ არაერთხელ.

— ალექსი! — დაიძაბა რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ წვიმა ახშობდა ხმას. ჰაერში გასროლის ეშინოდა, მამამისის შუბლთან მიტანილი იარაღი რომ არ გავარდნოდა რეფლექსურად ალექსის. რატომღაც ჰქონდა მისი იმედი.

— ნუ დაიძიმებ სულს, ალექსი, და მეც დამინდე და ამაცილე ცოდე... ღვთისშობელო, შენ გოუნათე ტვინი და გონება ალექსის. ღვთისშობელო, შენ გადაგვარჩინე... — ჩურჩულებდა ოლიკო, გულის ჯიბეში ჩადებულ ხატს მინაზე მიბჯენით გრძობდა, მკლავით ეხებოდა და ალექსი ჰყავდა მიზანში ამოღებული.

ცადნამოქცეული წვიმის ხმაური ფრინველის ხმად გაარღვია, ჩიტის ფშტვენა იყო თუ შეკვივება.





მიდი, გარეკე!

მიდი, გარეკე, თორემ ქარმა უკვე გარეკა, დეკემბრის ნკვარამს ვარსკვლავებიც ველარ შევლიან, ცამ „სულთათანას“ სევდიანი ზარი დარეკა და მთვარეც ახლა ძველებურად ფეხშიშველია. აი, მოვდივარ, წყეული ცა სულში მიძვრება, სულში ბობოქრობს, სულში ავობს, სულში მყეფარობს, ერთხელ სიბერეს კი არადა, ხომ შეიძლება თუნდ ერთხელ მაინც, თვით სიკვდილსაც გამოეპარო. მიდი, გარეკე, თორემ ჩემს ქოხს ფრთები დაატყდა, მთვარის როკვასაც ველარ უძლებს ძველი ყავარი და თუმცა ჟამი მეც მეხვივით თავზე დამატყდა, „ჩემი სამარხი ზედ მარტყია ვერცხლის ქამარი“. მიწაზე ვიყავ და ცა იყო ჩემი წაწალი, დღეს აღარც ცა მსურს, აღარც მიწა, აღარც მზეს ველტვი, მიდი, გარეკე, ის მესამე გზა მიმასწავლე და არ იქნება ის მესამე ახლა ზედმეტი. შლეგი ვიყავი, ვაგროვებდი მთვარის ანაცერს და ქარიც შლეგი ტანზე ლექსის ზღაპარს მაცმევდა, დღეს ნუთისოფლის ხიდზე მდგარი უნდოდ ვბარბაცებ მე — ვისაც ადრე ღვინოც კი ვერ მბარბაცებდა. მიდი, გარეკე, ამ სიბერეს დედა უტირე, კვლავ თუნდაც ერთხელ მოიგოჟე შენი ჰარემი, ვნებათა ჰაშიშზე ბებერ გულში გზები უტიე, რომ დაგრჩეს ლექსი მონამლული და სისხლნარევი. ვიცი, ღამდება, ვიცი სადღაც ცივა იანვარს, და მზის გარეშე დარჩენილი ჩერო სლუკუნებს, ნუ მეკითხები, რად გაგვეხსნა გულის იარა ამ ნუთისოფლის ბნელ კოფოზე შემოსკუპულებს. ნუ მეკითხები, პასუხია თავად ის წლები, თვალდახელშეა რომ გაფრინდნენ უაღვირონი, დღეს ზამთრისპირის მიწაქარში ნაზად ვინვები, მხრებზე გადმომდის ამ ცხოვრების მღვრიე მირონი. აბა, რად გვინდა ჩვენ დიდება ლექსის სულთანებს, ჟამი თუ ხელს გვხვევს, გვეუბნება — „ნამო, ბიჯო, ქვე“... აქ მთავარია, სიკვდილივით გვდევედეს სულ თან ეს: — მოკვდებით, მაგრამ არასოდეს ნამოვიჩოქებთ!

ხალხურ კილოზე

ბალი ხარ, ნუთისოფელი, იყვავილებ და დაჭკნები, ჯერ სულში მზებებს ჩამიფენ, მერე ჩამჩეხავ ხანჯლებით, მაინც არაფერს დაგიდევე, თუ შენს ხსოვნაში ჩავრჩები!

ქვიშხეთი, გაზაფხული ესკიზი

თოვლის ფიფქებზე მიხატულს ჰგავდა ეს ნუშის ტოტი, ქარის ნოტი კი ვერ იღებდა სასურველ შედეგს... ქვიშხეთის ცაზე მზე გალობდა ძველთაძველ მოტივს და მოყვავილე ფიფქის ფთილა — ეს ნუშის ტოტი ჰგავდა ვან გოგის შეფიფქულ შედეგს.

*** მეც ჩემს სალამურს ვაკვნესებ, გულ რომ არ დაიწრდილოსა, მთელი ცხოვრება ვებრძოდი უჩინოსა თუ ჩინოსანს. ახლა დავხურე დარაბა, მსურს დავისვენო, შვილოსა, მზე ქავის კარზე მიბია, ან რალამ შემაშინოსა?!

*** „ვუთხარი ნუშის ხეს, დაო, მიაბე რაიმე ღმერთზე და ნუშის ხე აყვავდა“. ნიკოს კაზანძაკისი

რატომ აყვავდი, ნუშის ხეო, ჩემო დობილო, განა გთხოვე გეთქვა რაიმე ჩემთვის ღმერთზე, ანდა ღვთისმშობლის კალთის შუქზე, შენს ტოტებს რომ გადააფინე? რატომ აყვავდი, ნუშის ხეო, ასე ძალუმად, დობილო ჩემო, ჩემი ფიქრების ნათელმხილველო. მე მხოლოდ გულში გავიფიქრე, რომ უფალზე გეთქვა რაიმე, შენ კი ადექ და უცებ აყვავდი...

ზეპახ, სიცოცხლეო ჩემო

თითქოს ზღაპრებიდან მესმა ხმა თეთრად მბრწყინავი სევდის, თითქოს თავნებობდა ლექსი, თითქოს აიაზმას ვსევამდი.

მურად მთვარელიძე

თითქოსდა ვნატრობდი გულში მენახა ოცნების ჩერო, თითქოს დამიძახე გუმინ: — ზევახ, სიცოცხლეო ჩემო! ლექსშიც სიყვარულით მოხველ, მზერაზე გიცანი, გჩემობ, ხელს მხარზე მსუბუქად მოგხვევ, თვალთა ვარსკვლავების მჩენო და ჩემთვის ვჩურჩულებ მშვიდად: — ზევახ, სიცოცხლეო ჩემო!.. საუკუნეების ძილით დალუქულ აკლდამებს ვამტვრევ, სატროფო ხარ, და ხარ თუ შეილი, შემოგხსნი დრო-ჟამის სალტეს, საუკუნეების ძილით დაბეჭდილ აკლდამას ვამტვრევ. ქარი ამოვარდა თითქოს, ქარიშხალი ან მზე ამობრწყინდა წამით აკლდამიდან და შენ გაიღვიძე მთვარაღმა დარიშხანით და შენთვის იკითხე: ღმერთო, აქ რა მინდა? სევდის დედოფალო, სევდა ამიშალე, რატომ წამოდექი შენი აკლდამიდან? ათასწლწლულების წრიდან დგება სიყვარულის ჯერი, თვალეში მიყურებ მშვიდად და წარმართ სიმღერებს მღერი, ათასწლწლულების წრიდან დგება სიყვარულის ჯერი. და ეს ხმა, ეს მკვდარი სუნთქვა მეყოფა სამოთხის ჩეროდ, ახლა მეც წარმართულ სულთა უნაზეს სიმღერებს ვჩემობ, შენ კი, კი არ მღერი, სუნთქავ: ზე-ვახ, სი-ცოც-ხლეო ჩე-მო!

უკანასკნელი ფოთლის მონოლოგი

ფ. ქაჯაიას

ჩვენ უკანასკნელ ფოთლებად შევრჩით ასწლოვან მუხას — ასგზის ნამეხარს, სულის წყაროდან კვლავ მოგვაქვს პეშვით ლექსი, რომელშიც სევდა ჩავგვერხა. მაგრამ ეს სევდაც ისე ნაზია, ვით შემოდგომის ვარდის სურნელი, და ვიდრე ქარს ცა გადუხაზია, უნდა გაგანდო ერთი სურვილი: როს თებერვალი ყინვას მორჩება, ეს შეტამუტა მარტიც მაცალე, თორემ ვერ ხედავ, ცად ტორონჯებმა რა სევდიანად გადიტკარცალეს?!

იქნება!

იქნებ ოქტომბერს ეს შეშლილი ქარი შეაკვდეს, იქნებ ღრუბლებმა დაიმორცხვონ ცაზე ცოტა ხნით, თორემ ამ ღამით ვარსკვლავებმა თუ არ შეამკეს, ვით ინკრიალებს აბა, მთვარე — ეს ცის მოცარტი?! იქნებ შენც ფრთებზე აიკემსო როგორც ოდესღაც ოქტომბრის ტყეთა თვალხატულა რილო-ჭრილონი, მერე ნეკერჩხლებს გამოსტაცო სისხლის ობობა და გული ჩემი გააცოცხლო ძველი ჭრილობით.

იქნებ მითხრა, რომ თრიალეთზე ისევ ძელქობებს მამა-პაპათა ფესვმავარი მუხის ბარტყები, თორემ ეს ქარიც გადავლება სევდის ბეჭობებს და პაპაჩემის ძველ ქოხით ნელში გავტყდები... თორემ ზამთარი აგერ უკვე კარზე მომადგა და მის სითთერეს, და მის თარეშს, და მის სიცივეს თუ მთვარის ჰანგი არ დავუგე ფეხქვეშ ბლომად და თუ არ ავყევი, სიკვდილამდე ვერ მოვიცილებ. მე კი მიწოდდა გაზაფხულზე, როცა ნიავეს მოუნდებოდათ შენი სითბო, მათთან მენახე, დაგლოდებოდი სადმე მტკვართან, გულის სიამით და სიკვდილის წინ მეგალობა: „შენ ხარ ვენახი“! შენ ხარ ვენახი, შენ ხარ რწმენა, შენ ხარ უფალი, ხარ შემოდგომა ვერცხლისფერი სხივთა ბლონდების, შევიმოსები გაზაფხულის ნისლით უბრალოდ და თრიალეთის ზურმუხტებში დაგელოდები. მთვარე იქნება მასპინძელი მარადიული და აღარ უნდა, ალბათ, ამას დიდი მიხვედრა, როცა აპრილი ბალახებში ჩაიციურებს, მიწის გულიდან სიყვარულით ამოვიხედავ!

ოქტომბერი, გარდაცვალება!

და ოქტომბერი მზეს გაურბოდა, ველარც ვარდები ველარ ვარდობდნენ და მილიმოდა თითქოს კუბოდან და მილიმოდა იმ დღით მარტოდენ... და შემოდგომა წვიმას ჩემობდა, წვიმა კი იყო ჩემი თვალების, და მიყურებდა ქარი ჩეროდან და იდგა ჟამი გარდაცვალების... და შემოდგომა მზეში ტიროდა და შემოდგომა ცისკენ მიჰქროდა, მიდიოდა და, მიდიოდნენ და ღიმილით სავსე კუბო მიჰქონდათ!

გვყავდნენ მეფენი, მეტიც, გვყავდნენ მეფეთ-მეფენი, ვცხოვრობდით ისე ძველთაძველ ერს როგორც შეჰფერის. დღეს ხელგანწვლილი ვაკაუნებთ ვილაცის კარზე, კარსაც არ გიღებს, ის ვისზედაც მეტი ხარ ასჯერ. და ეს ქვეყანა — მოცახცახე ლერწამის ღერი, მკერგაგლეჯილი წევს და მაინც სხვის ჰანგზე მღერის. მე კი იანვრის ღამესავით მკლავს ეს ფიქრები: დღეს კიდევ ჰა და, ხვალ ნეტავი ვინდა ვიქნებით?

დღეს მზის სხივს მივეფოფინე, ინვა ოქტომბრის ჰამაკში, გულს სხვა სიამე მოვფინე, რა არის ცუდი ამაში?! დარდს ახლოს არ გავიკარებ, გავმართავ ჩემს ძველ სამოვარს, ვიცი, ცისკრისას ცისკარი ყორანქედოდან ამოვა...





თორნიკე რობაქიძე

შეომდგომის დასასრული

გზებს ფოთოლთა ნატყვიარი აქვს,
მე კი შენ კვალს ვეძებ.
სუნი ჩემი სიზმრიდან მახსოვს.
თუ ვერაფრით ვერ გიპოვი,
ზამთარი მოდის და დავიძინებ.
და როცა ხეებს კვირტები გამოაყრის
და ჭალარა მთები გაახალგაზრდავდებიან.
შენ კვალს ისევ დავუწყებ ძებნას.
მანამდე კი ამ ძილში მინდა ვიხილო,
როგორ ვართ ერთად.
და სიტყვა „ჩვენ“ ჩემი ბალიში იყოს
და სიტყვა „შენთან“ ჩემი საბანი.

უფასო სიკვდილი

შენ ამბობ,
რომ ადამიანები ფულს იხდიან
სიკვდილში.
და თმის კულულს ყურს უკან მალავ,
როგორც ჩემს თვალებში ამოკითხულ სიტყვებს
სიყვარულის შესახებ.
მე კი გპასუხობ,
რომ ჩემს შემთხვევაში ეს ძირითადად უფასოდ ხდება.
და აი ახლაც,
როცა ჩვენი საუბარი დასასრულს უახლოვდება
და შენ სკამიდან უცნაურად ცდილობ ნამოდგე,
ვგრძნობ
როგორ ჩნდება სიკვდილი,
იმ ადგილას, სადაც იჯექი
და ისე სასტიკად მომჩერება:
რომ არჩევანსაც არ მიტოვებს.
მგონი სწორედ მას სურს უფასოდ მომკლას.

მემშვიდობება და ნასვლის წინ
სიგარეტის კოლოფს მიტოვებს.
ნითელ „Marlboro“-ს.
შიგნით ორად ორი ღერია მხოლოდ.
სწრაფად ვენევი,
მარტო რომ ვრჩები.
ცარიელ კოლოფს კი მისგან სახსოვრად,
გულის ჯიბეში ფრთხილად ვინახავ.
ასე ვაქცევ საჩუქრებად უბრალო ნივთებს.
ასე იდებენ მოგონებები ჩემს ოთახში
თავიანთ ბინას.

ქუდი დავკარგე,
რომელიც მას აფარია.
ყვითელი ქუდი,
რომლის ქვემოთაც მისი თვალები ყვავილებივით იშლება.

თითქოს მზე ადევს თავზე
და მე მინდა ყოველდღე გავაფრთხილო,
არ დაგრჩეს მზე სახლში.
თორემ თოვლი თვალებს დაგიბრლებს
და ტუჩებზე ლოლოები გამოგეზრდება.

ცინიანიზაბრა

1
მან დაიკავა ჩემი სახლი.
ჩემი ოთახი.
აბაზანა. სამზარეულო.
მან დაიკავა ჩემი ბალიში.
ჩემი სიზმრები.
გამოღვიძება ამ სიზმრებს შორის.
ყოველ დილას ვხვდებით ერთმანეთს.
მაგრამ ვერაფრით ვეუბნები,
რომ ჩემს სახლში უნებართვოდ ყველაფერი ამოავსო,
რომ ველარაფრით დატყული ჩემი თავი სადღაც გაიქცა
და სხეული, რომელიც მის წინ დგას,
სავსეა მისით.
მხოლოდ მისით.

2
ასე მოვიფიქრეთ გამარჯობა,
რომ ხელებს ერთმანეთს მსუბუქად ვადებთ.
და მე მგონია ყვავილს ვეხები მის მტევანზე,
რომლის ფურცლები მეშინია არ გავაფუჭო.
ასე მოვიფიქრეთ ღიმილი.
როდესაც მოულოდნელად გადავეყრებით,
რომ ჩვენი ცალ-ცალი თვალი ერთად ჩაქრება
და მოულოდნელად კვლავ აინთება.
ასე მოვიფიქრეთ დამშვიდობება.
მე მივდექ მის უკან ჩამოყრილ კულულებს.
მე მივდექ მის სურნელს.
მე მივდექ მის კაბას.
მე მივდექ მის ბათინკებს.
მე მივდექ მის ჩრდილს.
ის უკან აღარ იხედება.
მე კი ჩუმად მივდექ მას.

3
სახლში ვბრუნდები.
და მახსენდება,
რომ ქოთნის პატარა ყვავილი ოთახში უდევს,
რომელიც შემოდგომის სევდიან დღეს მე ვუსახსოვრე,
და სალამოს სანამ ძილში ფეხს ჩაყოფს,
გაიფიქრებს,
არ დაავიწყდეს,
მომდევნო დილას საარსებო წყალი დაუსხას.
მომდევნო დილას საარსებო წყალი დაუსხას.
მომდევნო დილას საარსებო წყალი დაუსხას.

4
მე ველოდები მომდევნო დილას.

ემზარ კვიტიშვილი

არ ღირს დაქირვანება

დრო მიჯიკავებს, გავყურდე,
არვის ვყოფილვარ ყოჩი;
გადამეტყავა ბეჭები,
მოვბოჭე მოსაბოჭი.

გასწრებულ-გაუსწრებელზე,
რას მომცემს რახა-რუხი,
იმაზე, რაც რო გამომჩა,
ველარ დავინყებ ნუხილს.

ძვირი არ მეთქმის. საჩემო,
აღარ იძვროდა ქარი.
ზოგს ავერიდე. ყველაფერს
თავი ვერ მოვუკარი.

**სინანული დამითოვა
მ.ყ.**

გაბრუებული დავალ, არ მინდა
შეხვედრა შენი, ბებრის;
უებრო, დაბრეცილი გექნება
ის ტანი, ბაბრისებრი.

ეშხისგან წარმოვიდგენ დაშრეტილს,
მოვიშხამები უფრო;
ბრალია, არაფერი გვექნება
საამბობ-სასაუბრო.

გაკლავნილია ზღვა რეკლამების,
ნითლად ბრიალებს აბრა...
ვერის ბალში რომ შემომყევ ერთხელ,
დარჩი იმ გოგოდ, ზღაპრად.

ვაკის სასაფლაოზე ამოვიკითხა

უღერს საამოდ ყურისა,
მწუხარედ, სხვანაირად;
ქალის დინჯი სახელი
მიზიდავს, ჯავაირა.

უნჯის მქონეს არ გავდა
და არც ხაბაკ-ხიბართა;
ამ სახელით იცხოვრა,
მერე მინას მიბარდა.

განელილა წარწერა,
აქეთ-იქით ციფრია;
ვისაც გული დასწყვიტა,
მას ამოუტვიფრია.

შუაში ჩვენ ვართ გამომწყვდეული,
საუფლო — ზედა, ქვედა;
ვინ უნდა ჩახვდეს, მილიარდ ნლობით
ბუნებამ რაც აკეთა?!

ითროკიალე, წელის გამთრევი,
საზიდავია ტვირთი;
პანია მწერიც შეგარყევს, შეგშლის,
ოლონდაც დაუკვირდი.

ჩიტი შორს გაფრინდა

ოქრო მიძღვნა, ნუთისოფლის
რარიგად ვთქვა ძვირი;
სხვა არავინ, ანდრიაა
ჩემი ელექსირი.

ზღვა და ხმელი ჩემად მიჩანს,
იმას ვხედავ როცა;
ათ წელიწადს ის მეყოფა,
ნუხელ რო მაკოცა.

დავიქნიე, იქამც იყოს
ყველა თავსატეხი;
ესპანეთის მინას, ციცქნა,
მან დაადგა ფეხი.

ველარ გიხსნები

იღინოს ღარში, ნულარ მომაკლებ
სიხარულს მიგნებათა;
მცირე ხნით კიდევ გადამინიე
ეს მიწიერი ვადა.
ამაოება მინივის ყურში,
მიცდის უძირო ნალო,
ყოვლისშემძლეო, ცოტაც მაცალე,
ბოლომდე დავიცალო.



დასასრული დასაწყისი №208-209

ყველაფერი თავიდანვე ცუდად დაიწყო. უფრო სწორად, იმ დღეს კი არა, წინა საღამოსვე. რადიოში ბაქოს „ნეფთჩისა“ და ერევნის „არარატის“ თამაშს უსმენდა. რა თქმა უნდა, თავისიანებს გულშემატკივრობდა. ბაქოს „ნეფთჩიმ“ წააგო ერევნის „არარატთან“, მაგრამ ეგ კიდევ არაფერი. ნახირიდან მოსულ საქონელს მათი ხბოიანი ძროხა არ მოჰყვება. ფეხბურთის რადიორეპორტაჟის მოსმენაში გართულ სკანდარას ეს ამბავი არ გაუგია. სახლში გვიან მისულმა მამამისმა ჯერ სოფლის მენახირეს აგინა ტყეში აზერბაიჯანულ ენაზე დედის ტრაკი, მერე სკანდარას: „ჩაგიცვია ნიფხავი და პურჩატკეები, მე შენი დედა... დახტინარ აქ, რინგზე იქნევ ხელებს, უკვე თავი მომაბეზრე ამ შენი ბოქსითა და ფეხბურთით, შენი ოჯახისთვის და საქონელისთვის ვერ მიგხედიაო“ და ბოლოს, ბაქოს და ერევანსაც კარგისები უკურთხა თავისი „ნეფთჩით“ და „არარატით“ — „ჩემი მანდ რა არი?... ნადი ახლა და როგორც გინდა, ისე იპოვე ძროხაც და ხბოც და თუ მგელმა შეჭამა, გირჩენია, სახლში აღარ მოხვიდე, რომ შენც მგელმა შეჭამოსო“ და შუალამისას ჭიტლაყით გააგდო გომბორის უღრან ტყეში საქონლის მოსაძებნად. სკანდარა ფეხბურთით გავიდა გამთბარი სახლიდან, უკან კი მამამისის ქოთქოთი და ჩხუბი მიჰყვებოდა. ახლა ატირებულ დედამისს მისდგა — „ნუ ესარჩლები, სადაც უნდა, იქ წავთრასო“, ყვიროდა. ადრიანი შემოდგომა იყო, სექტემბერი, მაგრამ გომბორში ღამლამობით უკვე საკმაოდ გრილოდა. ქურთუკის შემოცმაც ვერ მოასწრო, ფარანიც არ წაუღია. ისეთი უკუნი ღამე იდგა, თვალთან თითს ვერ მიიტანდი. უკან მიბრუნების და მამამისის ყიჟინის მოსმენის თავი აღარ ჰქონდა. თავის მეზობელსა და ნათესავს ნავრუზას შეუარა. ნავრუზას განთქმული „ჟუკი ფარანი“ ჰქონდა, რომელსაც ბატარეები არ სჭირდებოდა და ხელის დინამოზე მუშაობდა. ნავრუზა ჯერ სახლიდან ძლივს გამოიზღაზნა და ახლა თავის „ჟუკ ფარანს“ არ იძლეოდა. ღამის ძალით წაართვა სკანდარამ. შუალამედ იწანწანა ტყეში, იმ ჟუკი ფარანით ინათებდა გზას, უფრო მამამისის დაძინებას ელოდებოდა, თორემ გომბორის უღრან ტყეში რა ძროხა და ხბო უნდა ეპოვა. თუ მთელი იყვნენ, თვითონვე მოვიდოდნენ. კარგად რომ მოშუალამდა და მთვარეც მალლა, ზეცაზე შემოდგა, მაშინდა მობრუნდა სკანდარა სოფლისკენ, მაგრამ კინაღამ თვითონაც დაიკარგა. ტყე-ღრესა და ორლობებში სხვები უფრო ყოჩაღები იყვნენ და მამამისიც სწორედ მაგიტომ ბრაზობდა — სპორტი და დიდი ქალაქები სულ არ ენალვებოდა. მისი ჩემპიონატი, არენა და ემბაზი — მისი თბილისი, ბაქო და ისტამბული, მისი გომბორი, ოჯახი, სახლ-კარი და მეურნეობა იყო, იმის იქით კი — კაი გრძელი, დარბაისლური აზერბაიჯანული გინება და კეთილების მოკითხვები.

როგორც იქნა, გამოაღწია ტყიდან და დაღლილი, გათოხილი და დაგლეჯილი შეიძურნა საკუთარ ეზოში. არადა, იმავე დღეს, რაკი შუალამე უკვე გადასული იყო, თბილისში სერიოზული ვარჯიში ჰქონდა. საქართველოს ჩემპიონატისთვის ემზადებოდა. ჩუმად შეიპარა ეზოში და საბძელისკენ გაძვრა, რომ იქ მაინც გამოეძინა. დედას არ ეძინა, ელოდებოდა. დაინახა თუ არა, ლანდივით უხმაუროდ გამოვიდა სახლიდან. პური, ყველი და მანონი გამოუტანა ჩუმად, თან ტირილით სწყველიდა თავის უჯიათ ქმარს. სკანდარა გამწარებული ილუკმებოდა, თან დედამისს აჩერებდა, თუმცა თვითონ გუნებაში უარესებს ამბობდა მამამისზე. ცოტა სული რომ მოითქვა, დედას სთხოვა, სპორტული ჩანთა გამოეძინა, საქონელი თუ არ გამოეძინა, დილიდანვე თბილისში გავიპარები, მაინც ვარჯიში მაქვსო. დედა ჩანთისთვის შებრუნდა, თან ისეთი ჩავვირისტებული აზერბაიჯანული სწყველიდა თავის ქმარს, რავი, სული რომელი ჯინის ღამპარში ჰქონდა გადამალული, დილაზე რომ მიადგინა და თან არხეინად ხვრინავდა.

ინათა. სკანდარას მამამ ხვრინვა შეწყვიტა, უთენია წამოხტა და როდესაც გომბორში ვერც დაკარგული ძროხა დაინახა

და ვერც მისი ხბო, იმ გარიჟრაჟზე ისეთი ღრიალი მორთო, შენი მოწონებული. მისი ნარჩევი თურანული გინება გომბორის მალალ ცას სწვდებოდა. როგორც ჩანს, თავისი ცოლის წყევლა-კრულვა სულ დედის რძესავით შერგებოდა და ჯანში წასვლოდა.

საწყალი სკანდარა ეგრევე, მძინარევე, გამოვარდა საბძლიდან თავისი სპორტული ჩანთიანად, ასევე მძინარე გადაეწვლო ლობეს და სოფლის ცენტრში, სადგურისკენ მოქუსლა. გზადაგზა ზედ აკრულ თივასა და ბალახ-ბულახს ირიდებდა და სულ აქეთ-იქით იყურებოდა, ხომ არავინ მიყურებდა. თავმოყვარე ახალგაზრდა ბიჭი იყო, თან უკვე მაგარი სახელით. როგორც იქნა, მიადგინა სოფლის ცენტრამდე და სადგურის ცენტრის სკამზე ჩამოჯდა. საშინლად ეძინებოდა. დღეს ძალიან სერიოზული ვარჯიში ჰქონდა. მართლა მაგრად გამწარდა მამამისზე — „რა მისი ბრალი იყო? ფეხბურთს უსმენდა რადიოში, რა იცოდა, რომ ის გამოქლია-

უჭირდა, კაი ბიჭი იყო, ხომიანდაც ეცვა. გრუზა თმაში ვერაგულად ჩარჩენილი თივის ღერი ამოიძრო და იქვე ნავთლულიდან დარეკა ორკაპიკიანი ტელეფონის აპარატით, ათკაპიკიანებიც რომ მიდიოდა.

კარგა ხანს გადიოდა ზარი და უცებ სრულიად მშვიდი სკანდარა, თავის გასაკვირდაც კი, ძალიან ალელდა, ბოლოს კი, როდესაც იმ გოგომ ყურმილი აიღო, გულმა უკვე ისეთი ბაგაბუგი დაუნყო, თავიდან ხმაც ვერ ამოიღო.

— ალო! ალო! — გაიმეორა გოგონამ.

— გამარჯობა, — გაუბედავად ამოღერლა სკანდარამ, თან შეეცადა, „ჯ“ გამართულად, ქართული აქცენტით ეთქვა.

— გამარჯობათ? — ინტერესით გააგრძელა სიტყვა გოგონამ.

— მე ისა ვარ... სკანდარა, — სკანდარა უკვე ნანობდა, რომ დარეკა.

— ბატონო?

— აი, ისა... ისკანდერი ვარ... დარბაზში რომ გამიცანით... ჩემპიონი.

ბექა ქურხული სკანდარა



ვებული და გალოთებული ტოლიკა მენახირე საქონელს დაფანტავდა? ან ამ ბოქსს და სწავლას რას აყვედრიან, გაზეთებში რომ წერენ მასზე, მაშინ ხომ კარგი ბიჭია?... მამამისი ხალათის გულის ჯიბეში რომ ჩაიჭურთავს გაზეთებს, მთელს გომბორს შემოვივლის და სიამაყისგან თვალცრემლიანი ყველას ურიგებს. არა, ბიჭო, ამათსავით მთელი ცხოვრება საქონლის დევნაში გაატარებს და ნეხვში ამოთხევილი ივლის.“

სკანდარამ ვერც გაიგო, ისე ჩაეძინა და ძილში ხან ისევ მამამისზე ბრაზობდა, ხან კი საქართველოს ჩემპიონატში გადმოსულ კასიუს კლეისთან და ჯო ფრეზერთან ჩხუბობდა.

ბიჭებმა გააღვიძეს. ავტობუსი ჩამომდგარიყო. სკანდარამ შეტყუებულმა გაიხედ-გამოიხედა. „დილით ვარჯიში მაქვს თბილისში და ადრე მომინა სახლიდან გამოსვლამო“ — თავისებურად მორცხვად იმართლა თავი.

თბილისში ჩასულმა სამგორის სადგურშიც კარგად გამოიძინა და უკვე მოხასიათდა. ახალგაზრდა ნავარჯიშემა სხეულმა ჯანი უცებ ალიდგინა. სიბრაზემ და წყნამაც გადაურა. უკვე ელიმებოდა. მერე გაახსენდა, რომ ფული ჰქონდა. თავისი ცალკე და დედამაც ჩაუღო ჯიბეში. ძალიან მშრომელი იყო მთელი ოჯახი და დედამისს სულ ჰქონდა მისთვის ფული გადამალული. იქვე სადგურის სასადილოში გემრიელად ისაუზმა. ვარჯიში მხოლოდ მოთხე ეწყებოდა და დილაში. მანამდე თავისუფალი იყო. გაახსენდა, წინა კვირას ვარჯიშზე ერთი გოგონა გაიცნო, მწვრთნელმა წარუდგინა — „ეს ისკანდერია, ჩვენი ჩემპიონი.“ თბილისელი გოგო იყო, ქართველი. ამკარად გაეპარანჭა. ტელეფონის ნომერიც დაუტოვა. „აუცილებლად დამირეკეთო...“ მომხიზლავდა შემობზგრილდა გოგონა და დარბაზიდან გავიდა. ბედნიერმა სკანდარამ იმ საღამოს მთელი დარბაზი დაარბია, ფეხზე აღარავინ დატოვა. მწვრთნელი ანდრო ნავასარდოვი ემპაქურდა ილიმებოდა.

იქვე სასადილოს სარკეში ჩაიხედა. რა

— აააა, კი... კი... გამარჯობა, ისკანდერ, როგორა ხარ?..

— კარგად. კარგადა ვარ. დღეს კინოში წამოხვალ?

— კინოში? ახლა?

— ხო. რამე კაი კინო არ ისი?... — სულ აირია სკანდარა.

— ვაიმე, კაი ფილმები როგორ არ ვიცი! — აკისკისდა გოგო, — ოღონდ დღეს არა, ხო, ისკანდერ? ნუ, ვერანაირად!

— რატომ? — სკანდარამ ყველაზე დიდი სისულელე იკითხა, რაც კი ამ დროს ბიჭმა შეიძლება, იკითხო.

— არ მცალია! ვილაც თათრის ბიჭი გავიცანი იმ დღეს, რამაზთან რომ ვიყავი კრივის დარბაზში, ახლა მირეკავს და კინოში მპატიჟებს, — სიცილით გადაულაპარაკა ვილაც, — სხვა დროს, ისკანდერ, კარგი? დღეს არ მცალია. ლექციები მაქვს. პაკააა.

სკანდარას ხელში ყურმილი შერჩა. ცოტა ხანს კიდევ ისმოდა წყვეტილი ზუმერი. ოთარ იოსელიანის „გიორგობისთვე“ გაუჩალიჩეს. ოღონდ სკანდარამ არც ოთარ იოსელიანი იცოდა, არც „გიორგობისთვე“. სამაგიეროდ, გაიგო, რომ „თათრის ბიჭი“ უნოდეს, მაგრამ ამ სიტყვებზე უფრო მისმა დამცინავმა მოწყალე ტონმა გაამწარა და იმან, რომ მისი ჩემპიონობაც კი არაფრად ჩააგდეს.

იდგა გახევებული ხელში შერჩენილი ყურმილით და მხოლოდ იმასლა ნანობდა, რომ ვერ აგინა. თან საკუთარ თავზე ბრაზობდა, „რამ დამარეკინაო.“ რატომ არ უნდა დარეკა? თვითონ მისცა ნომერი. დამირეკეო — უთხრა. სკანდარამ მთელი სცენა აღიდგინა და ათასჯერ გადაატრიალა გონებაში კადრები. კი, ნამდვილად თვითონ მისცა ტელეფონის ნომერი, კარგადაც გაეკვანნა და აუცილებლად დამირეკეო, უთხრა.

დაურეკა და ჰა, რა ეხლა? იქ, გომბორში, პირველი ბიჭი, რომელსაც ნებისმიერი აზერბაიჯანელი გოგო თვალმდებარეული გამოჰყვებოდა — ლამაზი, მდიდარი, ჩემპიონი, აქ, თბილისში, მხოლოდ „თათრის ბიჭი“ იყო! თუმცა, ისევე, როგორც გომ-

ბორელი ქართველებისთვის — ფშავლებსა და ხევსურებისთვის. სიზმარში ვიარა, ცხადში რომ ჩაეტარებინა ბრძოლები კასიუს კლეისთან და ჯო ფრეზერთან, რომ დაეყარა ისინი და მილიონერი გამხდარიყო, სწორედ გომბორში რუსიანის უკანასკნელი მელორე ბენინტურთ სოლომონიც კი სიცოცხლეში არასოდეს თავის მინგრეულ-მონგრეულ ეზოშიც არ გადაახედებდა.

სკანდარა თავის სპორტულ ჩანთას დასწვდა. აღარც კინო უნდოდა, აღარც კრივის დარბაზი, აღარც ჩემპიონატი და აღარც სიცოცხლე.

წარმოდგენა არ ჰქონდა, სად უნდა წასულიყო. უკან სადგურში მიბრუნდა, ცოტა ხანს იწვინა. მერე ისევ სადგურის სასადილოში შევიდა. იქ უკვე ქვეყნის ხალხი ირეოდა — ქურთი მეგზოვები, უზნის ჯიბეები, ნავთლულის ბაზარში სავაჭროდ ჩამოსული გლეხები, სატვირთოს მოფრები, კასრებივით ჩადგმული მილიციონერები. ყველანი სვამდნენ, ძირითადად, წყალწყალა ლუდს არყით ავსებდნენ — „სტალინაიათი“ — და ყურის ნაღებად ყაყანებდნენ.

— ერთი არაყი მომიტანე, — უთხრა ტურტიან ოფიციალს და წინასწარ შეუბღვირა, ამანაც რაღაც არ მეანგლოსო. უკვე წკიპზე იყო.

ოფიციალტი მიხვდა, თუ როგორა და უხმოდ მიუტანა არაყი და საუზმე — „ზაქუსკა.“ სკანდარამ დაისხა.

თვითონაც არ იცოდა, რამ დაარტყა, თან ზედ ვარჯიშის, სპარინგების და ჩემპიონატის წინ. არასოდეს თავის სიცოცხლეში არამცთუ დაუღვია, ხელიც კი არ უხლია ალკოჰოლიანი ჭურჭლისთვის. სუნიც კი ცუდად ხდიდა. ბუნებით მორიდებული და ზრდილობიანი, ერთადერთი, რის უფლებასაც აძლევდა თავს, როცა მთვრალი ქართველები ელაპარაკებოდნენ, უკან იხევდა და ცდილობდა, სუნთქვა შეეკავებინა. ნასვამ აზერბაიჯანელს თუ ნახავდა, აუცილებლად უსაყვედურებდა, თუ ახლობელი და ნათესავი იყო, ეჩხუბებოდა კიდევ... ახლა კი ძალიან მოუნდა დაღვია. უფრო სწორად, დაუძლეველი სურვილი გაუჩნდა, რაღაცა ჩაედინა, რაღაცა ამოებრუნებინა.

დიდი ჭიქა გაივსო, ზუსტად ისევე ისე შეიკავა სუნთქვა და მოწყვეტილი გადაჰკრა. ხველა აუტყდა, არაყი ცხვირ-პირში ეცა, ცხვირიდან წამოუვიდა და სუნთქვა შეუკრა. უცებ წამოხტა სულის მოსათქმელად, წონასწორობის დასაცავად ხელეზგამილილი. მხოლოდ ერთ რამესლა ნატრობდა — აქ, ამ მოზაზრე ბრბოში, არ გავხდე ცუდადო.

სასადილოში ყიჟინა და სიცილი ატყდა.

— რას აკეთებ, ბიჭო?

— პირველად სვამ, ჩემი ძმა?..

— რა თავს იკლავს, ეს ჩემისა?..

— შეეშვი, თავისი საქმისა თვითონ იცის... — დამწვარია, აი... — ჰო, ქალის ამბავი უნდა იყოს... — ეგრე არა, ჯიგარო, ეგრე არ უნდა, ეგრე ნუ შერები... — სკანდარამ მთელ სასადილოს ქორივით გადმოუბრიალა თვალები. ეგრევე მიწყნარდნენ. მარტო სასადილოს კუთხეში მსხდომმა მილიციონერებმა ცქვიტეს ყურები დობერმანებივით, მაგრამ ჯერ არაფერი. ჯერ ელოდნენ.

სკანდარამ თავისი სპორტული ჩანთა აიღო და სასადილოს კარისკენ წავიდა. უცებ მობრუნდა, მაგიდიდან ბოთლი აიღო და დარჩენილი არაყი დაიყუდა. თან სასიკვდილოდ გამზადებულივით დახუჭა თვალები. მისდა გასაკვირად, არაყი ამჯერად წყალივით წავიდა. ოდნავ დაჰკრავდა სიმბული. თითქმის ბოლომდე ჩაცალა და ხმაურით დადგა მაგიდაზე.

— ვაა, სალოლ, შეგერგოს! — შეაქო ვილაცამ, მარა სკანდარამ ისიც თვალებით ჩააჩუმა და ისევ კარისკენ მიბრუნდა.

— ნადი, თქვენი დედაც!.. — თქვა სკანდარამ ხმადალლა და სასადილოდან გავიდა. ვერც აღიქვა, რომ ასე ხმადალლა ხალხში, ისიც ქართულად, პირველად შეიგინა. დილოში გავიდა. ვარჯიშამდე ჯერ ძალიან ადრე იყო. დილის ალიაში დაჯდა და, აი, მანდ დაუტრიალდა დაღუპული არაყი. მოდიოდა და მოდიოდა. აღარ ჩერდებოდა.

დრო ნელა გადიოდა. თითქოს ერთ



ადგილას გაიყინა. როგორც იქნა, სამი საათი შესრულდა. მერე ოთხის ნახევარი. ადგა და სპორტული დარბაზისკენ დაიძრა. თითქოს სრულიად გამოფხიზლდა. მხოლოდ პირი ჰქონდა გამშრალი, მთელი ტანი უხურდა და თავი აუტანლად სტკიოდა. ფანტანზე წყალი დალია. დიდხანს, ცხენივით გრძელი ყლუპებით, სვამდა ცივ გემრიელ წყალს. თითქოს მოეშვა, შეეზა იგრძნო და საბოლოოდ მოვიდა გონზე. მხოლოდ დროდადრო გული უფრიალებდა ქვაგარტყმული ჩიტისვით. პირველი მივიდა დარბაზში. გამოიცვალა და გახურება დაიწყო. თავიდან ესიათოვნა მშობლიური დარბაზის დამახასიათებელი ნაცნობი სუნის, ტყავის, თოკის, რკინის, ხის, ახალგაზრდა ჯანსაღი მებრძოლების... მოთელვის შემდეგ ბაგირზე დაიწყო მუშაობა. ბიჭებიც გამოჩნდნენ. თითო თითოდ და ორ-ორად შემოდოდნენ დარბაზში. მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ ისინიც იცვლიდნენ და ზანტად იწყებდნენ მოთელვას. თან მხიარულად ყბებდნენ. სკანდარამ თავი სახლში დაიგულა, მშვიდად, მყუდროდ და შინაურულად. გადაწყვიტა, რომ დღევანდელი ამბავმა იოლად ჩაუარა, ყველა უსიამოვნება დაავიწყდა და უდარდელად შეუერთდა მეგობრებს. ამასობაში მწვრთნელი, ცნობილი მოკრივე ანდრო ნავასარდოვიც მოვიდა და ხალისიანად მიესალმა თავის ახორბოცებულ მოსწავლეებს. სკანდარა მისი ერთ-ერთი ფავორიტი იყო და დიდ იმედებსაც ამყარებდა.

— ჰა, აბა, როგორ ხარ, ჩემპიონებო?.. დავუნაყოფო ერთმანეთს ცხვირები? დღეს რაღაც ჩხუბის დილიხორზე ვარ, მაგრად უნდა ვიძუშაოთ. ტაკ! მოთელვა, გახურება, სირბილი, დარბაზის სიგანეზე პო მედლენე, დარბაზის სივრცეზე რივოკებით, პატომ ტრი რაუნდა „გრუმასთან“ მუშაობა, ტრი რაუნდა სპარინგები და ბოლოს თავისუფალი ფიზიკა, განტელი, შტანგი ი ჟელეზა ვსიაკიე... — და ჩვეულებისამებრ ტაში შემოჰკრა.

— აუ, დავიხრცებო, ანდრო მასწავლებლო, მშვირები ვართ! — გამოსძახა დარბაზის გარშემო მორბენალი ბიჭებიდან ყველაზე ამრევმა...

— რატომ ხართ მშვირები, რაზე როდნაია სოვეტსკაია ვლასტ ბოლშე ნას დარმო ნე კორმიტ? — ეშმაკურად მოჭურტა თვალები ანდრო ნავასარდოვმა და ისევ ტაში შემოჰკრა, — არა უშავს, მშვირზე იშრო ლუჩმე, ზლეე ბუდეტი ი ლუჩმე ბუდეტი დრატსა... ა კტო დავიხრცებო, ნეს პახარონიშ!..

— ჩვენ პრიუტის ბავშვები ვართ, ჭამა გვინდა, ჭამა, ჭამა, თუმცა გვაჭამეს, მაგრამ მაინც, ჭამა გვინდა, ჭამა, ჭამა! — დასცხო „ბეზპრეზორნიკების“ მარში ისევ იმან. სხვებიც სიცილით აჰყვნენ. მხოლოდ სკანდარა იყო ჩუმად და, როგორც ყოველთვის, სერიოზულად, შთაგონებული ვარჯიშობდა.

— ესო, მორჩა, წავიდა, ვსე ზა რაბოტუ! — უკვე მესამედ და ახლა უკვე მკაცრად გაიტყლამუნა ტაშმა.

სკანდარა იშტაზე მოვიდა და მთელი დატვირთვით დაიწყო ვარჯიში. თუმცა შეატყო, რომ რიტმიდან ვარდებოდა, ბიჭებს ფხს ვერ უწყობდა და ცივმა ოფლმა დაასხა. მთლად გაილუმბა, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია, პირიქით უფრო მოუმატა ტემპს. ცოტა ხანში ისევ აუფრიალდა გული. სკანდარა არც ამას შეეპუა და ისევ მთელი დატვირთვით გააგრძელა ვარჯიში. თითქოს გაუარა, მაგრამ მერე რამდენჯერმე ისე მოსცხო, რომ მთელი ტანით შეაქანა.

გრუმასთან მუშაობისას პირველ რაუნდში უკვე თვალთ დაუბნელდა. სისწრაფეს მოუკლო, მიხვდა, რომ გაჯიქება არ გამოუვიდოდა, როგორმე ვარჯიში ისე უნდა გადაეგვრებინა, რომ არაფერი შეტყობოდა და მერე აღარასოდეს, აღარასოდეს ამას აღარ ჩაიდენდა თავის სიცოცხლეში. მეორე რაუნდში ცოტა თვალებიდან გამოიხედა და იმედი მოეცა, რომ სპარინგებსაც გადააგორებდა. კლინში შევიდოდა, დროს გაიყვანდა, რინგზე დაიმალეობდა, ირბოდა, თოკებზე გადაწვებოდა, დაისვენებდა, არ იჩეხავებდა, ეგეთი ეშმაკობები უკვე დამხეცებული ჰქონდა.

სპარინგამდე ველარ მიაღწია. მესამე რაუნდში კიდევ ერთხელ დაუბნელდა თვალეში და პირდაპირ „გრუმას“ ჩახეუტა, რომ იქვე არ გაშხლართულიყო.

აზიდებდა და გული ერეოდა, პირდაღებულ მთელი არსებით ცდილობდა, რომ ესუნთქა და გონს მოსულიყო. თავბრუ ეხვეოდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა და პირველად იგრძნო, გული როგორ მისდოდა და გონებას კარგავდა. საშინელი შეგრძნება იყო. ძლივს დაჯდა გრძელ კედელს გაყოლებულ დაბალ სკამზე. მთელი სხეულით მოწყდა, ხელ-ფეხი ციებიახივით უცახცახებდა.

— რა მოგივიდა, ბიჭო, შტო სტაბოი? — შეშფოთებული მივირდა სკანდარაზე არანაკლებად ფერდაკარგული ანდრო ნავასარდოვი.

— არ ისის... არ ვისი... არ ვიცი, მასც! — ძლივს გამართა სიტყვა სკანდარამ, — თვალეებს ვერ უსწორებდა მწვრთნელს.

უცებ სკანდარასთან ჩამჯდარი ანდრო ნავასარდოვი დენდარტყმულივით წამოხტა და თვალეზადიდებული დააშტერდა სკანდარას. ვერაფრით დაიჯერა და წარმოიდგინა, სკანდარა მისი ყველაზე საყვარელი, დისციპლინირებული და მონესრიგებული მოსწავლე იყო, მისი სიამაყე და ყოველთვის მაგალითად მოჰყავდა ამ ავარდნილი, ავარა თბილისელი ბიჭები-სათვის. მერე ისევ ჩაუფლდა სკანდარას, სახე სახესთან იშტანა და ისევ წამოხტა. გააფთრებულმა გაიხედა-გამოიხედა და ისევ გარშემო შემოჯარულ ბიჭებზე იყარა ჯავრი...

— რას შემოხვევინხართ, რა იყო, რა ნახეთ?.. ცირკია აქა?.. — და გაბრაზებულმა შემოჰკრა ტაში, — ანუ ბისტრო ზა დელა, გააგრძელეთ ვარჯიში, ბეგომ მარშ.

მერე სკანდარას მიუბრუნდა. — ახლა ადექი, წყალი გადაივლე, გამოიცვალე და აქედან დამეკარგე, ჩემმა თვალეებმა არ დაგინახოს. დავაი, დავაი, ვონ ატსილუა, — და ისევ გაიტყლამუნა ტაშმა, — მერე დავილაპარაკებთ, ა სჩას მიბრძანდით...

სკანდარა უხმოდ ადგა და თავჩალუნული და თვალეზდახრილი ფეხათრევით წავიდა გასახდელისკენ.

გარეთ გამოსულმა ჰაერი ჩაისუნთქა თუ არა, იმ წამსვე გონს მოვიდა. წელანდელი სისუსტე ერთი ხელის მოსმით გაქრა და ძალის ისეთი მოზღვავება იგრძნო, მთებს გადადგამდა. მიბრუნება დააპირა დარბაზში, მაგრამ ვერ გაბედა, და არც თავმოყვარობამ მისცა უკან შებრუნების უფლება. თანაც ანდრო ნავასარდოვი ისე იყო გაბრაზებული, უარნა შეიძლებოდა მომხდარიყო. „ეე ალლაჰ, იოხ აია, დღეს ჩემი დღე არ არის...“ — ფიქრობდა. სპორტული ჩანთა მხარზე გადაიკიდა და დალონებული ალიას მიუყვებოდა. ამავე დროს თითქოს ჯიბრზე ისეთ ძალას და ენერჯიას გრძობდა, მინას ფეხს არ აბიჯებდა.

სამგორის სადგურში გომბორის ავტობუსი უკვე ჩამომდგარიყო. ავიდა და უკან მიიყუნჭა, რომ ნაცნობი თანასოფლელებს ისთვის თავი აერიდებინა. მის ბედზე ავტობუსი დაიძრა თუ არა, მთელი დღის ნანვალეებს ჩაეძინა და პირდაპირ გომბორის ცენტრში გამოეღვიძა. მშობლიური სოფლის ცივმა, კრიალა, გამჭვირვალე ჰაერმა საბოლოოდ გამოაცოცხლა და იგრძნო, როგორ შიოდა. იდგა ცენტრში მარტო, ხილს იქით აღმართზე კი უზარმაზარი, გაჩახჩახებული მრგვალი რესტორანი მოჩანდა და იქაურობას ზემოდან გადმოჰყურებდა. სკანდარა სახლისკენ დაიძრა, აღმართს შეუყვია. შიოდა. რესტორანს აჰყურებდა, მაგრამ რაღაცა უკან ექაჩებოდა. „დღეს ცუდი დღეა, ჩემი ყისმათი არ არის, აია...“ კიდევ ერთხელ გაუფლდა სკანდარას. მაგრად შიოდა. სახლი და დაკარგული საქონელი გაახსენდა. იქაც არ მიესვლებოდა, ან მამისის ჯაჯლანისთვის და გინებისთვის უნდა გაეძლო. „იოხ, დღეს ჩემი დღე არ არის, აია, ყისმათ ჰიარდადი!“

სკანდარა უცებ შემობრუნდა და რესტორნისკენ დაიძრა. ზუსტად იცოდა, გუმანით უცდომლად გრძობდა, რომ ნაღდ, უეჭველ მარში ჰყოფდა თავს. იქ მისი ადგილი არ იყო, იქ მას არავინ ელოდა. თითქოს უხილავი თოკებით ექაჩებოდნენ უკან, მთელი თავისი არსებით, გულით და გონებით ეწინააღმდეგებოდა მისი სხეული ყოველ საბედისწერო ნაბიჯს, რომელსაც სკანდარა რესტორნის კიბეზე დგამდა. როგორ არა, ყოფილა ამ რესტორანში, ოღონდ ახლა, ამ ღამეს არ უნდა შეეღო კარი და არ გამოსულიყო არენაზე, როგორც ესპანურ კორიდაზე გამოვარდ-

ნილი ხარი, ოღონდ ახლა არა!.. მაგრამ უკვე განწირული იყო, ხარს ვინდა შემოაბრუნებს?! უკან ველარ დაიხვედა, მით უმეტეს, რომ მისი დღე არ იყო და სწორედ მაგიტომაც ველარ შემობრუნდებოდა, ველარ აუქცევდა გვერდს ამ ეშმაკების რესტორანს და სახლისკენ გზას ველარ გააგრძელებდა. კი, იქ მამამისი დახვდებოდა, მაგრამ მამას ვისთან არ უჩხუბია, აქ კი სულ სხვა რამე ელოდა, სულ სხვა ომი. სკანდარას ახლა აქ არავინ უყურებდა, ვერავინ გაიგებდა, თუ ამ ხათაბალას თავს აარიდებდა, მობრუნდებოდა და თავისი სახლისკენ გააგრძელებდა გზას. არავისთან პასუხისმგებელი არ იყო, ვერავისთან შერცხვებოდა, მაგრამ, მითუმეტეს, აია!.. მითუმეტეს...

არავისთან შერცხვებოდა გარდა საკუთარი თავისა.

ტყუილია! არაფერი კაცს ისე მძაფრად და მისტიკურად არ იზიდავს, როგორც საფრთხე — სიცოცხლისა და სიკვდილის, მისი აღზევებისა და დაცემის ადგილი. მით უმეტეს, თუ ეს საფრთხე იდუმალებით მოცული წინათგრძობის მიღმა იმალება, ჩასაფრებულია და დანამდვილებით იცი — თუ გაბედავ და შეხვალ, იქ დაგხვდება და აუცილებლად დაგესხმის თავს, რომ გაგფატროს. მანძილის მიღმა გრძობ შენის სისხლის მომლოდინეს და განაბულს, მოუთმენლობისგან თვალეები როგორ უელავს.

სინამდვილეში არაფერი კაცს ისე არ ადებებს და არ იზიდავს — არც ქალი, არც ძალაუფლება, არც ოქრო, არც რელიგია და საუკუნო ცხოვნების იმედი, არც უცილობელი ჭეშმარიტების, საყოველთაო თანასწორობისა და თავისუფლების იდეა. ყველაფერი მაინც იმ ერთი მთავარი ვნებებისგან გამომდინარეობს. გაცნობიერებული, ან, მითუმეტეს, შეუცნობელი საფრთხის ცხოველური წყურვილისაგან. საფრთხის ძველი, მამონტებზე ნადირობის დროინდელი, მხეცური მოთხოვნილება, როდესაც კაცი თვითონაც ნადირი იყო.

ხო, აი, ეგა!

საფრთხე და შიმშილი. რესტორნის კარი შეაღო. თავიდან მოეჩვენა, რომ დარბაზი ცარიელი იყო და შევებით ამოისუნთქა. რომ შევიდა, მხოლოდ მერელა შეამჩნია, რომ კუთხეში თვითონივე რეზო, პაკოზა და აფციანური გიორგი ისხდნენ და ქეიფობდნენ. ეს გიორგი აფციანური სკანდარაზე ერთი წლით უმცროსი იყო, მის ზემოთ, მეზობლად ცხოვრობდა. სკოლაში ერთად დადიოდნენ და ჭალაშიც, სტადიონზე, ფეხბურთის სათამაშოდ. ვინ იცის, რამდენჯერ გამოსარჩლებია. ახლა გაიზარდა, მოყვარულად და ახალი დოსტები გაიჩინა — თავისი ქართველები. ისე, ბავშვობიდან უბედური სწრაფი იყო. აზერბაიჯანელების უბანში — ნითელ ქუჩაზე — ფშავლების სულ ორი კომლი ცხოვრობდა, ეგ აფციანურები და ხილამდვილები. ის ხილამდვილი უსინათლო კაცი იყო და ხეზე ხვევით ირჩენდა თავს — კოვზებს თლიდა, დაფებს, ქვასანაყ როდინებს, სხვადასხვა ნივთს აკეთებდა. მეზობელი აზერბაიჯანელებიც მაგრად უვლიდნენ და პატრონობდნენ.

ეტყობა, დიდი ხნის დამსხრებელი იყვნენ. მაგიდას (ცარიელი ბოთლები შემოჯარვოდა და კარგი შემთვრალეები ჩანდნენ. სკანდარა მიხვდა, რომ ავი წინათგრძობა არ ატყუებდა. სამივემ ისეთი თვალეებით გადმოხედა, თითქოს პირველად ხედავდნენ და მოჩვენება შემოილოდნენ. სკანდარა აშკარად შეცდა. საერთო სალაში თქვა და არაუფლი ნაბიჯით წავიდა მაგიდასკენ. პასუხად დაძაბული სიჩუმე მიიღო. აფციანური გიორგი სხვა დროს აუცილებლად წამოდგებოდა, გადაკოცნიდა და მოკითხავდა. სკანდარამ ველარ მოითმინა, მობრუნდა და თავის მეზობელს პირდაპირ თვალეებით შეხედა. ახლა მას გადაჰკრა სახეზე, უხერხულად დაუქნია თავი, ვერ გაიგებდი, მიესალმა თუ ისე შეტოკდა. თვითონვე იგრძნო თავი ცუდად, ირონიულ, ცივ ღიმილს ამოეფარა და სკამზე ვითომ არხენიდა გადაწვა.

სკანდარამ საპორტული ჩანთა იატაკზე ხმაურით დააგდო და დაჯდა. ბუფეტრიკი ჰუსენია ფეხაკრევით მიუახლოვდა.

— ხინკალი მომიტანე და ლიმონათი. ოღონდ მსხლის ლიმონათი არა, არ მიყვარს. ტარხუნა მოიტანე, ან ლიმონი! — ხაზგასმულად ხმამაღლა უთხრა ჰუსენიას.

— ხინკალი დიდხანს არ იქნება, აია, სუამათ ნაილეს, — სკანდარასგან გასხვავებით, ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით უთხრა ჰუსენიამ და ჩუმად ანიშნა ფშავლებზე, — სუ შეჰამეს. ახალი უნდა ჩაიყაროს. მწვადს შეგინავ...

— თამამ! — უთხრა სკანდარამ, — და ხინკალიც ჩაყარე, არსად მიჩქარება, დაველოდები, — გასძახა ისევ ხმამაღლა.

ჰუსენიამ თავი გადააქნია და სამზარეულოში გავიდა.

სკანდარა იჯდა და ელოდა. საჭმელს არა, უფრო მნიშვნელოვან ამბავს. გარშემო ყველაფერი ისე დაიძუხტა, როგორც მაისის დღე ქეჩა-ქუხილის დროს!.. გრძობდა, რომ ცუდად უყურებდნენ. განსაკუთრებით პაკოზა აიკრიფა. რაც შემოვიდა, მას შემდეგ მზერა აღარ მოუცილებია. ღია მომწვანო-მოყვითალო თვალეებში, ცივი, ბოროტი ნაპერკალი უხტოდა. ძალიან ავად უყურებდა.

— ეჰ, ეჰ, დაჰკვლიეთა რა რიგად ყინჩად შემოიდა?.. ყოჩაღ ბაღლსა, ყოჩაღ!.. — თან ცუდი ღიმილი არ სცილდებოდა სახიდან, — თითქოს თავის შინ იყოს, დავაჟუცავებულა ე, დადიდებულა! — და თავისებურად თავის კანტურს მოჰყავდა დარეტიანებული ბულსასავით, რასაც, როგორც წესი, კარგი არაფერი მოჰყვებოდა...

— რა გინდა, ბიჭს შია, ნამგზავრია და პურის საჭმელად შემოვიდა, გაანებე თავი, რას გიშლის? — გულგრილად უთხრა თვითონივე რეზომ. თან თვითონაც ცერად გაჰყურებდა.

— თუკი პური შია, მაგის სახლი აქვეა, მივიდეს თავის შინა და თავის დედა სანათამ აქმიოს, მე რას წამომიჯდა აქ ხონთქარივით? — პაკოზა მონუსხულივით უყურებდა სკანდარას. ეს აქეთ აეგლო თავის ფხოვურ წერა-მწერალს.

ჰუსენიამ ლიმონათი, მწვანილი, პური, ყველი გამოუტანა სკანდარას და უკან გაბრუნდა.

სკანდარა ისევ მარტო დარჩა. ცალკეული სიტყვები ესმოდა და ნერვიულად ატრიალებდა ლიმონათის თლილ ჭქასს.

— ახლა მსხალიც არ ჰყვარებავ, ე?! — ახალი მიზეზი გამოიხატა პაკოზამ აღსაშფოთებლად.

— აბა, მაგას ტყის პანტა ხო სულ არ დაენახებავ, — ჩაურთო აფციანურ გიორგამ.

სკანდარამ მისი ხმა გაიგო და კიდევ ერთხელ შეხედა თვალეებში. აფციანურ გიორგამ მის მზერას ვერ გაულო, გვერდზე გაიხედა და ისევ ცუდად გაიცინა.

— კარგი, ბიჭო, დაეხსენით, რა საქმე გამოგლევიათ, მე დამიდეთ აქ ყური, სადღეგრძელო ვთქვა! — თვითონივე რეზომ ჭქასს მოკიდა ხელი და დაილოცა.

ბუფეტრიკი ჰუსენია დახლში გამოვიდა და პურის დაჭრა დაიწყო.

— მოდი აქა! — ჩუმად დაუძახა პაკოზამ ჰუსენიას.

იმან უნდობლად გამოიხედა წარბებქვეშიდან.

— მოდი, მოდი, რაღას სდგახარ? ეგე, მაგ თქვენს ფადიშაჰს მწვადს რომ მიართმევ, — თითი მიაშვირა პაკოზამ სკანდარას, — ერთი ბოთლა ღვინოც მიუტანოდე, ხალხმა გამოგიგზავნა, იმათი სადღეგრძელო უნდა დალიო-თქო. ხო კარგა გაიგონე, რაცა ვსთქვი?.. ე, ყურებ მიხატულ ხო არ გაქვა? ხო არ გაგიმეორა?..

ჰუსენია უხმოდ გაბრუნდა.

ცოტა ხანში მწვადიც შეინვა. ჰუსენიამ საჭმელთან ერთად ერთი ბოთლი „ჰერეთიც“ დაუდგა მაგიდაზე.

— ეს იმათ გამოგიგზავნეს, გვადღევრძელოსო, — ჩუმად თქვა ჰუსენიამ და დალონებულმა მომლოდინედ შეხედა.

სკანდარას გააკანკალა. ჯერ დღევანდელი არაყი არ გამოუნელებოდა და ღვინის ბოთლის დანახვაზე კინაღამ წამოაზიდა.

— ნაილე, მოაშორე, აია! — თქვა ზიზლით.

ჰუსენიამ მრავალმნიშვნელოვნად გახედა დარბაზის კუთხეს და ისევ სკანდარას შეხედა.

— ნაილე, მოაშორე. იმათ მე მიხვდავ! ჰუსენიამ მონონებით და მონინებით შეხედა, მაგრამ მაინც ეჭვით გადააქნია თავი.

— შენ ისის, აია...



დარას თავში წიხლი ჩაარტყა. სკანდარა მოულოდნელობისგან გზის იქით გადავარდა. თვირთვილათ რეზომ ხელის კვრით გააგდო აფციური გიორგა, მაგრამ სკანდარას მაინც არ მიაშველა ხელი წამოსაყენებლად. პაკოზას მიუბრუნდა, რომელიც რუსთან ჩამჯდარიყო და შუბლიდან სისხლს ინმენდდა. ეს ყველაფერი სამარისებულ სიჩუმეში მოხდა. სკანდარა თავისით წამოდგა. კანკალებდა — ცალკე დარტყმისგან, ცალკე სიბრაზისგან.

— დედას... გიორგა, ჩემსკენ არ ამოივლი! — უთხრა აფციური გიორგას და უცებ მიხვდა, რომ მარტო პაკოზა კი არა, ესენი სამივე დაამარცხა.

შუბლზე „ბრაუნინგის“ ცივი ლულა იგრძნო. თვირთვილათ რეზომ იარაღი ამოიღო და პირდაპირ დაადო.

— წადი, სკანდარ, აქედან, — უთხრა რეზომ, — შენი აქ ყოფნა აღარ შეიძლება. საერთოდ წადი და აქ აღარ დაბრუნდე!

სკანდარა ცოტა ხანს ხმის ამოუღებლად იდგა. ძალას იკრებდა. მერე თავისი სპორტული ჩანთა აიღო და ხმის ამოუღებლად წავიდა სახლისკენ.

— როგორა ხარ, გოგი? — რეზომ პაკოზასთან ჩაიმუხლა. აფციური გიორგას ზედ არ უყურებდა.

— ამის დედა ვატირე, ეგეთა ნაცემ სახლში რა რიგად მივიდე, — შესჩივლა ჩუმად პაკოზამ, — დედაჩემი შინ არ შემოშვებს!

პაკოზას ავი ფშაველი დედა ჰყავდა. ადრე დაქვრივებული. პაკოზას მამა პავლე მერე მსოფლიო ომში დაიკარგა. მორწმუნე ქალი იყო და ძალიან არ მოსწონდა პაკოზას ავარდნილი ცხოვრება. არც მისი ფული უნდოდა და აინტერესებდა, არც მისი მაგარი ბიჭობა. სულ იმას ეუბნებოდა, „რადღარ შენც არა გცემენ, რო ზღურღზე ფეხ არ დაგაგმევირო, ნაცემ-ნაცემე რე მომიხვიდოდო...“

სკანდარას სახლში შუქი აინთო. დიდი გლოვა და ვაება იდგა. დედამისი ტიროდა. მამამისი საცოდავად იდგა კალსონებით და უყურებდა, მისი ერთადერთი ბიჭი შიფანერკის თავიდან გადმოღებულ დიდ დამტვერილ ჩემოდანში როგორ ალაგებდა ტანსაცმელს და სადღაც გადასაკარგავში მიდიოდა. აქ აღარ დაედგომებოდა. ჩამოსდიოდა შავ ულვაშებზე ცრემლები, ცხვირს ხმამაღლა იხოცავდა და ხმას ვერ იღებდა. ხბორიანი ძროხაც არ გამოჩინილიყო.

სახლიდან წამოსულ ჩემოდნთან სკანდარას რომელიღაც რუსის „დაჩნიკიდან“ გამოხეტებული მამაჩემი ჯემალა გადაეყარა.

— შენც ჩემს საცემრად მოდიხარ, ჯემალო? — ჰკითხა მწარედ სკანდარამ და პასუხსაც არ დაელოდა, ისე გააგრძელა გზა.

ჯემალას მთელი ცხოვრება, სიკვდილამდე, ჟრუანტელი უვლიდა, ეს ამბავი რომ ახსენებოდა.

რესტორანთან რომ ჩამოიარა, სამივენი ისევ იქ დახვდნენ — პაკოზა რუსთან ჩამჯდარი, თვირთვილათ რეზო და აფციური გიორგა. სკანდარამ ჩემოდანი დადო.

— მაღლობათ, ბიჭებო, სალოლ! ხო ერთად გავიზარდეთ, არა? და რისთვის მაგდებთ სოფლიდან? ხო ერთად გავიზარდეთ, აია? — გაიმეორა ისევ, — წავედი, მარა იცოდე, — აფციური გიორგას მიუბრუნდა, — ამათ არაფერი, მაგრამ შენ, რამდენი ხანიც არ უნდა გავიდეს, სადაც არ უნდა გადაგეყარო, იცოდე, რო დედას... — წადი, სკანდარ! — უთხრა თვირთვილათ რეზომ და იარაღი აღარ ამოუღია, — წადი, სკანდარ!.. წადი!..

სკანდარა სოფლის ცენტრისკენ დაღმართს დაუყვა. ბუფეთიკი ჰუსეინა აივანზე იდგა და გაჰყურებდა, ვიდრე სკანდარა სიბნელებში არ გაქრა თავისი ჩემოდნით. წავიდა და წავიდა...

ოცდარი წლის შემდეგ იმ ზაფხულს დაბრუნდა. ყველა ნახა, ყველას მოეფერა, თვირთვილათ რეზოს და პაკოზას გარდა. აფციური გიორგა გარდაცვლილი დახვდა. არც თვითონ უხსენებია ის ამბავი, რომელსაც მთელი ეს წლები ლეგენდად ჰყვებოდნენ, არც სხვას მოუგონებია.

იმ დღეს მოულოდნელად შემოვარდნილა რესტორნის კაბინეტში. ჯემალას ალაღად გაუხარდა. პაკოზამ და რეზომ უხ-

ერხულად გადახედეს ერთმანეთს.

— მოდი, სკანდარ, ძმაო, მოდი, დაჯექი ჩვენთან. მოდი, ბიჭებიც ნახე, რამდენი ხანია, არ გვიხანხიხარ, — ხალისიანად უთხრა ჯემალამ.

— სალოლ, ჯემალ, მაგრამ მაგისტვის არ მოვსულვარ, აია, საქმეა, — სკანდარა აშკარად ცდილობდა, მშვიდად ელაპარაკა.

— დაჯექ, ტო, და ყველაფერს გავარკვევთ, — ატრახახდა ჩვეულებისამებრ ჯემალა, — მოდი რა, დაჯექი... — შენმა ბიჭმა ჩემს გოგოს მოაკითხა, აია, — არ დაჯდა სკანდარა, — ორჯერ მოაკითხა. შენი ბიჭი იყო, მანქანაში დავინახე, შევხედე თუ არა, შენა ხარ. მეორედაც იყო. კინოში მიყავს შენ ბიჭს ჩემი გოგო, — სკანდარამ ნერწყვი გადაყლაპა.

ჯემალას ჯერ გაეცინა, მერე სკანდარას რომ შეხედა, შეცბა. პაკოზა და თვირთვილათ რეზოც ისხდნენ და თვალმოუცილებლად უყურებდნენ სკანდარას.

— მერე რა, სკანდარ, ბავშვები კინოში წავლენ. დაჯექ რა, ტო!.. ტოლები არიან. კაი ბიჭია, წელს ჩააბარა. წავიდნენ კინოში, რა მოხდა? — არა, ჯემალ ძმაო, არა! — სკანდარა ძალიან ნერვიულობდა, — აღარ მოვიდეს. უთხარი აღარ მოვიდეს. არ გეწყინოს, მარა შენი და ქალეხის ამბავი ქვეყანამ ისიც, ისიც ალი კვალი შენა ხარ, მგლისა ბატკანი ვის გაუგია?! აღარა მოვიდეს, უთხარი. ეხლა კინოში წაიყვანს, ჩემი გოგო სულელია, მოსკოვში გაიზარდა, იმათ ჩვენი წესები არ იციან. განებოს თავი. გააგიჟებს ტყუილად ბავშვს, შენ ხო შენ შვილს არასოდეს თათარს არ მოაყვანიხარ და მოსკოვში არ გამოუშვებ?.. ისოდე, რამე რომ მოხდეს, არ დავინდობ, მოკვლავ და სიხემი წავალ ან შეგაკვდები... — ჯემალას სახეზე წამოიწია და თვალეზი ცუდად დაუვიწროვდა. პაკოზა და რეზოც შეტოკდნენ...

— რა გინდა, აია? — სკანდარამ ხმას აუნია, — რა გინათ, აია? ერთხელ ხო გამაღდეთ აქედან, ჩემი სოფელი არ არი, აია? ამდენი წლებია, არა ვყოფილვარ. ჩამოვედი, კიდევ ეგეთ რამეს მიკეთებთ. რა დამიშვებია, აია? ზმობაში სუდი ჩავიდიხარ რამე?.. ჩათლახობა? გოთვერობა? რატო მექცევით ეგრე? რა ვქენი ეგეთი, აია? უთხარი, ჯემალ, ძმურად გეუბნები, აღარ მოვიდეს, გაანებოს ბავშვს თავი... — სკანდარა, როგორც უცებ შემოვარდა, ეგრევე უცებ გავიდა რესტორნის კაბინეტიდან და კარი გაიხურა.

ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ცოტა ხანში მეც მივედი.

შუალამისას ლოგინშივე ამოვიცვი ჯინსის შარვალი, შიშველი ფეხები ბოტასებში გავყავი, მაიკა, გასაღები ავიღე და ფეხაკრეფით გამოვიძურნე ოთახიდან.

— წავიდნენ, მამა, უკვე! — მითხრა მოულოდნელად ჯემალამ.

შევხტი. — ვინ? — ის გოგო, ვისთანაც მიდიხარ. ვიცოდი, რომ მაინც მიაკითხავდი. ორი საათის წინ წავიდნენ.

ვიდექი. — წადი, ჰა. ოლონდ ფრთხილად გადი და მანქანაც ფრთხილად გაიყვანე, ბები-აშენმა არ გაიღვიძოს, თორემ დაგვხოცავს. შენ რა გენადვლება, გავარდები, ნახვალ! — თქვა და კედლისკენ გადაბრუნდა. წელა იარეო, ისიც კი არ უთქვამს.

კიდევ კარგა ხანს ვიდექი. იქ კი წელა შემოვბარუნე, მაგრამ მერე ისეთი დავენთე წითელი ქურჩისკენ, მთელი სოფლის ძალები ღველათი მომყვებოდნენ შუალამისას.

ბაკურა კორნილოვი შევიდა დასაზვერად.

— მართლა წასულან, — მითხრა. — ეგრეც ვიცოდი. მამაჩემი არ მომატყუებდა. ბაკურ, არაყი გაქვთ? ბაკურა დაფიქრდა.

— ელისოს მოვპარავ. ვალერას უმაღლეს და ვიცო, სადაც ინახავს.

დილაშივე ვსვამდით მე და ბაკურა კორნილოვი.

იმ დილას პირველად ვიჯექი მანქანაზე მთვრალი.

და სულაც არ იყო ცუდი.

P.S.



ცალუღელა

ცოლი რომ დაეღუპა, მეზობლებმა ცალუღელა შეარქვეს, მოსიერიები ცალტვინასაც ეძახდნენ, ცალთვალასაც და ცალხელასაც; ცალხელა, რა. განა თვალეზით ხელიც ცალი ჰქონდა, მაგრამ აღარც აღარაფერი აკლდა, დღენიდაც უქმად დაკიდებულ მარჯვენა ხელს, ბუზის ასაქმევადაც არ შეაღებინებდა, ცაცია იყო პირჯვარსაც კი ვერ ინერდა და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, სწორედ ის აირჩია მართამ შვილის ნათლიად.

უკვირდათ, ბრაზი მოსდიოდათ მეზობლებს დედის გადაწყვეტილებაზე, მაგრამ ცალუღელას უფრო უკვირდა ქალის მისდამი კეთილგანწყობა, რაც უსაზღვრო მადლიერებით ავსებდა და ასე ყველანაირად ხელმოცარულს ეს კეთილმოპყრობით გამოწვეული გრძნობა შეეხას სულაც არ ჰგვირია.

აფრთხობდა მის შავნაღვლიან ფიქრებს — ადამიანებისგან მოსალოდნელი ქვის სროლის შიში, რომელიც სულაც არ იყო საფუძველს მოკლებული და აი, პირველი ქვის მსროლელები...

— აბა, როგორ შეიძლება ტაძარში ქუდი შემოსვლა? — მედავითნე აესვეტა წინ და მართლაც საყვედურით სავსე მზერა გაუშვარდა.

იმტაზე მოსულმა ქალებმაც კვერი დაუკრეს და ერთმანეთში გააბეს მასლაათი:

— აგე, ძმა დათო (ზემოთხსენებული მედავითნე), როგორ განსწავლულია ქრისტიანობაში... შეგიტყვევებს მართა ქალობა, იმ შენს უბედურ ქმარს ცრემლებთან ერთად ტვინიც თუ ჩაატანე საფლავში, თორემ რა დაგიშვავ საბრალო ბავშვმა ამ უხეიროს, რომ არ მოანათლინო? რომ ჰკითხო, უფალი რომელია, ისიც კი არ იცის...

— კარგი ერთი, ნუ აზვიადებ... — ტყუილს ხომ არ ვიტყვი ტაძარში? ჩემი ყურით გავიგონე, ბავშვებს რომ ეკითხებოდა, ქრისტეს ცოლი თუ ჰყავდაო (უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმისას სირცხვილის აღმურმა გადაჰკრა).

— უიმე, ღმერთო, ეს რა მესმის, — ხელები ჰაერში გაასავსავა ქაღმა, გულმოდგინედ გადაინერა პირჯვარი და ტაძრის კუთხეში განმარტოებულ ცალუღელას, რომელიც ის-ისა მამამ იხმო ნათლობის ცერემონიალის დასაწყებად, ამრეზით შეავლო თვალს.

ბოლო წუთამდე სწამდა ყველას, რომ მართა აზრს შეიცვლიდა, მაგრამ „ღრმად მორწმუნენი“ გულგატეხილი დარჩნენ, რაც უთუოდ ცალუღელაზე ჯავრის ამოყრას მიანიშნებდა...

ტაძრის კარი გამოიხურა თუ არა, ძმა დათომ უბიძან სიგარეტი ამოაძვინა და ცალუღელას დამცინავი სახით თვალწინ

აუთამაშა. კარგად იცოდა მისი სუსტი ნერტილი...

— არ მინდა, არ ვენევი! — მკვახედ გაეპასუხა ცალუღელა და სიმწრით გადაყლაპა ნერწყვი.

— არ ენევი?! არ ენევა თურმე, — ჩაიცინა მედავითნემ და ნიშნისმოგებით გადახედა მართასა და ქალებს.

— არ ვენევიო? დახე, რა თქვა, ოცდაოთხი საათი სიგარეტი აქვს პირში გაჩრილი, არ ვენევიო, — მხრები აიჩრქეს ქალებმა.

— დაიხ, არ ენევა! — გაქრისტიანებულმა, ხუთიოდე წლის ბიჭუნამ თვალეზი დაკვესა და ძმა დათოს მუშტები დაუშინა... მერე დედას მივარდა, კალთაზე დაეკიდა, — დედა, ნათლია ხომ არ ენევა, რატომ აბრალებენ? — ახლა ქალებს შეუბღვირა ბიჭმა...

— ბავშვს არ ვანახებ, რომ ვენევი... — კბილებში გამოსცრა ცალუღელამ, გამონვდილ სიგარეტს დამშეულივით დასწვდა და ჯიბეში ჩაიჩურთა, მერე ხარბად შეისუნთქა სიგარეტის სუნი, რომელიც იმ წუთში მთელ ქვეყანას ერჩია და გონებაარეულმა განაგრძო გზა...

მართას არაფერი უპასუხია შვილისთვის, გადაღლილ სახეზე მხოლოდ კმაყოფილი ღიმილი დასთამაშებდა...

მოცოროზები

გოგო აქეთ კვესავს დოინჯებმეყრილი — მაგ ტილიანს, როგორ შევიყვარებო და ცრემლებს ღვრის...

ბიჭი იქით ყოყლოჩინობს — რაში მჭირდება ქალაბიჭა შეყვარებულიო და „გამხელელებლს“ მუშტს უჩვენებს...

ბავშვებთან ერთად სათამაშოდ თუ ორივე მოხვდებოდა, რომელიმე აუცილებლად გარბოდა მინ გაგულიხებული (ნასვლა დასწრებაზე იყო), თუ მარტონი იყვნენ, ენას გამოუყოფდნენ ერთმანეთს, მწარე-მწარე სიტყვებს ესროდნენ და თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ საპირისპირო მხარეს...

„ეს ბავშვები, ასე რომ ვერ იტანენ ერთმანეთს, მოსანათლები რომ არიან, იქნებ მაგიტომ,“ — გაუთავებელ კინკლაობას ახსნა მოუძებნა მეზობელმა ქალმა და ორივეს ნათლიაობა თვითონ ითავა.

ახლა ამაზე შექმნეს მოცოროზებმა ვაიუშველებელი. ცალკე — გოგო, ცალკე — ბიჭი თავგამოდებით აპროტესტებდნენ ამ ამბავს. სამი დღე არცერთი ხმას არ იღებდა. დუმილი და უფროსების კითხვები რომ მოსწყინდათ, ცალ-ცალკე ორივეს ერთნაირი გულიწინადადები გაუშხელია მშობლებისთვის:

„ერთი ნათლია რომ გვეყოლება, შეყვარებულები როგორღა გავხდებით?!“



ნუგზარ ზაზანაშვილი ოცდაჩვიდმეტი — კვლევა-ძიების ხანა

ლელა სამნიაშვილი ახალი პოეტური ნაკადის ერთ-ერთი მეტად საინტერესო წარმომადგენელია. ამას წინათ გამოიცა მისი ლექსების წიგნი, სათაურით — 37 („ინტელექტი“, 2017).

„ოცდაჩვიდმეტი“ ჰქვია კრებულის შესავალ ლექსს, სადაც პოეტს ეს ასაკობრივი „ნიშნული“ ნიშნულად, ერთგვარ ზღვრად წარმოუდგენია: „უკვე გამოჩნდა გამყოფი ხაზი — ბოლო ნიშნული. / საზღვარს, ათასჯერ გადასწვლს — საბოლოოდ გადავაბიჯე / დავამარცხე რომანტიული ურჩხული ჩემში — სანუკვარი არყოფნისკენ რომ ეწევა ქათქათა სულს (...). იქნებ მკვდრებს მართლა აქვთ მისასვლელი, / ცოცხლებს კი მხოლოდ — სიბერისაკენ“... ამ სტრიქონებს მოჰყვება საკმაოდ ვრცელი პასაჟი, სადაც დახასიათებულია არასასურველი სიბერე; ამასთან, სიბერე ტრადიციულად ასოცირდება სიცვიესთან, ჩრდილოეთთან (გამახსენდა მიხეილ ქელივიძის „და სიბერის არქტიკული ახლოვდება სიცვიე“); ლექსის ეს მონაკვეთი ასეთ სტრიქონებსაც შეიცავს: „ამიტომაც ამოკლებდნენ გზას პოეტები — / დუღებში, ომებში და კატასტროფებში / კისრებს ყოფდნენ სილამაზის გადასარჩენად“ (ეს ბოლო ტაეპი მთლად გამართული არ არის)... პოეტს აშკარად აშინებს სიბერის მოახლოება... და მაინც ლექსი იმედიანი სტრიქონებით მთავრდება: „შორს ციმბირივით მოჩანს სიბერე, / ალბათ გავძლებ, / თუ შენთან ერთად გადავსახლდები“ (ეს სტრიქონები, ზემოთ მოყვანილ სტრიქონებთან ბმულში, ნებით თუ უნებლიეთ, ალუზიურიცაა — დეკაბრისტების ცოლების პოეტური სახეც ილანდება მკითხველის წარმოსახვაში)...

მე კიდევ რამდენიმე კომენტარს დავურთავ ამ ლექსს. პირველი, რასაც ვიტყვი ისაა, რომ 37-40-45, მართალია, 17-20-25 არ არის, მაგრამ, ფიზიკურად, ჯერ ისევ ახალგაზრდული ასაკია; მეორეც, სილამაზე გადაარჩენს სამყაროსო, ვინც თქვა, ერთხანს გაციმბირებული კი იყო, მაგრამ მას თავი ყულფში არ გაუყვია, ფილტვების დაავადებით გარდაიცვალა 59 წლის ასაკში; პოეტად ყოფნის არჩევანი — იმთავითვე, იმანენტურად, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებულად — ნამდვილად არის ბევრ რისკთან დაკავშირებული, იმთავითვე გულსხმობს — ფართო გაგებით — თავგანწირვას მარადიული ფასეულობების დასაცავად, მაგრამ არა მგონია, რომ ამას უშუალო კავშირი ჰქონდეს სიბერის პერსპექტივასთან; არა მგონია, რომ პოეტები დუღებში და ომებში მაინცდამაინც გარდაცვალების, ახალგაზრდულ ასაკში „სამუდამოდ დარჩენის“ მიზნით მონაწილეობდნენ; და ბოლოს, მგონია, რომ ძალიან ადამიანურია და დუღებზე არანაკლებ პოეტურია ნატვრა იმისა, რომ საყვარელ ადამიანთან ერთად მოგინოს სიბერეში „გადასახლება“.

მოკლედ კი — ჩემი აზრით, ასეთი ლექსების წერა ლელა სამნიაშვილისთვის ნაადრევია: უკვე ვთქვი, რომ 37-40-45, ფიზიკურად, ახალგაზრდული ასაკია და, ასევე, ახალგაზრდული ასაკია პოეზიისთვისაც; ძალიან იშვიათად ხდება ისე, რომ ამ ასაკისთვის დღეს — ინფორმაციის და კერძოდ ლიტერატურული ინფორმაციის მოზღვავეების პირობებში — პოეტმა საბოლოო ჩამოყალიბება მოახსროს: ამისათვის ჯერ სათანადო „ტრენინგი“ უნდა გაიაროს, რაც პირობითად ორ ნაწილად შეიძლება დაიყოს: ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი სწორედ ხსენებული ინფორმაციის ათვისება-გააზრება-გაფილტვრა და გაფილტვრის ცნობიერ-არაცნობიერში დაღუპვა, რასაც დრო სჭირდება; მეორე შემადგენელი კი „პოეტურ-ლაბორატორიული“ კვლევა-ძიებაა... „საბოლოო ჩამოყალიბებას“ რომ ვამბობ — ესეც პირობითია, შედარებით: ვფიქრობ, მართებულია ის აზრი, რომ პოეტმა მთელი სიცოცხლე პოეტურ ძიებაში უნდა გაატაროს, ის არასოდეს უნდა შეჩერდეს, არასოდეს დაკმაყოფილდეს მიღწეულით, არ უნდა გახდეს ადვილად პროგნოზირებადი, ერთგვაროვანი, მონოტონური, მოსაწყენი, „საბოლოოდ ჩამოყალიბებული“... მაგრამ ამასაც ვფიქრობ, რომ ამ ძიებების პიკი სწორედ 37-40-45-ს ემთხვევა...

და ლელა სამნიაშვილის „ოცდაჩვიდმეტი“ ამის საუკეთესო მაგალითია: პოეტი ფლობს და იყენებს სრულიად განსხვავებულ პოეტურ იარაღებს, ხერხებსა თუ საშუალებებს, ეძებს პოეტურ სრულყოფილებას ფორმა-შინაარსის ფართო ველზე; ამ ველზე შეხვედებით კლასიკურ ვერლიბრსაც და კონვენციურ რითმიან ლექსსაც (სონეტის ფორმაც კი სასინჯქვად ქცეულა) და ეს უკანასკნელი მომენტი მეტისმეტად მნიშვნელოვნად მეჩვენება: მე ასეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ დღეს ჩვენში ახალგაზრდა პოეტების უმეტესობა წერას თავისუფალი ლექსით იწყებს და ასევე აგრძელებს, ანუ თავს არიდებს კონვენციური რითმიანი ლექსის „სკოლის გაკვეთილებს“; არადა, ჩემი აზრით, ამ საფეხურს პოეტისათვის ისეთივე მნიშვნელოვანია აქვს, როგორც მხატვრისათვის ნატურის ხატვის შესწავლა... ასეთი შეხედულება გარკვეული აზრით, ალბათ, კონსერვატიულია, მაგრამ მაინც სწორი მგონია ერთი ძველი, ჭკვიანი და დიდად ნიჭიერი კაცის ეს გამოხატულება: წესებიდან რომ გადაუხვიო, ჯერ ეს წესები უნდა იცოდე...

ლელა სამნიაშვილს ეს წესები კარგად აქვს ათვისებული: კრებულში მიაკვლევთ ექსპერიმენტულ, საინტერესო რითმიან სტრუქტურებსაც — „დატეხილი“ სტროფებითა და ტაეპებით, მაგალითად: „კაცი — ანძაზე — / ლუდს და არაყს გარკვევით ითხოვს. / ანგელოზურად ზის, აკავებს საკ-

უთარ ძვლებს და / აშინებს გამველეს, გუბერნატორს / და ღმერთსაც, — თითქოს / იდარდებს ვინმე, იმას სული თუკი გასძვრება.“

პოეტი იყენებს ტროპების/მეტაფორების ფართო სპექტრს და უმეტაფორო ლექსსაც; ზუსტ რითმსაც და (უმეტესად) არაზუსტსაც; საკუთარ შინაგან სამყაროზე ფოკუსირებულ აღსარებით დისკურსსაც, პატრიოტულსაც, სოციალურსაც (პოლიტიკურსაც კი) და უბრალოდ ლირიკულსაც...

და ამ ყველაფერს სულ 80-გვერდიანი კრებულში იტყვს და ეს ყველაფერი უთუოდ პოეტური ნიჭის ფართო დიაპაზონის მაჩვენებელია.

* * *

ლელა სამნიაშვილი ნამდვილი პოეტია და ამასი რომ დავრწმუნდეთ, აი, ამ ერთი ლექსის ნაკითხვაც საკმარისია:

რა გაცრეცილი სიტყვაა თრიმლი როცა მთა ასე აავიზიზა — ნაკიდებია ნაცრისფერ თბილისს — ამ გადატყეპნილ გზაზე — სიზმრიდან — სამსახურამდე — ყოველდღე ვზვერავ — ცეცხლოვანი და ხმული კვირტების ტოტს ავიღებდე ასანთის ღერად, ამ ჩემს ცხოვრებას ნაუკუიდებდე. „რა გაცრეცილი სიტყვაა თრიმლი“ —

ეს არის ნამდვილი პოეტური განცდა, სიტყვის განცდა, სიტყვის პოეტური შეგრძობა...

და კონტრასტი: გაცრეცილი სიტყვა... მაგრამ რაც ამ სიტყვითაა აღნიშნული — ის, მეორე, ნამდვილი — ნაცრისფერი თბილისის ამაგიზიზებული, გამფერადებულია და ეგებ ამ გაცრეცილი, ნაცრისფერი, „გადატყეპნილი“ არსებობის გასაფერადებლად გამოდგეს...

გამოდგება... უეჭველად გამოდგება: ასეთი „უმნიშვნელო დეტალები“ ალამაზებს სიცოცხლეს, ხდის მას მიმზიდველად, გადავლილს კაცს რუტინულ ყოველდღიურობასთან შეგუებას, გინერვაცი მცირე იმედს მაინც... უბრალოდ — უნდა თავი აწიო, გაიხედო შენს მიღმა, შეამჩნიო ეს დეტალები...

ლექსიდან სხვა შინაარსების ამოკითხვაც შეიძლება, რადგან სათქმელი ბოლომდე ნათქვამი არ არის: დატოვებულია უხილავი სივრცე პოლისემანტიკურობისთვის...

და სულ ბოლოს კიდევ ერთს ვიტყვი: დარღვეულია ორთოგრაფია, სინტაქსი, ზოგიერთი სხვა, მაგრამ ამ ლექსს ხელის შეშლა არ სჭირდება — ის ინტუიციურ-ასოციაციურად ერთიანია, მთლიანობაში სრულიად მშვენიერია... და სწორედ ესაა ნამდვილი პოეზიის ხიბლი...



ლელა სამნიაშვილი
37

პაატა ჩხეიძე

ბაირონის ასაკს მიღმა

ლელა სამნიაშვილმა ორმოცი ლექსისაგან შემდგარი კრებული მოგიძღვნა. რიცხვი 37 რალაცას ამბობს, ისევე როგორც წიგნის ყდაზე გატანილი სამყურას (ოთხყურას) ფოტო.

უთუოდ იმას ამბობს, რომ ლელა სამნიაშვილმა ბაირონის ასაკს გადააბიჯა და ფრიადი სამკალი მომკა, ჭირნახული დაახვავა. იმასაც, რომ ილბაღს არ ემდურის ანუ ეიმედება.

ლელას ჰქონდა შემოქმედებითი შესვენების პერიოდი, ეგებ ფასეულობათა გადაფასებისაც, მსოფლმხედველობრივი იქნებოდა თუ მხატვრულ-ვერსიფიკაციური.

აი, ეს წიგნი კი სიმწიფის ნიშანია! პოეტური ნიჭი ლელა სამნიაშვილმა პირველ ლექსებშივე დაანახვა მკითხველს და შემდეგ დაამტკიცა, რომ მშრომელი პოეტია. შრომაში ნაყოფიერებას კი არ

ვგულისხმობ, არამედ, უფრო, შრომას ლექსზე, როცა დაგროვილი ემოცია და ცოდნა შეძლებისდაგვარად ზუსტად უნდა გადმოსცე. ლექსი მისთვის მხოლოდ განცდების გადმოღვრის საშუალება არაა, როცა „ლექსის მთხვევები“ დაუდევრად მოაღავენ ხოლმე სიტყვებს და იბლინძებიან კიდევ, აცა, რა აზრები დავახვავეთო! თუმცა მათი ბრალი არაა, რომ გასდით, ცოდვა რედქტორებსა და გამომცემლებს და პრემიების გამცემებს უნდა მოეკითხოთ.

ლელას სტრიქონი მუდამ სალექსოა, კონვენციური იქნება თუ ვერლიბრი. მასში მოძრაობს პოეტური ეთერი და სიტყვა არასოდეს გორდება უქმად, ავტორს მიაქვს და თავის ადგილას სვამს და ჯდება სიტყვა ტაეპში, რომლის მეტრი, რიტმი, ინტონაცია და სხვა... პოეტურია, ძალზე პოეტური.





კობა ცხაკაია

ბედნიერების შეცდომა ანუ ქამელაონი

წიგნის პირველი ლექსით, „ოცდაჩვიდმეტი“, პოეტი თავის დღევანდელ სახლში შეგვიძღვება და მოგვამბობს იმისათვის, რაც უნდა ნაიკითხოთ და განვიცადოთ. სიბერისაკენ გახედვა პოეტისათვის არ არის პოზა, მკითხველის დასაბნევად დაჭერილი, წამიერად და მერე თვალს მიფარებული. ეს ღრმა სევდაა ახალგაზრდისა, რომელმაც შეძლო საწუკარი არყოფნისაკენ გახედვა, თვალის გახედვად გაუსწორა და გრძნობით მიმართა ამქვეყნიურსა და იმქვეყნიურ სატრფოს. ეს გრძნობა მკითხველს გადმოეცემა და ირინდება და ეთანხმები:

*შორს ციმბირივით მოჩანს სიბერე,
ალბათ გავეძღვებ,
თუ შენთან ერთად გადავსახლდები.
და მერე მოდის მცირე შედეგები, ხილვა
პოეტური თვალთ, როს სულ უბრალო
ბუჩქი ცხოვრების აზრის შემცველი და მატარებელი ხდება. ტრადიციულ ათმარცვლიან ლექსში ამოვიზიგზებულნი ვანცდა ყოველდღიური აღქმისა პოეტურ სახედ გადაქცეული, არც კი ვიცვი, ანუამბეზანით გადატეხილი რიტმით უფრო მეტყველია თუ მძაფრი და მოულოდნელი, ელვარე ხატი.*

*რა გაცრეცილი სიტყვაა თრიმლი
როცა მთა ასე აავიზიგზა —
ნაკიდებია ნაცრისფერ თბილისს —
ამ გადატეხილ გზაზე — სიზმრიდან —
სამსახურამდე — ყოველდღე ვზერავ —
ცეცხლოვანი და ხმელი კვირტების
ტოტს ავიღებდე ასანის ღერად,
ამ ჩემს ცხოვრებას ნაფუკიდებდე.*

კაცი ანძაზე ამძვრალა და ლუდსა და არაყს ითხოვს, („კაცი ანძაზე“); ხელისუფლებას არ სურს ჩამოვარდეს და ქალაქს, ქვაფენილს, მთელ ქვეყანას ეტკინოს მისი დაცემა და ალბათ მოთხოვნას შეუსრულებს, მაგრამ მერე სხვები მიზაძვენ მის მავალით; აი, თანამედროვე ადამიანის ნამდვილი სახე! ტიპური მოდერნიზაციული ლექსია; ამბავი, ფათერაკი დაწინებლია და შვიდ სტრიქონში ჩატეხილი, კონკრეტული სურათი, გააზრებული და განზოგადებული. სხვადასხვა მეტრის მქონე ტაქტებისაგან შემდგარი ტერცინები, ერთი შეხედვით თავისუფალი, ოღონდ რთული გარითმვით და მეტად ორიგინალური რითმებით, მაგალითად: „საკუთარ ძვლებს და / თუკი გასძვრება.“ ამ ლექსში მთავარი ემოციური აქცენტი მუდერი, ალიტერაციული ფინალია, ორიგინალური და მართალი:

*კაცი — ანძიდან
ალბათ ჩამოვა,
მაგრამ მერე მოძებნის ანძას —*

*ყველა ვისთვისაც
ეს შემთხვევა მისაბძია,
ვინც გაიფიქრებს,
რომ ეს კაცი გმირულად აძვრა
ანძაზე, შიშზე, სიფხიზზე,
საკუთარ ძვლებზე.*

არყის გამოხდა ვის არ უნახავს, ან კაკალი ვის არ გაუტეხავს და ლებანი, უღელი და ნაჭუჭი დაუცალკევებია?! ეს ხომ ასეთი ჩვეულებრივი რამაა, იოლი, თითქმის მაშინალოვანად მისაღწევი, განაფული ხელისათვის.

პოეტის კალამი (თუნდაც კომპიუტერში წერდეს, ლექსი მაინც კალამს გამოჰყავს) ამ ყოფითობას აფართოვებს, აღრმავებს, მერე კრავს, კუმშავს და რვასტრიქონიან ათმარცვლიან ლექსად ალაგებს. და ლოთი ჭინკების როყიოდ ნათქვამი, უეცრად, მარადიულს, საკაცობრიო სიბრძნედ გადაიქცევა. ეს სიბრძნე ნაუკითხავს პოეტს, სმენია, გაუსიგრძეგანებია, მერე დაშორებია და უკან მიბრუნებულს ახალი, ენტროპიული ძალით აუმეტყველებია ეს ბანალური პეიზაჟ/სი-

უფეტი:
*ცალკე — ნაჭუჭი, ცალკე უღელი —
ამ გულისანსაც ნლები გამოხრავს.
სადღაც გრძელდება აუღელვებლად —
სულელების, როგორც სპირტის გამოხდა.*

*სამყაროს ქვაბი. მუცლების გვრემა.
სუნზე ჭინკების წრე შეიკვრება.
კმაყოფილები იტყვიან — გემო
ნელს შარშანდელზე მწარე ექნება.*

არ მახსოვს, რომ ტერცინები განსაკუთრებით უყვარდეს ლელა სამინაშვილს; ამ წიგნში სამიოდეა ასეთი, მაგრამ ამ ლექსში, „გორი. ბავშვობის ბალი,“ ეს ფორმა ოსტატურადაა გამოყენებული. აქ ერთმანეთს ცვლის რთული სარიტორიკა — აბაგადგა... — რასაც შინაგანი რითმებიც ერევა, მერე ისევ აირევა სქემა და ისევ ლაგდება და ამ სირთულეში ჩვეულებრივი რამ, პროვინციული ქალაქის, ბავშვობის ბალი ბუნდოვანდება და რეზუსად, გამოცუანად იქცევა. ლექსი, ოღონდაც რომ, არ უნდა იყოს მარტივი და მლიქვნელურად იოლად გამოსაცნობი, ვთქვათ — გორის ციხის ახლოს მდგარი ჭადარს ეტყვის ჭადარი — ლექსი რთული უნდა იყოს, ბუნდოვანი, გამოუცნობი, დამძიმებული ბავშვობის მოგონებით (ამ შემთხვევაში). მეც ხომ იმ ქალაქში გავატარე ბავშვობაც, ჭაბუკობაც და ჯელობაც და მაინც ბოლომდე ვერ გამოვიცან ლექსი, სანამ, ორმოცდამეთოთხმეტე გვერდზე, („ისევ გორი. სუპერმარკეტი“) პოსტმოდერნული პირდაპირობითა და სუბიექტურობით არ გაცოცხლდა ვეება აჩრდილი და სუპერმარკეტში არ ჩავიდა. ამ ტიპიურ ვერლიბრში სტალინის აჩრდილი სუპერმარკეტის ვიტრაჟზე მიკრული დიდი ბანერია (ვისაც არ გინახავთ ნახეთ, ისევ იქაა), რომელიც ღამით იღვიძებს და თავდაცემული, უღონო რისხვით ათვალეერებს და ებღებუე გამოფენილ ათასი ჯურის პროდუქციას. პოეტის თვალმა აღიქვა და გადმოგვცა, გაგვაზრებინა ჩვენი დროის ცინიკური პარადოქსი, კომუნისტი დიქტატორი თავისუფალი ბაზრის პრომოუტორად გადაქცეულა:

*სუპერმარკეტის მეპატრონე
გაყიდვებით კმაყოფილია.
მაგრამ ლექსში მოჩანს შიში და ნუხილიც,
იმის გამო, რომ ამ მასშტაბების ურჩხულის კვერცხი, ბოლომდე ვერაფრით გატყდა,
და თუმცა ეგზოტიკურ საფრთხობელად გადაქცეულა ტურისტებისთვის,
კვლავ ჩვენს შორისაა, შემოღობს შემზარავი
წარსული ანმყოფი და მომავალშიც შემოიჭრება.*

ამ კრებულის მთავარი გამოცანა, მაინც, „ქალი პოეტი“! მე არ ვიცოდი ამ ლექსის არსებობა და, როცა ლელა სტუდენტებს წარვუდგინე, როგორც პოეტი ქალი, სიტყვა შემანყვეტიდა და თქვა, რომ — იგი პოეტი... და იგი პოეტი! ამ ლექსში ემილი დიკინსონის ხმა ისმის, შორიდან, და ემილი დიკინსონი ხომ ქალი იყო, დიდი ამერიკელი პოეტი. და რატომ ვუსვამთ ხაზს პოეტის ქალობას? იმიტომ, რომ ქალები ნაკლებად წერდნენ კარგ ლექსებს? იმიტომ, რომ ქალები ნაკლებად არიან დიდი პოეტები? ანაც ხომ ქალი იყო და კაცებს სჯობდა! დღეს საქართველოში რამდენიმე ქალი წერს კარგ ლექსებს და იმსახურებენ, რომ პოეტი ვუნდოთ, „ქალის“ გარეშე. რა შუაშია გენდერი და ემანსიპაცია?!

— არ არსებობს ქალი პოეტი.
ვერ ვიტყვი, რომ ორმოცი შედეგია კრებულში. ყველა ლექსი ერთნაირად ძალზე კარგი არაა, მაგრამ ვერც საშუალო, უსახურ ლექსს დაძებნის აბეზარი თვალი და დევეს მკითხველის (ჩემს) მაგიდაზე „37“, სხვა არაერთი ნამდვილად პოეტური კრებულის სანინდრად.

ყველასათვის ზედმეტი და როგორც ამბობდნენ „ზედმეტად უნიჭო“ პოეტი სადღაც გაქრა...

უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყვდი — მან ფერი დაკარგა... გაუფერულდა... გვაპატიონ ენათმცოდნე-გრამატიკათმცოდნემა და ლიტერატურათმცოდნემა, მაგრამ... ამ მოვლენას ერთი სიტყვით ასე დავახასიათებდი — „ის გაუჩინაჩურდა — ის გაუჩინაჩადა“.

როგორ გადმოსცემდა — აღწერდა — გამოხატავდა ეს სიტყვა პოეტის მდგომარეობას?

საკმარისი იყო, ამ ამბის გმირი მიახლოებოდა რაიმე შენობას, სატრანსპორტო საშუალებას, მცენარეს, ცხოველს, ჯიხურს, ან სარეკლამო აბრას, და ოდნავ მაინც გაემახვილებინა მასზე ყურადღება, რომ იმწუთასვე მისი სხეული, ივსებოდა-იფარებოდა ზედაპირით და ლეზულობდა კონკრეტული ფასადის, საგნის, ფლორის ან ფაუნის წარმომადგენლის — ფერებს და შემადგენელ მასალას.

ის ამით ძალიან ბედნიერი იყო.

ადრე მას ვერავინ ამჩნევდა, არავის არაფერში სჭირდებოდა. ადრე ის ერთ-ერთი შეუმდგარი პიროვნება და უმუშევართაგანი იყო. იმედგაცრუებული და ყველასგან მივიწყებული...

მას ეჯახებოდნენ, ხელს კრავდნენ, აბიჯებდნენ, აფურთხებდნენ და ნაგავსაც კი აყრიდნენ თავზე, რადგან იყო, მაგრამ არავის უნდოდა მისი დანახვა...

ქუჩის ძაღლები და ქალაქის უპატრონო მტრედებიც კი, რომლებსაც ნაგავში ქექვის გამო ვითრისან ვირთხებს ეძახოდნენ, არც კი იძახებოდნენ მის დანახვაზე, უბრალოდ აგრძელებდნენ თავის ჩვეულ საქმიანობას, ანუ... ჭამას, ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და ყველა დანარჩენი ადამიანის, ანუ მათ წინ მიმავალი მოქალაქის შემჩნევას...

მას კი, როგორც თვითონ ამბობდა, „ქედმაღლურად უგულვებლყოფდნენ...“

ამის გამო ძალიან ნერვიულობდა, დეპრესიაში ვარდებოდა და სასონარკვეთილი თხოვდა ღმერთს დახმარებას...

და ისმინა ღმერთმა მისი გაუთავებელი ბღავილი და... თავისებურად გადაუწყვიტა პრობლემა.

გააუჩინარა... ვაი-პოეტიც დაწყნარდა და გაბედნიერდა.

იმ დღიდან უკვე ყველა ამჩნევდა... რაც უფრო მეტად ხდებოდა უჩინარი, მით უფრო ექცეოდა ყურადღების ცენტრში და უფრო პოპულარული ხდებოდა...

ცნობისმოყვარენი და თავყანისმცემლები სულ კუდში დაყვებოდნენ და ყოველი ახალი „გარდასახვა-გაუჩინარების დროს“ ტამისკვრითა და „ბრავო-ბისს-მალადეცის“ შეძახილებით ხვდებოდნენ... მშვენიერი სქესის ანუ ქალბატონების მხრიდან იყო მცდელობები მასზე სექსუალური ძალადობისა, რასაც, ხშირ შემთხვევაში, სიამოვნებით ნებდებოდა...

ყველას უნდოდა უხილავთან კავშირი და მრავალმნიშვნელოვანი კონტაქტი.

იმდენად მოთხოვნიდა გახდა, რომ ხალხი, მოქალაქეები მას უკვე იქაც კი ეძებდნენ, სადაც არც კი იყო და არც არასოდეს ყოფილა...

უჩინარობამ, ლექსებიც კი პოპულარული გაუხადა... მის „ყაზალებს“ და „ჰაიკუებს“ უფროსკლასელი ან სტუდენტი გოგონები თავიანთი იაფფასიანი პომადებით სასწავლებლებისა და საპირფარეშოების კედლებზე წერდნენ... მოზრდილი ქალბატონები კი ოქროს ძაფებს აქსოვდნენ წინსაფრებსა და თავსაფრებში, მერე კი სასწაულ ფასებად ჰყიდნენ... როგორც გაიორკვა და ზემოთხსენებულიდან ჩანს — საოცარი ლექსები დაუნერია. ორიგინალური, ღრმა და ფსიქოლოგიურად ფაქიზი.

ამით კი ძალიან ამაყი და ბედნიერი იყო. ნიჭიერ პოეტს ყველა ნატვრა უხდებოდა და დაფარული სურვილიც კი, რომლის გამხელას ადრე თავის თავსაც ვერ უბე-

დავდა, ხორცს ისხამდა...

ცნობილი ფოტოხელოვანი სურათებს უღებდნენ, ფერმწერი მის პორტრეტებს ხატავდნენ... მართალია, უჩინარი პოეტი ნახატებზე არც კი ჩანდა, მაგრამ ნამუშევრებს სათაურად მისი სახელი ხომ ეწერა? ხელოვნებათმცოდნენი ხომ ამბობდნენ, რომ ამ ნამუშევარზე ის იყო გამოსახული?... და ხალხიც ხედავდა იმას, რაც უნდა დაენახა...

ძეგლებსაც უდგამდნენ... მართალია, ცარიელ პედესტალებს ხსნიდნენ, მაგრამ ოქროს ასოები ცხადყოფდა, რომ ეს მისი ქანდაკება, ბარელიეფი ან ბიუსტი იყო და აღფრთოვანებულთ ესეც ყოფნიდათ მუხლის მოსახურებად და კერპის თაყვანისაცემად...

ასე გრძელდებოდა უკვე რამდენიმე წელი...

დასაწყისში პოეტს ეს ძალიან ახალისებდა... მერე ახარებდა... თუმცა, ბოლოს უკვე შეურაცხყოფდა კიდევ... რადგან საკუთარ თავს, როგორც რეალურ პიროვნებას, ვეღარც თვითონ აღიქვამდა და ავინყდებოდა, როგორი იყო სინამდვილეში, როგორი იყო ადრე, მანამ, სანამ გაქრებოდა და ასეთი წარმატებულ-პოპულარული გახდებოდა...

ყველაფერი კი მაშინ ამოუვიდა ყელში, როცა ერთმა ულამაზესმა ქალმა (რომელზე ადრე ვერც კი იოცნებებდა), მასთან გატარებული ბობოქარი ღამის მერე, ხუჭუჭათიანი, კუნთმავარი, ცნობილი კინოვარსკვლავის ფოტოსურათი აჩვენა და უთხრა: „ჩემთვის შენ ეს ხარ და საერთოდ ყველასთვის ის სახე გაქვს, რომელზეც ჩვენ ქალები ვოცნებობთ... ფაქტიურად ჩვენი ანგელოზი ხარ!“

უჩინარი-უფერო საყვარელი მიხვდა, საკუთარი სახე საბოლოოდ დაკარგა და მწარედ ჩაიცინა...

ყველაფერისგან მობეზრებულ-მოყირ-ჭებულმა შეწყვიტა მის საპატივცემულოდ გამართულ დღესასწაულებსა და კონცერტებზე სიარული... აბეზარი თავყანისმცემლების ხმა რომ არ გაეგონა, ქუჩაშიც კი აღარ გადიოდა...

მაგრამ ამით ქალაქში არაფერი შეცვლილა... ყველაფერი ისე გრძელდებოდა, როგორც გუშინ, გუშინდინ ან გუშინდინის იყო. იხსნებოდა ახალი ძეგლები, იმართებოდა ლიტერატურული კონკურსები, ზეიმები, საღამოები. იყიდებოდა პორტრეტები... ორსულდებოდნენ ახალგაზრდა გოგონები და გაუთხოვარი ქალები და მას აბრალებდნენ და უხდიდნენ ამისთვის მაღლობას...

სულელების ქვეყანაში პოპულარობა ურემია — მთავარია, მის დასაძრავად გეყოს ძალა, თორემ გზას მერე თვითონ კარგად იპოვის და ვეღარც გაჩერდება...

ჰოდა, არც ჩერდებოდა ეს უმართავი ოთხბორბალა... პირიქით, სულ უფრო და უფრო კრეფდა სიჩქარეს, რახუნობდა, რახრახებდა და ჭრიალებდა...

სახლში გამოკეტილი პოეტი კი კვლავ იტანჯებოდა და არ იცოდა, რა ექნა...

ერთ დღით კი გაიღვიძა და აღმოაჩინა, რომ კვლავ ძველებური, ადრინდელი იყო. ანუ ჩვეულებრივი, მაგრამ კვლავ უნიჭო, შეუმჩნეველი და არავისთვის საჭირო.

ისევ ძველებურად ეჯახებოდნენ, ხელს კრავდნენ, აბიჯებდნენ, აფურთხებდნენ და ნაგავსაც კი აყრიდნენ თავზე... ქუჩის ძაღლები და ქალაქის უპატრონო მტრედები კვლავ აღარ იძახებოდნენ მის დანახვაზე, უბრალოდ აგრძელებდნენ თავის ჩვეულ საქმიანობას, ანუ... ჭამას, ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და ყველა დანარჩენი ადამიანის, ანუ მოქალაქის შემჩნევას...

ფერ-სახე დაბრუნებული კი ბედნიერი იყო — იმდენად ბედნიერი და კმაყოფილი, რომ ქუჩაში გამოვარდნილმა, კედელთან მიგდებულმა, სიმღერაც კი წამოიწყა... გუგუნა... მელოდიური და ხმამაღალი...

ამან კი გვიანი შემოდგომის ფერებით და ნესტიანი სუსხით ჩამჟავებულ ქალაქში ყველა და ყველაფერი გააჩერა.



იქნებ იმიტომ, რომ ბავშვი ვიყავი? ბავშვისთვის ხომ ყველაფერი საოცრებაა — სამყაროს ყოველი აღმოჩენა — წვიმა, თოვლი, ცეცხლი...

ოღონდ ეგ არის — მერე და მერე — წვიმის, თოვლის, ცეცხლის მეორედ, მესამედ, რამდენჯერმე ნახვა ამ განცდას აქრობს.

მე კი დღემდე საოცრების ელფერით მახსენდება ის ოთხშაბათობები — ახალგაზრდა ლიტერატორთა სექციის შეკრებები, მწერალთა კავშირის გორის განყოფილებაში, ვაჟა დადიანის ხელმძღვანელობით.

ალბათ იმიტომ, რომ მსგავსი „წვიმა, თოვლი, ცეცხლი“ აღარასოდეს მინახავს, ისინი ვერ გაახუნა მომავლის ანალოგიურმა — აღარმოხდარმა ფაქტებმა და მოვლენებმა.

იქნებ ესეც დიდი არაფერია ამოების ორომტრიალისთვის, მაგრამ იმ სამყაროს ფანტასტიკურობის ვერსიას კი ეხმარება არსებობაში.

„ფანტასტიკურში“, თანამედროვე ყოველდღიური მეტყველებისგან განსხვავებით, რა თქმა უნდა, უზადოს, უნაკლოს, ბრწყინვალეს, ლამის აცხადებულ სრულყოფილებას არ ვგულისხმობ. ის სამყარო, რა თქმა უნდა, ასეთი არ იყო, არ იქნებოდა.

მეტიც — ეგ ფანტასტიკა, ტრამპლინად კი არა, იქნებ საფეხურადაც ვერ გამოდგეს შემდგომი ცხოვრებისთვის, ნამდვილი სამყაროსთვის.

კარგი, დაეშვათ, იმ სამყარომ ლექსის წერა გასწავლა. მერე რა? განა ლექსის წერა რეალობაში გამოსადეგი საქმიანობაა? განა ეგ ცოდნაც ფანტასტიკის სფეროსი არ არის? ცოდნა, რომელიც არავის სჭირდება.

უბრალოდ, ის სამყარო პარალელური, დამოუკიდებელი, თვითღირებული სამყაროა — დანარჩენი სამყაროს ალტერნატივა, სადაც იმ ფასეულობებს ეხები, რომლებზეც სხვა სამყაროებში მხოლოდ ლაპარაკობენ: სიმართლე, სიმართლის წერა, სიმართლის თქმა, მოყვარვის პირში თქმა, თვითკრიტიკა, კრიტიკა გვეხმარება... და ასეთები.

*

იქ ჯერჯერობა ნყალბით მოვხვდი. ახლა ვაპირებდი, მეთქვა — არ ვიცი, ჯერჯერობა მართლა რამე საიმედო შემამჩნია თუ ჩემმა ვიზიტებმა გააბეზრა-მეთქი, მაგრამ არ მინდა, თვითთონიით ნაკეკლუცება გამოვივიდე. ფაქტია, ამ კაცმა, როგორც დღეს ხშირად იტყვიან, შანსი მომცა და რომელიღაც ოთხშაბათისთვის ახლგაზრდა მწერალთა სექციის შეკრებაზე ვაჟა დადიანის სამუშაო ოთახში დამიბარა.

სწორედ იმ ოთხშაბათს მივიღე შოკი — ერთ-ერთი საუკეთესო გაგებით.

როგორც მერე და მერე გავარკვეე, სექცია ამ სისტემით მუშაობდა: ჯგუფის წევრები, ვაჟა დადიანის ხელმძღვანელობითა და პაატა ჩხეიძის თანადგომით, ყოველი თვის პირველ და მესამე ოთხშაბათს იკრიბებოდნენ. შეხვედრისას სექციის თითოეული წევრი კითხულობდა იმას, რაც ამ შეკრებამდე ლიტერატურის ეგიდით დაწერა, ხოლო დანარჩენები ამ ნაწერზე თავიანთ შთაბეჭდილებებს ახმოვანებდნენ. რამდენიმე თვეში ერთხელ კი სექციის რომელიმე წევრის მთლიანი შემოქმედება განიხილებოდა პერსონალურად და გამოწვლილივით, და ამის ერთ-ერთი გამოხატულება წინასწარ დანიშნული საგანგებო რეცენზენტის მიერ ვრცელი საგანგებო რეცენზიის წარმოდგენა იყო.

ჩემი პირველივე ოთხშაბათი სწორედ ასეთ ღონისძიებას — მამუკა კობერიძის შემოქმედების განხილვას დაემთხვა. რეცენზენტი გიორგი მახარაბიძე იყო — ჩვენი გიორგი, რომელიც ახლა უკვე სხვა სამყაროში გველოდება (თუმცა, კიდევ უფრო სამწუხაროდ, მგონია, რომ ამას პირობითად ვამბობ).

ხოლო ჩემი შოკი უწინარესად რეცენზიის, მერე კი დამსწრე საზოგადოების გამოსვლების პათოსმა და შინაარსმა გამოიწვია.

მსგავსი სიმძაფრის კრიტიკა თითქმის აღარასოდეს მომისმენია. ისევე, როგორც თითქმის აღარასოდეს მომისმენია კრიტიკის ობიექტის მიმართ ასეთი კეთილგანწყობილი კრიტიკა. ხოლო ერთდროულად ასე მძაფრი და კეთილგანწყობილი კრიტიკა რომ აღარასოდეს მომისმენია, ამის თქმა სულაც დაბეჯითებით შემოიძლია. აღარასოდეს და აღარსად — იმ ფანტასტიკური სამყაროს შემდეგ და მიღმა.

სამყაროსი, რომელიც თავის პატარა ოთახში ვაჟა დადიანის შექმნა.

*

ამას წინათ ჩვენმა ყოფილმა თანასექციელმა და მოქმედმა მეგობარმა ქეთი გოგიაშვილმა „ფეისბუქზე“ გამოაქვეყნა პოსტი, რომელმაც დიდი ყურადღება, მონონება და გაზიარება დაიმსახურა. ეკუთვნოდა კიდევ — პოსტის მრავალ პუნქტში ხომ მრავალი ადამიანური სიკვლე სხარტად, ლაკონურად, უზადო ენით ჩამოეთვალა ავტორს, რომელიც ამ ყველაფრის სწავლებისთვის მადლობას ერთ კაცს უხდოდა.

შეიძლება მიხვდით კიდევ, ვის. იქნებ მდოგვის მარცვლისა და მის მიმღებ ნიაღვრებს სხ-



ზაზა ბიბილაშვილი იყო ერთი ფანტასტიკური სამყარო

ვადასხვავებარობის ამბავი იყოს, იქნებ — სანვრთნელთა ბუნების მრავალფეროვნების ამბავი... ან იქნებ, იმის გათვალისწინებით, რომ ქეთითვე კარგად მანაც არ გამოიყვანა — ბევრ რამეზე, რისი სწავლაც ვაჟა დადიანის ფანტასტიკურ სამყაროში შეიძლებოდა, აქ არ ვილაპარაკებ.

მით უმეტეს, მგონია, რომ ერთი ასეთი სამყაროსთვის ისიც კმარა, ყველაზე შეუბრალებელი და ყველაზე კეთილგანწყობილი ლიტერატურული კრიტიკის ჰიბრიდის — ამ საოცარი და კეთილშობილი მონსტრის სასიყვარულო სადგურობა გასწიოს.

შესაბამისად — მოსაუბრე თქვით, თორემ — მარტო ამ სიკეთეზე საუბარს არ ეყოფა ერთი, ათი და გაცილებით მეტი ოდენობის წერილი.

ან იქნებ ამაზე ლაპარაკიც არ ღირს — რაკი ვინ იცის, როგორ ჩამოგართმევს რეალური სამყარო იმის მტკიცებას, თითქოს მინასთან გამასწორებელ კრიტიკას მინაზე გართმეულს ფეხზე წამოყენება შეეძლოს; თითქოს შეიძლებოდეს, ვინმეს ნაწერს ყველაზე დაუნდობლად უტეოდ და ამ ვინმესთან ყველაზე მეტად მეგობრობდე — შეტევაზე და შეტევის მერეც; თითქოს შესაძლებელი იყოს, ტექსტზე ავის ლაპარაკისას გულში ავი არაფერი გედოს და ლაპარაკობდე მხოლოდ იმიტომ, რომ შენს მხარეს სიმართლეა, მეტიც — შენს მხარეს სიკეთეა — მიზანია, ავტორმა თავისი ტექსტის ნაკლი შეიცნოს, რათა ან მოაშთოს ის ნაკლი, ან იმას მიხვდეს, რომ არც ნაკლის მოშთობია და არც უკეთესი ტექსტის დამწერი, შესაბამისად, არც ტექსტების ქმნა მისი საქმე, და სანამ დროა, ნამდვილი საკეთებელი ეძებოს... ოღონდ აქ ლაპარაკია სიმართლეზე და სიკეთეზე — იმ უცნაური სამყაროს გაგებით, რომელშიც სიმართლე მართლა სიმართლეა, სიკეთე კი — მართლა სიკეთე...
ჰოდა, აბა, რას ისწავლი-მეთქი აქედან? ბევრი-ბევრი, იმას, რომ — რაკი თავის მტერიც არა ხარ — საკუთარ ნაწერებსაც მეგობრის ტექსტებით სასტიკად მოეპყრო, არც წერისას მოაშრო ეჭვიანი თვალი და მერეც მანამდე უკირკიტო, ვიდრე პერფექციონიზმს არ დაიმართებ. ჰო, დამატებით, შეგიძლია, ისიც დაიმართო, რომ, ზოგადად, კარგი მიიჩნია ყველაფრის ბუნებრივ, სანყის მოცემულობად და ყველგან ის ეძიო — ათას და ათასგვარ ფენაში მართლა ჩამარხული თუ შეცდომით ნაგულისხმევი...

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი იმ ოთხშაბათს არ შემიტყვია. მაშინ მხოლოდ პირველად შევეხე იმ სამყაროს. რომელმაც სულ მალე პერსონალურად ჩემთვისაც მოიცალა და მომახალა — ეგ შენი ხელნაწერით სავესტის სექტანიანი რვეული, აქ დიდი ამბით რომ მოგიტანია, საერთოდ არაფერია და ვნახოთ, მომდევნო რვეულში თუ ჩაინერება რამეო.

*

კი, ბატონო, თავის დასაზღვევად ისევ გავიხსენოთ, რომ მაშინ, იმ ოთხშაბათს ბავშვი (11 წლის) ვიყავი და ისიც დავამატოთ, რომ მანამდე პრესაში, რადიოსა თუ ტელევიზორში მხოლოდ ურთიერთქება, პირფერობა და სიამტეხილობა ნამეკითხა, მენახა და მომესმინა. ამასთან, ვადმოცემითაც კი არ ვიცოდი, ხელოვან ხალხს უღირსი ურთიერთქებაში და, ლამის პირდაპირი გაგებით, ერთმანეთის შეჭმა თუ შექცევა.

მაგრამ მერე ხომ გავიზარდე? ამ სტრიქონებს ხომ გაზრდილი და ცოტა მეტიც ვწერ? ჰოდა, აბა, რატომ იმას არ ვამბობ, პირფერობა და სამარცხვინო სიამტეხილობა აღარასოდეს მინახავს, ხოლო ხელოვანთა უღირს ურთიერთობაზე დღემდეც არაფერი მსმენია-მეთქი?

ეგ არის, იმასაც ვერ ვამბობ, რომ მეგობრების გაკრი-

ტიკების სწავლა როდისმე გამომადგა — მას შემდეგ, რაც მე ვაპირე იმ ფანტასტიკური სამყაროდან, ხოლო მერე თვითონ ეს ფანტასტიკური სამყაროც გაქრა,

რა ვიცი, იქნებ ვინმეს კიდევ წარმოგიდგენიათ, სადმე ერთი პოეტი მეორეს საკუთარ ლექსს უკითხავდეს და თან აქებდეს — აბა, მითხარი, როგორია, პირუთვნელად შემოიფასე, შენიშვნები მომეცი, მკაცრად გამაკრიტიკე, არ დამინდო! და მეორეც თავგამოდებით უსრულებდეს თხოვნას.

ან იქნებ გგონიათ, ვინმე ლიტერატორი მეგობრის ლექსს რომ ნახავს სოციალურ ქსელში და რაღაც ნიუანსი უხეიროდ მოეჩვენება, იქვე, კომენტარითვე მიუთითებს, და მეგობარიც მადლიერი დარჩება. რას ამბობთ, მეორის რეაქციამდე სად მიდის საქმე. პირველიც ვერ შესთავაზებს შესწორებას, პირადი მიმონერის ველშიც ვერ აკადრებს ამხელა შეურაცხყოფას!

სხვას, არამეგობარს, მით უმეტეს, ვინ ეტყვის — ასე წერა არ შეიძლებაო, როცა ისე წერა არ შეიძლება...

ან იქნებ იმ ფანტასტიკურმა სამყარომ რეალურ სამყაროს კარგი მკითხველები გადაულოცა და მისი რაციონალური სარგებელი ეს მაინც არის?

კარგი, ერთი, რა. დღეს კაცმა არ იცის, ვინმე თუ კითხულობს რამეს. ბარემ ცოტას გავაზვიადებ და ვიტყვი, რომ არ ვკითხულობთ. სხვა შემთხვევაში, ის მაინც გვეცოდინებოდა, ვის სად მივუჩინოთ ბოლო საყუდელი...

ეგეც იქით იყოს, ან კარგმკითხველობა რითია ისერ-ამკითხველობაზე უკეთესი?

კითხულობს ეს კარგი მკითხველი და გაცილებით ცოტა რამ მოგწონს, ვიდრე სხვას. საერთოდ, გაცილებით ნაკლები რამ გიხარებს გულს — რაკი უკვე ზოგადად გგონია, რომ კარგი — მოცემულობაა, ბუნებრივია; ამიტომ უხეირო უნდა აღნიშნო და მონიშნო, რათა გასწორდეს, გამოიცვალოს, გაქრეს.

ხოლო იმ კონკრეტულ სამყაროში, რომელშიც დღეს ყველაზე ბევრი ლიტერატურა (ან „ლიტერატურა“) ქვეყნდება და რომელსაც ვირტუალური სამყარო ჰქვია, მაგრამ ამ დროს ანტიფანტასტიკური, ანუ რეალური სამყაროა, ყველა-ს „ლაიქს“ მაინც ერთი ფასი აქვს...

ზემოთქმულის საპირისპირო ხასიათის კანტი-კუნტი შემთხვევა თუ გაგახსენდათ ვინმეს, ვიდრე ნიშნის მოგებას დამიპირებდეთ, მანამდე იქნებ გაიხსენოთ გამოწვევის მთავარი თვისებაც — წესი დაამტკიცოს.

თორემ ეგრე, ერთი-ორჯერ, ავტორის თხოვნით მისი ტექსტის შეფასებისას, მეც მიცდია, ერთდროულად დაუნაწებელი და დაუნდობელი ვყოფილიყავი. მაგრამ ეს იმას როდეს ნიშნავს, რომ ფანტასტიკურ სამყაროს ვქმნი.

და მეც კი მაგონდება ერთი ამბავი, რომელიც, სწორედ გამოწვევის ეგ თვისება რომ არა, საეჭვოს გახდიდა ფანტასტიკური სამყაროების უსარგებლობას რეალურ სამყაროში.

იმ ამბავს ვგულისხმობ, ჩემი სტუდენტობის პირველივე ლიტერატურულ საღამოზე (თუ რაღაც ასეთზე) ერთმა მომავალმა ტენდენციურმა ჟურნალისტმა და მაშინდელმა ტენდენციურმა რეცენზენტმა ბლვირი რომ მადინა (თუმცა იქნებ ესეც არ მომგონებოდა, სხვა საღამოებს ან მსგავსი რეცენზია რომ შემოეთავაზებინა, ან იმაში დავერწმუნებინე, რომ იმ კედლებში ჩემზე უზადრუკი ავტორი არ გაჭაჭანებულა).

აი, მაშინ თუ დამეხმარა ვაჟა დადიანის ნაწიქარი გამოცდილება; თუნდაც იმის მიუხედავად, რომ ხსენებულ რეცენზიას მეგობრულისა არაფერი ეცხო და, სავარაუდოდ, თვითდამკვიდრების დიად საქმეს ემსახურებოდა.

ჰო, „ბლვირი მადინა“ ვთქვი, მაგრამ ეგ, ბევრი-ბევრი, მიზნად ჰქონოდა დასახული რეცენზენტს, რომლის მონოლოგსაც ისეთი ულმოებელი კრიტიკით ნაწრთობი ვუსმენდი, თვითონ იმას რომ ალბათ არასოდეს დასიზმრებია.

მოკლედ, ძალიან ძნელია ფანტასტიკური სამყაროების შედეგებზე ლაპარაკი. სავარაუდოდ, ისინი შედეგებისთვის არც იქმნება.

*

მაშ, რა აზრი აქვს ასეთ სამყაროებს? აბა, მე რა ვიცი. სამყაროებს კი არა, სამყაროს რა აზრი აქვს, ეგ არ ვიცი.

არადა, ახლახან ქეთი გოგიაშვილის ის საფეისბუქე პოსტი რომ მოვიხიე, იქვე ჩემი ეს კომენტარიც აღმოვაჩინე: „ქეთო, ძალიან მაგარია; თითქმის ვაჟასავით (ლიმლო). ასეთ დროს ფიქრობ, ნეტავ, მართლა ხომ არა აქვს სიცოცხლეს აზრი (ლიმლო)“.

ანუ იქნებ მართლა მდოგვის მარცვლისა და მისი მიმღები ნიაღვის როგორობის ამბავია, ან — წვრთნისა და სანვრთნელის ბუნების ამბავი...

თუმცა პესიმისტი კაცი (ხოლო ვაჟა დადიანისგან მახსოვს, რომ ყველა ჭკვიანი კაცი პესიმისტი იყო) არც იმის შესაძლებლობას გამოიციხავდა — ფანტასტიკურ სამყაროში ყველა ადამიანური სიკვლე ისწავლო და რეალურ ცხოვრებაში არცერთი გამოგადგეს.

უბრალოდ, შეიძლება თვითონ რეალურ სამყაროს ის აზრი აქვს, რომ მასში ფანტასტიკური სამყაროებიც არსებობს.

ლიტერატურული გაზეთი

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტი თამარ ყურული

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

